

გურამ რამიშვილი

**შესავალი ენის ანთროპოლოგიაში
(ნაკვეთი I)**

ფერდინანდ დე სოსიური

**თბილისი
1996**

81.2
800
რ 214

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგად ენათმეცნიერებაში, ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტების, ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთათვის, აგრეთვე, ყველა მათთვის, ვისაც აინტერესებს XX საუკუნის უმთავრესი ლინგვისტური თეორიები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ენობრივი ერთეულის გამოყოფას (ფ. სოსიურთან) აქვს შინაარსობრივი საზომიც, გარდა ფორმალურიც.

რეცენზენტები: პროფ. ნ. ქუთელია
დოც. თ. აბზიანიძე

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯაჯანაშვილი
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.01.96
საბეჭდი ქაღალდი 60X84 $\frac{1}{16}$ პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,25
სააღრ. საგამომც. თაბახი 4,19 გირაჟი 100 შეკვეთის № 1

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი, ჭავჭავაძის ქროსპეტი, 14

თბილისის უნივერსიტეტის
სარედაქციო-საბეჭდო-სამხარკო კომპიუტერული სამსახური
თბილისი, 380028, ი, ჭავჭავაძის ქროსპეტი, 1

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996

რ $\frac{4602000000}{608(06)-96}$

შესავალი

ენის ანთროპოლოგიის ამოსავალი უმთავრესი პოსტულატი ისაა, რომ ადამიანი ენობრივი უნარით არის გამიჯნული სხვა ბიოლოგიურ არსებათაგან. არ არსებობს იგი ენის უნარის გარეშე, ამავე დროს, ენის ფაქტს არ წარმოადგენს რაიმე გარეადამიანური არსებობის ფორმა (ამის შესახებ დაწერილდებით იხ. [10]).¹

ენის მოცემულობის სამი ფორმიდან (კაცობრიული, სოციალური და ინდივიდუალური) – სოციოანთროპოლოგია სოციალურ განზომილებას გამოყოფს; იგი ამხსნელია კაცობრიულისა და ინდივიდუალურისა. ენის არსი, აღნიშნულ ფორმათაგან, სწორედ სოციოლოგიური თვალსაზრისით გამოვლინდება და აკი ენის ეს განზომილება იქცა ფერდინანდ დე სოსიურისთვის უმთავრესად, რაც მისი „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ [1] მთელ შინაარსს გამსჭვალავს.

ფ. დე სოსიურის მოძღვრება მრავალი მხრით არის საყურადღებო. მისი ენის თეორია საფუძვლად დაედო თანამედროვე ბგერათმეცნიერებას, რომელიც „ფონოლოგიად“ იწოდება (და რომლის შექმნაც ნ.ტრუბეცკოის სახელთან არის დაკავშირებული). ენობრივი ბგერის თეორიის გამოკვლევამ შრომათა არნახული რაოდენობა შექმნა ფონოლოგიაში. შინაარსის სტრუქტურა კი ისევ ტრადიციული ისტორიული სემასიოლოგიის ტყვეობაში იყო მოქცეული. და მაინც, ენობრივი შინაარსის მეცნიერული თეორია ისევეა XX საუკუნის ევროპული ენათმეცნიერების მონაპოვარი, როგორც ენობრივი ბგერის თეორია (ფონოლოგია).

იგი არსებითად სინქრონული ცნებაა და მისი ძიებაც მხოლოდ სინქრონიაშია შესაძლებელი. ისტორიული სემასიოლოგია სიგნიფიკაციის ფაქტს ემყარება, მნიშვნელობის დავიწროება-გაფართოების არალინგვისტურ წესებს დაადგენს და არა სიტყვათა შინაარსობრივ ჯგუფებსა და მათში გაერთიანებულ სიტყვათა შორის აზრითს ურთიერთმიმართებებს; ეს ხერხდება მხოლოდ სინქრონულ ჭრილში და ამიტომაც

¹ კვადრატულ ფრჩხილებში მიითითებულია დამოწმებული ლიტერატურა.

ძიება ენის შინაარსისა, რა პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, უნდა დაეიწყოთ სწორედ შვეიცარიელი ენათმეცნიერით - ფერდინანდ დე სოსიურით. ამას მოწმობს მისი „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ საგანგებო ანალიზი, რაც სხვადასხვა დროს ჩაებატარეთ.² მაგრამ, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ადრე სათანადოდ არ გვექონდა გათვალისწინებული ღირებულების (valeur) კატეგორიის კავშირის შესაძლებლობა ენის შინაარსობრივი დანაწევრების პრინციპთან. ამის გარეშე კი, თვით სოსიურის მოძღვრებაზე არა თუ გაძნელდება სრულყოფილი დასკვნების გაკეთება, არამედ, ასევე გაძნელდება ე.წ. „სიტყვათყელის“ მასთან გენეზისური კავშირის ჩვენებაც; ეს კავშირი კი აუცილებელია თანამედროვე ლინგვისტიკის ერთიანი თეორიის ასაგებად, და ვფიქრობთ, რომ ღირებულების ცნების სათანადო ანალიზით იგი თანამედროვე სემანტიკის ერთ აუცილებელ საფუძვლად იქცევა. ამ მიზნით საჭიროა ვაჩვენოთ, რომ სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“ შეიცავს თუმცა ნაკლებად გამოკვლეულ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან შრეს, ვიდრე სტრუქტურული პროგრამისთვის საჭირო აბსტრაქტული თვისებანია ენისა. ეს შრეა: 1) ენა რეალურია, რადგან მისი ერთეულები კონკრეტულია (თუმცა არ არის მატერიალური ფორმა), 2) ენისთვის სოციალურობა „შინაგანი თვისებაა“, 3) ენა ბუნებრივი რელატიური სისტემაა (და არა უთუოდ ლოგისტიკურ-უნივერსალური სტრუქტურა).

² სოსიურიანული სტრუქტურალიზმის მიმართებაზე კუმბოლდტის იდეებთან მიუუთითებდით საკანდიდატო დისერტაციაში (გრამიშვილი, კუმბოლდტის ენის თეორიის ზოგი საკითხი, თსუ შრომები, ტ.73, 1959). საგანგებო გამოკვლევა სოსიურის ენის სოციოლოგიის განხილვისა შინაარსობრივი თვალსაზრისით დაიბეჭდა: Ramischwili, G. Versuch einer energetischen Interpretation der Sprachsoziologie von Ferdinand de Saussure, Sprache und Gesellschaft, Jena, 1970. იხ. აგრეთვე, წიგნები: გრამიშვილი, ენის ენერგეტული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978; Guram Ramischwili, Einheit in der Vielfalt, Bonn, 1988/89. კუმბოლდტისა და სოსიურის ჩვენს მიერ შედარებულ შინაგანთა შეფასების შესახებ იხ. N.A. Slusareva, Essai de comparaison des conceptions de F. de Saussure et de W. von Humboldt. Studi Saussuriani per Robert Godol, Bologna, 1974, Helmut Gipper, Peter Schmitter, Sprachwissenschaft und Sprachphilosophie im Zeitalter der Romantik, Tübingen, 1979.

I ფ. დე სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“

ფერდინანდ დე სოსიურის დიდი სიახლე XX საუკუნის ენათმეცნიერებაში ის არის, რომ იგი აგებს ახალ დარგს, სინქრონულ ლინგვისტიკას, ანუ ენის ერთეულთა თანადროულობის ლინგვისტიკას, განსხვავებულს ტრადიციული ისტორიული ენათმეცნიერებისაგან, რომელიც შემდგომადობის ლინგვისტიკაა და ენობრივ ერთეულებს განიხილავს დროში შემდგომადობის მიხედვით, რის გამოც მას ეწოდება – დიაქრონული ლინგვისტიკა. ავტორი თავის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“ (წაითხებულია ენევის უნივერსიტეტში 1907-1911 წლებში) თვლის, რომ სინქრონული ენათმეცნიერება, ანუ სტატიკური ლინგვისტიკა „გაცილებით უფრო რთული“ დარგია, ვიდრე ენის ისტორია (გვ.133).³ ავტორის ზოგად-ფილოსოფიური პოზიცია ასეთია: „ლინგვისტიკაში ობიექტი სულაც არ განსაზღვრავს თვალსაზრისს; პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში თვით თვალსაზრისი ქმნის ობიექტს“ (46).

ფ. სოსიური თავისებურად მსჯელობს, როცა საქმე ეხება მეცნიერების საგანს: როგორც წესი, მეტწილ დარგებში, ერთეულის შესახებ საკითხი არც კი დგას: იგი იმთავითეა მოცემული. მაგალითად, ზოოლოგიაში საქმე გვაქვს ცხოველებთან. ასტრონომია ოპერირებს სივრცეში გამოცალკეებულ ერთეულებით – ციური სხეულებით. ქიმიკაში შეიძლება შევისწავლოთ ბუნება და შედგენილობა რაიმე ქიმიური შენაერთისა და ერთ წუთსაც არ დაეფიქრდეთ იმაზე, რომ იგი არ არის სრულიად გარკვეული რამ (139). იგი იქვე და არაერთგზის უდარებს ენას ჭადრაკს. როგორც ჭადრაკის თამაში მთლიანად დაიყვანება სხვადასხვა ფიგურათა კომბინირებულ მდგომარეობამდე, ასევე ენაც არის სისტემა, მთლიანად დამყარებული მის კონკრეტულ ერთეულთა დაპირისპირებულობაზე: არ მოგვიხერხდება უარის თქმა მათს გამოვლინებაზე და ვერც გადავდგამთ ვერც ერთ ნაბიჯს წინ,

³ აქ დასახელებულია ფ. დე სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის“ ორივე ტექსტი ფრანგულშიცა და მისი საუკეთესო რუსული თარგმანიც [1]. ვიმოწმებთ პირითადად რუსული გამოცემის მიხედვით, მრგვალ ფორხილებში მხოლოდ გვერდს ეასახელებთ (შეჯერებულია ფრანგულთან).

მათ თუ არ მიემართეთ; ამავე დროს, ამ ერთეულთა გამოცალკევება დაკავშირებულია ისეთ სირთულესთან, რომ წინდება კითხვა: არსებობენ თუ არა ისინი რეალურად?

ავტორის მიხედვით, ენის საოცარი და უცნაური თვისებაა ის, რომ მასში მოცემულია ერთი შეხედვით განსხვავებული ერთეულები (ფაქტები, ობიექტები), რომელთა არსებობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგან სწორედ მათი ურთიერთმოქმედება ქმნის ენას. იგი ფიქრობს, რომ აქ არის ჩამარხული მისი ის თვისება, რაც განასხვავებს ენას ყველა სხვა სემიოლოგიურ სისტემათაგან (139), რომლებიც საზოგადოების შიგნით ნიშანთა სახეობებს შეისწავლის. სემიოტიკურ სისტემებში, მართალია, „ენა უპირატესია“ სოსიურის მიხედვით, მაგრამ მაინც ძნელდება ხაზის გავლება ჰუმანიტარულ და არაჰუმანიტარულ ასპექტებს შორის, თუმცა, ნიშანთა სისტემები არსებობენ საზოგადოების შიგნით. ავტორი ასე ფიქრობს: იმისთვის, რომ პასუხი გავცეთ კანონიერ შეკითხვას – რა არის ლინგვისტიკის მთლიანი და კონკრეტული ობიექტი, გათვალისწინებული უნდა იქნეს ზოგი სიძნელე.

ფ. სოსიური ამბობს: ყოველი ენობრივი ფენომენი ყოველთვის ორ ასპექტს შეიცავს, რომელთაგან თითოეული შეესაბამება მეორეს და მის გარეშე არა აქვს ღირებულება: 1. ბგერა, როგორც ბგერადობა და აკუსტიკური ფაქტი; 2. ბგერა, როგორც რთული აკუსტიკურ-ვოკალური ერთიანობა, თავის მხრივ, ცნებასთან ერთად ქმნის ახალ რთულ ერთიანობას – ფიზიოლოგიურ-აზრობრივს; 3. სამეტყველო მოქმედებას აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური მხარე.

რომელი მხრითაც არ უნდა მივუდგეთ ენობრივ ფაქტს, „არსად არ გამოვლინდება ჩვენს წინაშე ლინგვისტიკის მთლიანი ობიექტი; ყველგან წაეაწყდებით ერთსა და იმავე დილემას: ყოველი პრობლემის ან მხოლოდ ერთ მხარეს ეპაქცევთ ყურადღებას, და ამით ვდგებით იმ საშიშროების წინაშე, რომ ვერ შევამჩნიოთ ზემოაღნიშნული ორბუნებოვნება, რომელიც მას ახასიათებს; ან, თუ ენობრივ მოვლენებს ერთდროულად რამდენიმე მხრიდან შევისწავლით, ლინგვისტიკის ობიექტი გამოჩნდება ჩვენ წინაშე, როგორც სხვადასხვაგვარი მოვლენების უწყესრიგო დახვავება, რომლებსაც ერთ-

მანეთთან არაფერი აკავშირებთ“. ასე მოქცევა, განაგრძობს ავტორი, „იმას ნიშნავს, რომ კარი გაუღოთ მეცნიერებათა მთელ წყებას: ფსიქოლოგიას, ანთროპოლოგიას, ნორმატულ გრამატიკას, ფილოლოგიასა და სხვას, რომელთაც მკაცრად გაემიჯნაუთ ლინგვისტიკისაგან“.

სოსიური მიუთითებს ამ სიძნელეთა დაძლევის ერთადერთ გზაზე: „საჭიროა იმთავითვე დაედგეთ „ენის“ ნიადაგზე და ჩავთვალოთ იგი სამეტყველო მოქმედების ყველა სხვა გამოვლინების საფუძველად (47)“. „ორბუნებოვან მოვლენათა შორის, როგორც ჩანს, ერთადერთი ენა ემორჩილება თავისთავად განსაზღვრას და იძლევა საიმედო საყრდენს აზრისათვის“ (იქვე).

ფ. დე სოსიური, როგორც ცნობილია, განარჩევს სამ ტერმინს: 1. სამეტყველო მოქმედება, ან სამეტყველო ქმედება (langage), 2. ენა (langue) და 3. ინდივიდუალური მეტყველება, ან სამეტყველო აქტი (parole). ენა არის „სამეტყველო მოქმედება მინუს თვით მეტყველება“ (109).

რომ არაფერი ვთქვათ სამეტყველო უნარზე საერთოდ, რომლის შესწავლაც შეიძლება მხოლოდ მის გამოვლინებებში, ინდივიდუალური მეტყველება „კარს უღებს“ სხვა მეცნიერებებს, რადგან იგი „მრავალფორმიანი და სხვადასხვა სისტემისაა“. მეტყველებისაგან განსხვავებით, ენა არის „მთლიანობა თავისთავად“ და წარმოადგენს ამოსავალს კლასიფიკაციისთვის. ვაყენებთ რა მას პირველ ადგილზე სამეტყველო მოქმედების ყველა და ყოველგვარ მოვლენათა შორის, ჩვენ ამით ბუნებრივი წესრიგი შეგვაქვს ამ ერთობლიობაში, რომელიც სხვაგვარად არ შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული (48).

მოსალოდნელია, გაჩნდეს კითხვა: როგორ შეიძლება ენა, როგორც სოციალური ნორმა, იყოს ბაზა სამეტყველო მოქმედების კლასიფიკაციისთვის და შეიტანოს იქ „ბუნებრივი წესრიგი“?

ავტორი გვაფრთხილებს, რომ აქ საკლასიფიკაციო პრინციპის წინაღმდეგ შესაძლოა წამოაყენონ ასეთი მოსაზრება: სამეტყველო მოქმედებას ახორციელებს ბგერითი აპარატი, ხოლო მეტყველების უნარი ჩვენ გვაქვს ბუნებრივად მაშინ,

როცა ენა არის რაღაც შეთვისებული და პირობითი; მაშასადამე, ენას, სწორედ იმის გამო, რომ იგი შეთვისებულია და პირობითი, არ შეუძლია განსაზღვროს მეტყველების ბუნებრივი ინსტინქტი; უფრო თვითონ არის იგი დამოკიდებული ამ ინსტინქტზე.

„კურსში“ არის პასუხი ამ კითხვაზე: „პირველ ყოვლისა, დამტკიცებული არ არის, რომ სამეტყველო ფუნქცია იმ ფორმით, როგორც იგი ჩვენში ვლინდება ლაპარაკისას, არის რაღაც სრულიად ბუნებრივი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, – ჩვენი ბგერითი აპარატი განკუთვნილია თითქოს ლაპარაკისთვის ისევე, როგორც ჩვენი ფეხები – სიარულისთვის (48). სოსიურს მოჰყავს ამერიკელი ლინგვისტის, უითნის შეხედულება, რომელიც ენას უთანაბრებს „სოციალურ ინსტიტუტებს მთელი მათი თავისებურებებით“, რომლის აზრით, „ბგერით. აპარატს ენის იარაღად ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ შემთხვევით, უბრალოდ იმიტომ, რომ მოხერხებულად მიგვაჩინა; ასევე წარმატებით შეეძლოთ ესარგებლათ ადამიანებს ეუსტებით და სმენითის ნაცვლად მხედველობითი ხატები გამოეყენებინათ“ (იქვე).

სოსიური ეკამათება უითნის ორივე თეზისს: ჯერ ერთი, ენა არ არის სოციალური ინსტიტუტი, ყველა მიმართებაში მსგავსი სხვა სოციალური ინსტიტუტებისა (ამ საკითხს ჩვენ, ავტორთან ერთად, კიდევ ერთხელ დაუბრუნდებით. გ.რ.), და მეორე: უითნი, მისი აზრით, „მეტად შორს მიდის, როდესაც ამტკიცებს, რომ ჩვენი არჩევანი მხოლოდ შემთხვევით შეჩერდა ე.წ. სამეტყველო ორგანოებზე – იგი ხომ ერთგვარად ბუნებამ მოგვახვია თავს“. ენა პირობითობაა, ხოლო პირობითი ნიშნის ბუნებას მნიშვნელობა არა აქვს. როგორ უნდა გავიგოთ ეს?

ამ პუნქტის ასახსნელად სოსიური იძლევა დანაწევრებული, ანუ არტიკულირებული მეტყველების საკუთარ ინტერპრეტაციას: ლათინურად *articulus* ნიშნავს ნაწილს, დანაწევრებას (48). დანაწევრებულობა მეტყველებაში შესაძლოა აღნიშნავდეს ან სამეტყველო ნაკადის მარცვლებად დაყოფას, ან მნიშვნელობათა ნაკადის მნიშვნელობის მქონე ერთეულებად დაყოფას: სწორედ ამ აზრით ამბობენ გერმანულად *gliederte*

Sprache. თუ ამ მეორე განსაზღვრებას გაეყვებით, შეიძლებოდა ასე გვეთქვა: ადამიანისათვის ბუნებრივია არა ბგერითი მეტყველება, არამედ ენის შექმნის უნარი, ე.ი. ცალკეულ ნიშანთა სისტემა, რომელიც შეესაბამება ცალკეულ ცნებებს (49). მაშასადამე, ადამიანისათვის სპეციფიური და არსებითია არა ფიზიკური ასპექტი მეტყველებისა, არამედ სამეტყველო ნაკადის მნიშვნელობის მქონე ერთეულებად დაყოფა; ე.ი. ეს უნარი, რომელიც არსებითად ენობრივია (და არა სამეტყველო), გამოიხატება ცალკეული აკუსტიკური კომპლექსების შექმნაში ცალკეულ ცნებათა შესაბამისად.

სოსიური, ენის პრობლემის ფიზიკური ასპექტის მიმართ კრიტიკული პოზიციის დაკავებით, ფაქტიურად ლინგვისტიკას გამიჯნავს ფიზიოლოგიისაგან; უფრო ადრე, გვაჭრთხილებს რა ამ დისციპლინათა შესაძლო აღრვეისგან, იგი წერს: „ენის არსი, როგორც დაეინახავეთ, დაკავშირებული არ არის ენობრივი ნიშნის ბგერით ხასიათთან“ (45); მაგრამ სოსიურს, აგებდა რა ლინგვისტიკას არაფიზიკურ საწყისებზე, გათვალისწინებული ჰქონდა უფრო მძლავრი წინააღმდეგობა ამ საკითხში იმ ლინგვისტთა მხრივ, რომლებიც, ტვინის ფიზიოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით, სამეტყველო მოქმედებას ბუნებრივ ხასიათს მიაწერენ.

იგი წერდა (მხედველობაში ჰქონდა რა ფიზიოლოგ ბროკას ცნობილი აღმოჩენა (1861) მეტყველების უნარის ტვინში ლოკალიზაციის შესახებ), რომ „ეს ლოკალიზაცია დადგენილი იქნა ყველაფრის მიმართ, რასაც კავშირი აქვს ენასთან, წერის ჩათვლით; თუ ამოვალთ აქედან და, აგრეთვე, ლოკალიზაციის ამ ცენტრების დაზიანებით გამოწვეული აფაზიის სხვადასხვა სახეზე დაკვირვებიდან, როგორც ჩანს, შესაძლოა დაეუშვათ, რომ, ჯერ ერთი, ზეპირმეტყველების სხვადასხვაგვარი აშლილობა სხვადასხვა გზით დაკავშირებულია წერითი მეტყველების აშლილობასთან, და მეორე, რომ აფაზიისა და აგრაფიის ყველა შემთხვევაში ირღევეა არა იმდენად ამ თუ იმ ბგერის წარმოქმნის, ან ამა თუ იმ ნიშნის მოხაზვის უნარი, არამედ უნარი იმისა, რომ ცნობიერებაში გამოწვეულ იქნეს მოწესრიგებული სამეტყველო მოქმედების ნიშნები, რა საშუალებასაც არ უნდა მივმართოთ“. ამის და-

ზუსტების შემდეგ სოსიური მიდის, ჩვენი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვან ვარაუდამდე: „არსებობს სხვადასხვა ორგანოს მოქმედებაზე უფრო ზოგადი უნარი, რომელიც მართაეს ამ ნიშნებს და რომელიც არის უპირატესად ენობრივი უნარი“ (49).

მაშასადამე, უნარი ცნებათა შესაბამისად სიტყვების არტიკულაციისა არის არა ფიზიკური, ანდა ფიზიოლოგიური უნარი, არამედ უპირატესად „ენობრივი უნარი“, – როდესაც იგი გვევლინება, როგორც თვითმმართველი ფიზიკური (ბგერითი, გრაფიკული...) ნიშნებისა.

სოსიური, როგორც ვხედავთ, არა თუ არ ოპერირებს ბევრის არაფრის მთქმელი ტერმინით „ინსტინქტი“, არამედ უარყოფს კიდევ ენობრივი უნარის წმინდა ფიზიოლოგიურ სუბსტრატს, თელის ენობრივ უნარს „უფრო ზოგადად“ და უფრო მაღლა მდგომად, ვიდრე ბიოლოგიური დონეა. უფრო მეტიც: ამ უნარის რეალიზაცია ხორციელდება „კოლექტივის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი იარაღით“ (იქვე).

მაშასადამე, არ უნდა არსებობდეს პირდაპირი კავშირი მეტყველების ზოგად უნარსა და ინდივიდუალურ სამეტყველო აქტს შორის. ეს კავშირი ხორციელდება მხოლოდ ენის მეშვეობით, რომელიც, ერთი მხრით, მეტყველების უნარის „სოციალურ პროდუქტს“ წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრით, იმ „აუცილებელ პირობათა ერთობლიობას, რომელიც შეთვისებული აქვს საზოგადოებრივ კოლექტივის ამ უნარის განსახორციელებლად ცალკეულ პირებში (47-48).

ჩვენი რწმენით, სოსიურმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ, მიუხედავად მეტყველების უნარის მოჩვენებითი ბუნებრივობისა, რაც „თქმაში“ (ანუ ფონაციის აპარატის გამოყენებაში) მჟღავნდება, ენობრივი უნარი ფუნქციობს ადამიანური ბუნების უღრმეს და სწორედ არაფიზიკურ შრეებში, და გვევლინება არა მარტო ინდივიდუალური მეტყველების ფორმამრავალ მოვლენათა მაკლასიფიცირებელ პრინციპად, არამედ მეტყველების ყოველნაირი ფიზიკური სახეობის მართვის ცენტრად. სოსიური თელის, რომ ეს შრე შეიძლება დახასიათდეს, როგორც სოციალური.

ჩვენი თვალთახედვის შესაბამისად, უკვე მივიღეთ სათანადო შედეგები:

ა) ენა, რომელიც აწესრიგებს და მართავს მეტყველების ფიზიკურ ასპექტებს, ამავე დროს, არის არაფიზიკური და სოციალური (კოლექტიური);

ბ) იგი, იმავდროულად, იმ ორბუნებოვნების უმაღლესი პრინციპის გამოხატულებაა, რომელიც ზემოთ ლინგვისტური ფენომენის ცენტრალურ პრინციპად გამოცხადდა და რაც, როგორც გაირკვა, ცალკეულ ნიშანთა განსხვავებულ ცნებებთან შესაბამისობაში მდგომარეობს.

სამეტყველო კომუნიკაციის წრებრუნვა

ენის კიდევ ერთი დეფინიციით („იგი არის ენობრივ ჩვენათა ერთობლიობა, რომელიც ცალკეულ ადამიანს შეაძლებინებს გააგებინოს და გაუგოს სხვებს“ (109-110), „კურსში“ მოცემულია სქემა მეტყველებითი კომუნიკაციის წრებრუნვისა A და B მოსაუბრეს შორის. სოსიურის ინტერპრეტაციით, მეტყველების წრებრუნვის ამოსავალი წერტილი ერთ-ერთი მოსაუბრის, ვთქვათ, A მოსაუბრის ტვინშია, სადაც ცნობიერების ჩვენს მიერ ცნებებად წოდებული მოვლენები ასოცირდებიან ენობრივ ნიშნებთან, ანუ იმ აკუსტიკურ ხატებთან, რომლებიც ამ ნიშნებს გამოხატავენ. დაეუშვათ, რომ განსაზღვრული ცნება ტვინში შესაბამის აკუსტიკურ ხატს აჩენს: ეს წმინდა ფსიქიკური მოვლენაა, რომელსაც ფიზიოლოგიური პროცესი მოსდევს. ტვინი გადასცემს სამეტყველო ორგანოებს ხატის შესაბამის იმპულსს. ამის შემდეგ ბგერითი ტალღები A-ს ბაგეთაგან B-ს ყურში ვრცელდება. პროცესი წმინდა ფიზიკურია. შემდგომ წრიული მოძრაობა B-ში საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს; ყურიდან ტვინისკენ – აკუსტიკური ხატის ფიზიოლოგიური გადაცემა; ტვინში – ამ ხატის ფსიქიკური ასოციაცია შესაბამის ცნებასთან. თავის მხრივ, როცა B სამეტყველდება, მეტყველების ეს ახალი აქტი, პირველის კვალად, B-ს ტვინიდან A-ს ტვინამდე იმავე ფაზებს გაივლის (შდრ.სქემა) (50).

ავტორის თქმით, ამ ანალიზს არა აქვს სისრულის პრეტენზია, რადგან შეიძლებოდა სხვა ასპექტთა გამოყოფაც.

სოსიური საჭიროდ მიიჩნევს ფიზიკურ (ბგერითი ტალღები) და ფიზიოლოგიურ (თქმა, გაგონება) ელემენტთა გამიჯვნას ფსიქიკურისაგან (სიტყვიერი ხატები და ცნებები), დასძენს რა ამასთან, რომ „სიტყვიერი ხატი არ ემთხვევა თვით ბგერადობას და რომ ის ისევე ფსიქიკურია, როგორც მასთან ასოცირებული ცნება“ (51).

ყველა ამ მოვლენათა შორის ენის ადგილის გასაცნობიერებლად საჭიროა ინდივიდუალური აქტისგან განდგომით სოციალურს მიეუახლოვდეთ. მაგრამ სად ჩანს იგი?

„ყველა იმ ინდივიდს შორის, რომლებიც მეტყველებითი ურთიერთობის პროცესში ისე უკავშირდება ერთმანეთს, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ხდება ერთგვარი გაწონასწორება: ყოველი მათგანი კელაე აღადგენს, რა თქმა უნდა, არა სრულიად ერთნაირად, არამედ მიახლოებით, იდენტურ ნიშნებს და აკავშირებს მათ ერთსა და იმავე ცნებებთან“ (იქვე).

ეს გაწონასწორება წარმოადგენს მეტყველებითი ურთიერთობის „სოციალურ კრისტალიზაციას“. სოსიური ინდივიდუალურ მომენტთა თანდათანობითი უკუგდებით უახლოვდება ამ სოციალურ პუნქტს და ცდილობს იპოვოს მისი ზუსტი ადგილი სამეტყველო წრებრუნვაში.

ფიზიკურ მხარეს ავტორი უმაღლეს ჩამოაცილებს, რადგანაც უცხოურ ენაზე მიმდინარე საუბრის აღქმისას თუმცა კი გვესმის ბგერები, მაგრამ „ვერგაგების გამო სოციალური ფაქტის მიღმა ვრჩებით“ (51). თუ გაუიხსენებთ მის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბგერა მხოლოდ „იარაღია აზრისა და დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია“, ასევე, მის მიერვე ორგვარი არტიკულაციის გამოყოფას და აქედან გამომდინარე ფონაციის აპარატის ინტერპრეტაციას, როგორც მეორეხარისხოვანისა და დამოკიდებულისა, მაშინ ნათელი გახდება ფიზიკური ასპექტის როლი მეტყველებით წრებრუნვაში.

მეტყველებით ურთიერთობაში ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს აქტიური და პასიური ნაწილები: აქტიურია ყოველივე ის, რაც ერთი სუბიექტის ასოციაციის ცენტრიდან მეორის ყურამდე მიდის, ხოლო პასიურია ის, რაც ამ უკანასკნელის ყურიდან მისსავე ასოციაციის ცენტრში ერთდება“.

ყოველივე აქტიურს სოსიური ეგზეკუციურს (შემსრულებელს) უწოდებს და მისგანაც ახდენს აბსტრაქირებას, როგორც „ექსტრასოციალური მოვლენიდან“. რადგან, სოსიურის თქმით, „შესრულება არასდროს არ ხორციელდება კოლექტივის მიერ, იგი მუდამ ინდივიდუალურია და მასში მთლიანად ინდივიდი განმგებლობს“. ამიტომ იგი მას მეტყველები-სეულად (parole) თვლის (51).

გამოდის, რომ არც ფსიქიკურს ძალუბს „შუა ხაზის“, ანუ ინდივიდთათვის საერთოს შექმნა. სოსიურის მიხედვით, ყველა მოლაპარაკე ინდივიდში დაახლოებით ერთნაირი ფსიქიკური ანაბეჭდის წარმოშობა „აღქმისა და კოორდინაციის“ უნარების ფუნქციონირებით განისაზღვრება. ის განმარტავს, რომ „სწორედ ეს უნარები ასრულებენ უდიდეს როლს ენის სისტემად ორგანიზების პროცესში“ და, ამავე დროს, მიუთითებს, რომ ამ მტკიცების აზრის სწორად გაგებისათვის სასურველია „კურსის“ იმ ნაწილის გაცნობა, სადაც ლაპარაკია ენობრივ ურთიერთობათა ორ ტიპზე, რომლებიც, ავტორის სიტყვებით, „ჩვენი გონებრივი მოქმედების ორ ისეთ ფორმას შეესაბამება, რომელიც ერთნაირად აუცილებელია ენის არსებობისათვის“ (155). პირველი ტიპი, ესაა ე.წ. სინტაგმატური ურთიერთობანი სიტყვებს შორის, დაფუძნებული ენის ხაზოვან ხასიათზე, რომელიც გამორიცხავს ორი ელემენტის ერთდროულ წარმოთქმას და, ამდენად, წარმოიქმნებიან განფენილად ორი ან რამდენიმე ურთიერთმომდევნო ერთეული-საგან.

სინტაგმატური ურთიერთობა ყოველთვის სახეზეა (in praesentia), რადგან ელემენტთა თანმიმდევრობა აქტუალურია. პირიქით, მეორე ტიპი – ასოციაციური ურთიერთობა – აერთებს არარსებულ (in absentia) ელემენტებს ვირტუალურ, მნემურ რიგში: მეტყველების აქტუალურ პროცესს მიღმა რაიმე საერთო ნიშნის მქონე სიტყვები მეხსიერებაში იმდენად ასოცირდებიან, რომ მათგან შექმნილი ჯგუფები ნაირსახოვან მიმართებებს ავლენენ.

„კურსში“ ნათქვამია, რომ „წევრები, რომლებიც ასოციაციურ ჯგუფში ერთიანდებიან, არაა მოცემული ცნობიერებაში განსაზღვრული რაოდენობით, ან გარკვეული რიგის მიხედ-

ვით“... „შეუძლებელია, წინასწარ ითქვას, თუ როგორი იქნება მეჩხიერებით ნაკარნახევი სიტყვების რაოდენობა, ან რა თანამიმდევრობით აღმოცენდებიან ისინი“. ამიტომ „ჯგუფის ნებისმიერი წევრი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთგვარი ცენტრი თანავარსკვლავედისა, როგორც ჯგუფის მასთან კოორდინირებულ წვერთა განუსაზღვრელი რაოდენობის თავმოყრის წერტილი (158).

მიუხედავად იმისა, რომ „ასოციაციური სქემა ასე მოძრავია“, სოსიური არსად არ ამბობს, რომ ის ინდივიდუალურია და შემთხვევითი. პირიქით, ურთიერთობის ორივე ტიპი „მნიშვნელოვანწილად ენითაა დადგენილი; სწორედ მიმართებათა ეს ერთობლიობა შეადგენს ენას და განაპირობებს მის ფუნქციობას“ (160).

ასოციაციურ კოორდინაციათა ბაგე არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურად და შემთხვევითად თუნდაც იმიტომ, რომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ენაში სტაბილურად დადგენილ სინტაგმატურ მიმართებათა საკლასიფიკაციო პრინციპად; თუმცა, „კოორდინაცია სივრცეში ხელს უწყობს ასოციაციურ კოორდინაციათა წარმოქმნას“, ეს უკანასკნელნი მაინც „აუცილებელია სინტაგმის ნაწილთა გამოყოფისთვის“.

თუ „კურსის“ პირველ თავებში, ენის ფიზიოლოგიური კონცეფციის კრიტიკული განხილვისას, შესაძლებელი გახდა ენობრივი უნარისათვის გარკვეული აქტიურობა მიგვეწერა, რაც გამოიხატება მისი თვისებით – მართოს ფიზიკური ნიშნები, აქ, კორელაციის სინტაგმატური ტიპების განხილვისას, საეხებით ნათელი ხდება შიდაენობრივ ფაქტორთა პოსტულირება და მათი ამგები როლი. თუმცა ეს ფაქტორები გაუცნობიერებლად ფუნქციობენ, მეტიც, მთლიანად „ქვეცნობიერში“ (161) არსებობენ; ისინი არც შემთხვევითია და არც ინდივიდუალური, არამედ სწორედ სოციალურია, უფრო ზუსტად – კოლექტივისეულია.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სოსიურის სიტყვები, რომელთა გამოც მოვახდინეთ ეს ექსკურსი: „ყველა მოლაპარაკე ინდივიდში დაახლოებით ერთნაირი ფსიქიკური ხატების წარმოქმნა შეპირობებულია აღქმისა და კოორდინაციის უნართა ფუნქციობით“ (51).

„აღქმის უნარი“, როგორც ჩანს, მსმენელის უნარია, აღიქვას ნათქვამი ისე, რომ შექმნას (აღადგინოს) იგივე ნიშნები და „დაუკავშიროს ისინი იმავე ცნებებს“. რაც შეეხება კოორდინაციის უნარს, მასზე, როგორც ვნახეთ, საკმარის ბევრი ითქვა; კერძოდ, ის გამოიხატება ინდივიდუალთა საერთო უნარში, შექმნან მეტყველების სინტაგმატური სტრუქტურა, რაც თავის მხრივ განპირობებულია შიდაენობრივი ასოციაციური ფაქტორების მოქმედებით. მაგრამ ჩვენ არ ვუფიქრობთ, რომ ასოციაციისა და კოორდინაციის უნართა ზემოთმოყვანილი დახასიათება იმ უნარისა, რომელიც „უდიდეს როლს ასრულებს ენის, როგორც სისტემის, ორგანიზაციაში“, შეიძლება სრულად აღიწეროს მისი როლის ჩვენებით ერთგანზომილებიანი სივრცული მიმართების კონსტრუირებისას. საქმისადმი ასეთი მიდგომა მიგვიყვანდა სრული პარალელიზმის დაშვებამდე სივრცულ კოორდინაციასა და ასოციაციურ კავშირთა შორის, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, სინტაგმატურსა და ასოციაციურს, გარეგან სტრუქტურასა და შიდა ორგანიზაციას, აქტუალურსა და ვირტუალურს, გამოხატულებასა და შინაარსს, მატერიალურ და იდეალურ ასპექტებს შორის.

თუ აღმოჩნდება, რომ ელემენტთა მატერიალური ნაწილის იგივეობა სრულიად საკმარისია მოსაუბრე ინდივიდებში ერთნაირი ფსიქიკური ანაბეჭდების წარმოსაქმნელად, მაშინ, რა თქმა უნდა, მოყვანილი მტკიცება საფუძვლიანი იქნება და სოციალური „შუა ხაზი“ შეიძლებოდა ამოგვეწერა მატერიალური ნიშნების დახასიათებით.

მაგრამ სოსიური უარყოფს ამგვარ დაშვებას და არ თვლის საჭიროდ, მატერიალური საზომები გამოიყენოს ენის სოციალური არსის დემონსტრაციის დროს.

შემდგომი მსჯელობა გეიჩვენებს, თუ რა მცირეა და მოკიდებული სოციალური ერთობა ენობრივ კოლექტივში ელემენტთა მატერიალური მხარის იგივეობაზე (მეორე მხრით, ის არ შეიძლება აღიწეროს ფსიქოლოგიური ტერმინებით, რადგან აკუსტიკური ხატის ცნებასთან შეერთება, რომელიც მეტყველებითი კომუნიკაციის დროს ერთნაირად ხორციელდება მოლაპარაკესა და მსმენელს შორის, სულაც არ

არის ფსიქოლოგიური აქტი, თუმცა ყველაფერი ეს ფსიქიკაში მიმდინარეობს და თითქოს ძნელია ამ პროცესისთვის სხვა ადგილის გამოძებნა).

მაინც რას შეიძლება დაეფუძნოს ინდივიდთა ენობრივი ერთობა, მათი რეაქციების მსგავსება, თუ არა საკომუნიკაციო ინსტრუმენტის იდენტურობას?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავერკვეთ სოსიურის მსჯელობაში იგივეობის (იდენტიფიკაციის) პრობლემის შესახებ, რომელიც მჭიდრო კავშირშია ენობრივი ერთეულის, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტის, არსის პრობლემასთან.

იგივეობის ორი ტიპი

იგივეობის ორი ტიპის გარჩევის მიზნით, „კურსში“ ჩატარებულია საინტერესო შეპირისპირებანი ექსტრალინგვისტური სფეროდან, რომლებიც განმარტავენ ენობრივი იგივეობის მატერიალურ და არამატერიალურ ასპექტებს; ამიტომ მათზე მსჯელობა აქ შედარებით ვრცლად წარმოვადგინეთ. ფ. დე სოსიური ლაპარაკობს, მაგალითად, ენევეა-პარიზის ორი ჩქარი მატარებლის იგივეობაზე, რომლებიც ერთმანეთის შემდგომ გადიან 24 საათის ინტერვალით, სადამოს 8 საათსა და 45 წუთზე; მისი აზრით, ეს ერთი და იგივე ჩქარი მატარებელია, თუმცა მათი ორთქლმავალი, ვაგონები და მატარებლის ბრიგადა – ყველაფერი მათში განსხვავებულია (141). ანდა, რომელიმე ქუჩაზე დაანგრეეს ყველა სახლი და შემდგომ მასზე ახალი შენობები აღმართეს; ჩვენ ვამბობთ, რომ ქუჩა იგივეა, თუმცა, მატერიალური ძველიდან მასზე არაფერი დარჩენილა. რატომაა შესაძლებელი ქუჩის ნაგებობათა სრული შეცვლა ისე, რომ ქუჩა არ შეიცვალოს? იმიტომ, – დაასკვნის ავტორი, – რომ ქუჩის არსი „არაა წმინდა მატერიალური“. მაშ, რაღაზეა დაფუძნებული მისი არსი? ის დამყარებულია ზოგიერთ პირობაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქუჩის შემთხვევით მასალასთან; ასეთი პირობაა, მაგალითად, ქუჩის მდებარეობა სხვა ქუჩების მიმართ. „ამდენადვე, ჩვენი წარმოდგენა ჩქარ მატარებელზე შექმნილია მისი გასვლის დროით, მარშრუტით და, საერთოდ, ყველა იმ

ვითარებით, რაც მას სხვა მატარებლებისაგან განასხვავებს“. ამგვარად: „ყოველთვის, როცა სრულდება ერთი და იგივე პირობები, მიიღება ერთი და იგივე ოდენობები და, ამასთან, ეს ოდენობები არაა აბსტრაქტული, რადგან ქუჩა ან ჩქარი მატარებელი წარმოუდგენელია მატერიალური განხორციელების გარეშე“ (იქვე).

„დაეუპირისპიროთ ამ ორ მაგალითს – განაგრძობს ავტორი – სრულიად სხვა შემთხვევა, კერძოდ, ჩემი კოსტუმის მოპარვა; შემდგომში მე მას მეწერილმანყე ვაჭართან წაეაწყდი“. აქ, ავტორის მიხედვით, საქმე ეხება მატერიალურ არსს, რომელიც სწორედ ინერტული სუბსტანციის – მაუდის, სარჩულისა და სხვა ამდაგვარის სახით არის მოცემული. სხვა კოსტუმი, როგორც არ უნდა წააგაედეს პირველს, ის აღარ იქნება. ამდენად: იგივეობა ენაში ჰგავს არა იგივეობას კოსტუმისა, არამედ – მატარებლისა და ქუჩისა“. ყოველთვის, ამბობს სოსიური, როცა ვიყენებთ, მაგალითად, სიტყვას Messieurs!, „ბატონებო“, ჩვენ განვყავართ მის მატერიალურს; როცა საჯარო მოხსენებაზე გვესმის გამუდმებით განმეორებადი სიტყვა „ბატონებო“, უტყუარად ვგრძნობთ, რომ ის ერთი და იგივე სიტყვაა, მიუხედავად იმისა, რომ ინტონაციები და წარმოთქმის სხვა თავისებურებანი საკმაოდ ბევრით განსხვავებას გვიჩვენებს (141). თუკი მოცემული სიტყვა ერთი და იგივეა, მიუხედავად ფიზიკური ვითარებისა მეტყველებით გამოყენებაში, მაშინ რას წარმოადგენს ის არამატერიალური, რომელიც ვლინდება, როგორც საერთო, სიტყვის მეტყველებით გამოყენებაში? იქნებ ეს ფსიქოლოგიური შინაარსია? სრულიადაც არა. „კაეშირი ერთი და იმავე სიტყვის ორ გამოყენებას შორის, სოსიურის მიხედვით, ემყარება არა აზრთა ზედმიწევნით მსგავსებას, არა მატერიალურ იგივეობას, არამედ რაღაც სხვა ელემენტებს, რომლებიც უნდა ვიპოვოთ და რომლებიც დაგვეხმარებიან, შევიცნოთ ენობრივ ერთეულთა ჭეშმარიტი ბუნება. ამიტომ ახალი ხმარება სიტყვისა „ბატონებო“ არის არა მარტო ახალი ბგერითი აქტი, არამედ – „ახალი ფსიქოლოგიური აქტიც“. გამოდის, რომ სიტყვა („ბატონებო“) ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ისევე ლაბილურია, როგორც ფიზიკურით. ავტორი უფრო შორს მიდის: „იგივეობის

ცნობიერება უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ სემანტიკის მხრივაც არ არსებობს სრული იდენტურობა სიტყვა „ბატონებო“-ს ორ გამოყენებას შორის; გავიხსენოთ ისიც, რომ სიტყვა შეიძლება საკმაოდ დაშორებულ იდეებს გამოხატავდეს და, ამასთან, მისი იგივეობა არ განიცდიდეს მნიშვნელოვან „რღვევას“. აქ სოსიური ასახელებს ორ მაგალითს: adopter une mode („მოდის გადაღება“) და adopter un enfant („ბავშვის აყვანა“), la fleur du pommier („ვაშლის ყვავილი“) და la fleur de la noblesse („არისტოკრატიის ნაღები, სიტყვა-სიტყვით, „არისტოკრატიის ყვავილი“, გ.რ.) (141). შდრ. ქართული – „ჭკუას არიგებს“ და „ფულს არიგებს“. ჩანს, რომ ის სემანტიკასაც ლაბილურად მიიწნევს; სოსიური აქ სემანტიკის ტრადიციულ გაგებას, ე.ი. სიგნიფიკაციას უნდა გულისხმობდეს.

რატომ არ შეუძლია სიტყვის სიგნიფიკაციურ მხარეს, ე.ი. ექსტრაენობრივ მოვლენაზე მითითებას, სიტყვის იდენტურობის უზრუნველყოფა მეტყველების დროს?

ენობრივი ნიშნის სტრუქტურა, ნომენკლატურის კრიტიკა აქ წამოიჭრება ენობრივი ნიშნის სტრუქტურის პრობლემა, დამუშავებული „კურსში“ ნომენკლატურის თეორიის კრიტიკის საფუძველზე.

ავტორის აზრით, ბევრისათვის ენა, თავისი ნამდვილი არსით, სწორედ ნომენკლატურას წარმოადგენს. ე.ი. ტერმინთა კრებულს, შესატყვისს საგანთა იმავე რაოდენობის კრებულისა, მაგალითად: „ხე“, „ცხენი“.

ფ. დე სოსიური თელის, რომ „ასეთი შეხედულება საკრიტიკოა მრავალი თვალსაზრისით, რადგან გულისხმობს უკვე მზა იდეების არსებობას, რომლებიც სიტყვებს უსწრებენ, თანაც იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორია სახელდების ბუნება: ფიზიკური თუ ფსოქოლოგიური, რადგან სიტყვა „ხე“ შეიძლება განხილულ იქნეს ორივე თვალსაზრისით. დასასრულ, ამის მიხედვით შეიძლება ივარაუდონ, რომ კავშირი, რაც აერთებს სახელს სჯგანთან, არის რაღაც სრულიად მარტივი; ასეთი გაგება ძალიან სცილდება ჭეშმარიტებას“(99).

ენობრივი ნიშანი, ავტორის მიხედვით, აერთებს არა საგანსა და სახელს, არამედ ცნებასა და აკუსტიკურ სახეს. ეს უკანასკნელი არ არის მატერიალური ბგერა, არამედ ბგერის ფსიქიკური ანაბეჭდია, წარმოდგენა, რაც მივიღეთ მის შესახებ ჩვენი გრძნობათა ორგანოების მიხედვით; იგი გრძნობადი სახეა და თუ ჩვენ „მატერიალურს“ მაინც ვარქმევთ, მხოლოდ ამ აზრით და იმის გამო, რომ დაფუძირისპიროთ ასოციაციის მეორე მომენტს – ცნებას, საზოგადოდ უფრო „აბსტრაქტულს“. ავტორის ორიგინალური მსჯელობით, „ენობრივი ნიშანი არის ორბუნებოვანი ფსიქიკური რაობა“, სადაც „ორივე ეს ელემენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიმეორესთან და ერთმანეთს მიიზიდავს“ (99). გავრცელებული გაგება თუმცა სხვაგვარია, იგი მაინც ტოვებს სიტყვა „ნიშანს“, რომელიც შეიცავს ორ მომენტს: „აღმნიშვნელსა“ და „აღსანიშნს“ – ნაცვლად შესაძლებელი „აკუსტიკური ხატისა“ და „ცნებისა“; აქ პირველ ორ ტერმინს ის უპირატესობა აქვს, რომ ისინი მიუთითებენ შეპირისპირებაზე, რაც მათ შორისაა და მთელზე, აგრეთვე, საკუთრივ თავის თავზე, როგორც ამ მთელის ნაწილებზე. ასეთი თეორია წამოაყენა ენობრივი ნიშნისა ფერდინანდ დე სოსიურმა.

აქვე შემოაქვს მას ნიშნის ნებისმიერობის თუ პირობითობის პრინციპი. „კავშირი, შემაერთებული აღსანიშნისა და აღმნიშვნელისა ნებისმიერია, ანდა სხვაგვარად, რამდენადაც ჩვენ რაღაც მთელს ვგულისხმობთ, გამომდინარეს აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ასოციაციიდან, ვამბობთ მარტივად: „ენობრივი ნიშანი ნებისმიერია“ (100).

მაგალითად, „ხარის“-ს ცნება არაეითარი შინაგანი მიმართებით არ არის დაკავშირებული ქართულ ბგერათა თანმიმდევრობასთან. მაგალითად, ცნება „ხ-ა-რ-ი“, შდრ. რუსულად ხнак, გერმანულად Ochse. პირობითობა მტკიცდება ენათა შორის სხვაობის არსებობით და სხვადასხვა ენათა არსებობის თვით ფაქტითაც. აღმნიშვნელი არამოტივირებულია, ე.ი. პირობითია სათანადო აღსანიშნის მიმართ, რომელთანაც მას არა აქვს არაეითარი ბუნებითი კავშირი (101).

ნიშნის პირობითობის (ნებისმიერობის) ფაქტთან დაკავშირებით ბევრი რამ ითქვა. ე.ბენვენისტი, მაგალითად, იმ

ასრისაა, რომ პირობითობა არ არის „ფაქტორი ნიშნის შინაგანი ორგანიზაციისა“ (3,94). მეტიც: პირობითობის სფერო „გასატანია ენობრივი ნიშნის საზღვრებს გარეთ“ (3,93), რადგან იგი ეხება ენობრივი ნიშნის საგანთან ურთიერთობას. ჩვენ დაეუმატებდით: ენა რომ ნომენკლატურა არ არის (98), ამ დებულების საილუსტრაციოდ მის მიერ მოტანილი მაგალითები „ხე“ და „ცხენი“ ნაკლებად გამოსადეგია, რადგან მათი გამოყენება საგანთა მთელ კლასს გულისხმობს და არა „რაიმე გარკვეულ საგანს“. სხვანაირად: ესენი ენის სისტემაში ჩართული სიტყვებია და არა სახელწოდებანი რომელიმე კონკრეტულად მოცემული საგნისა. სახელწოდება არის „ბგერითი ფორმა+საგანი“, სიტყვა კი (11)სამწვერიან მიმართებაშია ჩართული: „ბგერითი ფორმა+შინაარსი (ღირებულებით განმტკიცებულნი)+საგნები“; ამ სქემის პირველი ორი წევრი ლინგვისტიკას განეკუთვნება, სახელწოდებაში კი მხოლოდ აღმნიშვნელის სტრუქტურა იქნება ენათმეცნიერებისათვის საინტერესო. პირობითობა, ამდენად, სახელწოდების ფაქტია და არა სიტყვისა. ამას, რა თქმა უნდა, ვერ არჩევს ჩვეულებრივი მეტყველი (ზოგჯერ ლინგვისტიც ვერ ხედავს სიტყვისა და სახელწოდების განსხვავების თეორიულ მნიშვნელობას): აღსანიშნო პგონიათ ყოველი ენის აღმნიშვნელისთვის უცვლელი და ამ ენათათვის საერთო, ენის გარეთ მდებარე.

ბგერითი ნაკადის შინაარსობრივი დანაწევრება

არის თუ არა ენობრივი ნიშნები ენის კონკრეტული ოდენობები?

ამ კითხვას პასუხი უნდა გავცეთ მანამდე, ვიდრე ენაში ღირებულების საკითხს შევეხებოდეთ.

ფ. დე სოსიურის მიხედვით, ენაში შემავალი ნიშნები არის რეალური ობიექტები და არა აბსტრაქციები. მათ და მათს ურთიერთობას შეისწავლის ლინგვისტიკა. მათ შესაძლებელია ეწოდოს ამ მეცნიერების კონკრეტული არსი (ფაქტი) (135).

მითითებულია ორ ძირითად პრინციპზე:

1. კონკრეტული ენობრივი არსი (ენობრივი ფაქტი) არსებობს მხოლოდ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ასოციაციის

ძალით. როგორც კი ერთ-ერთს ამ ელემენტთაგან გამოვტოვებთ, იგი გაქრება და კონკრეტული ობიექტის ნაცვლად შეგერჩება მხოლოდ წმინდა აბსტრაქცია. ყოველ წამს ჩვენ ვწვეთ რისკს იმისა, რომ ეუფულებით ამ არსის ნაწილს, გვგონია კი, რომ გავითვალისწინეთ იგი მთლიანად. ეს, მაგალითად, ნამდვილად მოხდება, თუ სამეტყუელო ნაკადს დაეყოფთ მარცვლებად. მარცვალს ღირებულება მხოლოდ ფონოლოგიაში აქვს. ბგერათა რიგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ენობრივი სიდიდე, თუ მატარებელია რაიმე იდეისა; თავის თავად აღებულნი, იგი მხოლოდ მასალაა ფიზიოლოგიური გამოკვლევისათვის.

იგივე ითქმის აღსანიშნის შესახებაც, როგორც კი დავაცილებთ მას თავის აღმნიშვნელს. ისეთი ცნებები, როგორიცაა „სახლი“, „თეთრი“, „ნახვა“ და ა.შ., განხილულნი თავისთავად, განეკუთვნება ფსიქოლოგიას; ენობრივ ოდენობად იგი გადაიქცევა მხოლოდ აკუსტიკურ სახესთან ასოციაციის შემდეგ. აქ უკვე მოცემულია სინთეზური კავშირის ჩანასახები: შეერთებისას ახალ ოდენობას ვიღებთ, საკუთრივ ენობრივს; მანამდე კი ერთი ფიზიკური და მეორე ფსიქიკური. ლინგვისტიკა, შესაბამისად, არის „ფიზიკისა და ფსიქოლოგიის საზღვარზე“ (იქვე).

ავტორი იხსენებს, რომ ხშირად აღარებენ ამ ორმხრივ ერთიანობას ადამიანური პიროვნების ერთიანობას, შემდგარს სხეულისა და სულისაგან. ანალოგია ნაკლებ დამაკმაყოფილებელია. „უმჯობესია იგი შევუდაროთ ქიმიურ შენაერთს, მაგალითად, წყალს, რომელიც შედგება წყალბადისა და ჟანგბადისაგან; ცალკე აღებულნი, თითოეული ამ ელემენტთაგან არ ატარებს წყლის არავეითარ თვისებას“ (135). ეს არის მარჯვედ შერჩეული ანალოგია: ჩვეულებრივ, მართლაც გავრცელებულია სხეულისა და სულის ანალოგია, ან მატერიალურისა და იდეალურისა. ნამდვილად კი აქ უფრო მეტად გამოიყოფა სინთეზის შემდეგ მატერიალურიცა და იდეალურიც. მართლაც, ეს უფრო სინთეზური კავშირია და არა ასოციაცია.

2. კონკრეტული ენობრივი არსი (ენობრივი ფაქტი) განი-საზღვრება მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოყოფილია ყვე-ლაფრისაგან, რაც მას ირგვლივ ახლავს ბგერათნაკადში. ეს გამოყოფილი ოდენობები თუ ერთეულები არიან სწორედ დაპირისპირებულნი ენობრივს მექანიზმში (136).

ერთი შეხედვით, ბუნებრივი ჩანს შედარება ენობრივი ნიშნებისა ვიზუალურ (ოპტიკურ) ნიშნებთან, რომელთაც შეუძლიათ თანაარსებობა სივრცეში, ერთმანეთში შეურე-ლად; ამასთან დაკავშირებით იქმნება ყალბი წარმოდგენა, თითქოს ღირებულების მქონე ელემენტთა დაყოფაც შესაძლე-ბელია ამგვარადვე, ყოველგვარი გონებრივი ძალისხმევის გა-რეშე. ტერმინი „ფორმა“, გამოყენებული ხშირად მათ აღ-სანიშნადად (შდრ. გამოთქმები „ზმნური ფორმა“, „სახელური ფორმა“), ხელს უწყობს ამგვარი ცთუნების განმტკიცებას. მაგრამ ბგერითი ნაკადის ძირითადი თვისება ხაზობრიობაა. ბგერითი ნაკადი, თავისთავად აღებული, არის ხაზი, განუწყვეტელი ლენტი, სადაც ყური არ არჩევს არავითარ ნათელ და ზუსტ დაყოფას; რომ ვიპოვოთ ეს დაყოფა, უნდა მივმართოთ მნიშვნელობებს; სოსიურის მიხ-ედვით გამოდის, რომ მნიშვნელობის გარეშე სეგმენტაციას ვერ მოვახერხებთ ბგერით ნაკადში;⁴ როცა ჩვენს ყურს ესმის უცნობი ენა, ჩვენ არა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ, თუ როგორ უნდა განხორ-ცილდეს ანალიზი ბგერათა ამ თანამიმდევრობისა. საქმე ისაა, რომ ამგვარი ანალიზი შეუძლებელიც იქნება, თუ მხედველობაში გვექნება მხოლოდ ბგერითი ასპექტი ენობრივი ფენომენისა. მა-გრამ როცა ვიცით, რა საზრისი და რა რო-ლი უნდა დაეკისროს ბგერითი ნაკადის ყო-ველ ნაწილს, მაშინ ამ ნაწილებს გაეარჩევთ ერთიმეორისაგან და უფორმო ლენტი დაიყ-

⁴ ჩვენ აღვნიშნეთ ის ადგილები, სადაც ენობრივი შინაარსის მიერ ბგერითი ნაკადის დანაწევრება ვივარაუდეთ; (უკვე თავშივე იხილეთ გვერდი 45).

ოფა ნაწილებად. ამ ანალიზში არაფერია მატერიალური; რა თქმა უნდა, აქ ჩანს შინა-არსობრივი საზომის უპირატესობაც.

ამგვარად, ენა არ არის წინასწარ გარჩეული ნიშნები, რომელთა მნიშვნელობა და განაწილება არის თითქოს შესასწავლი. ნამდვილად იგი განუყოფელი მასაა, სადაც მხოლოდ ყურადღებიანობა და ჩვევა განარჩევს შემადგენელ ელემენტებს. ენობრივი ერთეული არაერთგვაროვანი სპეციალური ბგერითი ბუნების მატარებელი არ არის და მისი ერთადერთი განსაზღვრა ასეთი შეიძლება იყოს: ბგერადობის მონაკვეთი, იმის გამოკლებით, რაც მას უსწრებს და იმისაც, რაც მას მოსდევს, მეტყველების ნაკადში გვევლინება „აღმნიშვნელოვან“ რაღაც ცნებისა (136).

დანაწევრების მეთოდზე იგი ასეთი აზრისაა: ყოველი, ვინც კი ენას ფლობს, განარჩევს მის ერთეულებს უმარტივესი წესით, – თეორიაში მაინც. ეს წესი იმისთვისაა საჭირო, რომ მიუახლოვდეთ მეტყველებას, როგორც ენის დოკუმენტს და გამოვსახოთ იგი ორი პარალელური ჯაჭვის სახით, ცნებათა ჯაჭვით (A) და აკუსტიკურ სახეთა ჯაჭვით (B).

დაყოფის სიზუსტე მოითხოვს, რომ დაყოფა, გატარებული აკუსტიკური ნაკადის მიმართ (a,b,v ...), შეესაბამებოდეს ცნებათა ნაკადს (a',b',v' ...) (იქვე).

ავტორი სვამს კითხვას: ადვილია კი თეორიულად ასე მარტივი წესის პრაქტიკულად გამოყენება? შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მარტივია, თუ იმ წარმოდგენით ვიხელმძღვანელებთ, რომ გამოსაყოფი ერთეული არის სიტყვა; მართლაც, თითქოს რა არის ფრაზა, თუ არა სიტყვათა კომბინაცია და არის განა რაიმე ასე უშუალოდ მოცემული? იგი თვლის, რომ სიტყვაში არ უნდა ვეძებოთ ენის კონკრეტული ერთეული. ამასთან, ბევრი სიტყვა რთულ შენაერთად გვევლინება, სადაც არ არის ძნელი, გამოვყოთ ქვედა რიგის მოვლენები (სუფიქსები, პრეფიქსები, ფუძეები), ნაწარმოებნი, მაგალითად: კაც-ური, ცხენ-ოსანი, ქუდ-იანი – იყოფა ცალკეულ ნაწილებად, რომელთაგან თითოეულს გარკვეული მნიშვნელობა აქვს და გარკვეული როლი. პირუქუ: გვაქვს ერთეულები სიტყვაზე უფრო ფართეც: შედგენილი სიტყვები

(ორთქლ-მაგალი, რკინის-გზა), გამოთქმა (როდის აქეთია), უღვლილების ფორმები (იგი წაიკითხავს) და ა.შ. მაგრამ ამ ერთეულთა დანაწევრებისას, ისევე, როგორც საკუთრივ სიტყვების გამოყოფისას, ვაწყდებით ერთსა და იმავე სიძნელეებს. მართლაც, მეტისმეტად ძნელია იმის დადგენა, თუ რა კონკრეტული ოდენობებით ოპერირებს ენა (138).

მოლაპარაკე სუბიექტებისთვის უცხოა, რა თქმა უნდა, ეს სიძნელეები; ყველაფერი, რაც რამდენადმე ღირებულების მქონეა, აღიქმება მათ მიერ, როგორც კონკრეტული ელემენტი და ისინი უტყუარად გამოიცნობენ ხოლმე მას მეტყველებაში. მაგრამ ერთია იგრძნო ეს სწრაფი და უფაქიზესი ურთიერთმოქმედება ერთეულებისა და სხვა საქმეა, მეთოდურად გააანალიზო ისინი.

ერთი გაერცვლებული თეორიის მიხედვით, ერთადერთ კონკრეტულ ერთეულებად ჩათვლილია ფრაზები: ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ ფრაზებით და მხოლოდ ამის შემდეგ გამოგვყავს მათგან სიტყვები. მაგრამ, პირველყოელისა, გამოსარკვევია, რამდენად შედის ფრაზა ენის სფეროში. თუ იგი მეტყველების სფეროში შედის, მაშინ მას ვეღარ ჩავთვლით ენის ერთეულად. დაეუშვათ, რომ ეს სიძნელე დაძლეულია. თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ფრაზათა მთელს ერთობლიობას, რომელთა წარმოთქმაც შესაძლებელია, ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება იქნება მათი სრული არაერთნაირობა. ერთი შეხედვით, გამართლებული შეიძლება მოგვეჩვენოს ფრაზათა დიდი ნაირსახიანობის ანალოგია არანაკლებ ნაირსახიანობასთან, რომელიც გეხედება ერთი ზოოლოგიური სახეობის შიგნით; მაგრამ ეს ილუზიაა, — ამბობს ავტორი, — „ერთი სახეობის ცხოველებისთვის ზოგადი ნიშნები“ უფრო არსებითია, ვიდრე მათი სხეობის მარეგნებელი; ფრაზებში, პირიქით, ჭარბობს განსხვავება და თუ დავეძნედი იმ საერთოს, რაც მათ აკავშირებთ ამ მრავალფეროვნების ფონზე, წავაწყდებოდით, ჩვენდა უნებურად, ისევე სიტყვას თავისი გრამატიკული თვისებებით და კვლავ აღმოვჩნდებოდით სიძნელეთა წინაშე (139).

ავტორი, ალბათ, ფიქრობს, რომ შინაარსის პრინციპის გამოკენება ფრაზის მიმართ არ არის ადვილი და ამიტომაც

„აღმოვჩნდებით სიძნელეთა წინაშე“. დანაწევრება გაძნელებულია. და მაინც, დანაწევრების პრინციპი ენის მთელს სისტემას გამსჭვალავს. იგი თავისებური შესავალია ღირებულების თეორიაში. ამ ორი პრინციპის ცხადყოფა განსხვავებულ ენათა შედარებიდან უფრო ეფექტურია. ავტორს მოაქვს თვალსაჩინო მაგალითი გრამატიკიდან: „ფრანგულის მრავლობითის ღირებულება არ ფარავს სანსკრიტის მრავლობითის ღირებულებას, თუმცა მათი მნიშვნელობა მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს. საქმე ისაა, რომ სანსკრიტში მრავლობითობა ორი კი არა, სამია („ჩემი ყურები“, „ჩემი თვალები“, „ჩემი ხელები“, „ჩემი ფეხები“ იქნებოდა სანსკრიტში ორობითი რიცხვის ფორმა). არ იქნებოდა ზუსტი, ერთი და იგივე ღირებულება მიგვეწერა მრავლობითი რიცხვისთვის სანსკრიტსა და ფრანგულში, რადგან სანსკრიტულ ენაში არა ყოველგვარს იმ ვითარებაში გამოიყენება მრავლობითი რიცხვი, სადაც ფრანგულში; ამდენად, მრავლობითი რიცხვის ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, რა იმყოფება მის გარეთ და მის გარშემო სისტემაში“ (149).

ჯერ დანაწევრების, შემდეგ კი ღირებულების ფუძე-პრინციპებით ახლებურად გაშუქდება ცნებათა მთელი სისტემა და მივალთ მნიშვნელოვან პრობლემამდე, რომლის მიხედვითაც რაგინდარა ძირითადი კატეგორია უშუალოდ არის დამოკიდებული იმ ცნებაზე, რაც ავტორმა მიიღო კონკრეტული ერთეულის შესახებ და შეერწყმის კიდევ მას. ამის ჩვენება აქვს განზრახული მას, რომელიც ჯერ თანმიყოლებით განიხილავს იგივეობის, რეალობისა და, შემდეგ, ღირებულების კატეგორიას. მივეყვით სვენც ავტორს და ჩავთვალოთ ღირებულება ამხსნელად.

ა. რა არის სინქრონული იგივეობა?

აქ ლაპარაკია არა იმ იგივეობაზე, რომელიც აერთიანებს „ი“-ს (კაცი) – იგი-სთან (კაცი-იგი). ასეთი იგივეობა დიაქრონული რიგისაა.

საკითხი ეხება იგივეობას, არანაკლებ საინტერესოს, რომლის მიხედვითაც ვამტკიცებთ, რომ ორი ფრაზა: „მე არ ვიცი“ და „ეს არ გააკეთოთ“ – შეიცავს ერთსა და იმავე ელემენტს. შეიძლება გვითხრან, რომ პრობლემის ასე დასმა

ხელოვნურია, რადგან იგივეობა აქ უკვე გვაქვს თუნდაც იმიტომ, რომ ორსავე ფრაზაში ბგერადობის ერთი და იგივე მონაკვეთი ერთი და იმავე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი; მაგრამ ასეთი ახსნა არ არის დამაკმაყოფილებელი. თუ ბგერითი მონაკვეთებისა და ცნებათა შესატყვისობა ამტკიცებს იგივეობას, „შებრუნებული სახით ეს მსჯელობა არასწორია, რადგან ასეთი შესაბამისობის გარეშეც გვაქვს იგივეობა“ (140). აქ უკვე სრული სიცხადით არის მოცემული მითითება შინაარსის კრიტერიუმის უპირატესობის შესახებ. როცა ჩვენ გვესმის საჯარო მოხსენების დროს ხშირად ხმარებული სიტყვა „ბატონებო!“, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ყოველი განმეორების დროს ეს იგივე ოდენობაა, თუმცა მისი ვარიაციები წარმოთქმასა და ინტონაციაში, სხვადასხვა გამოთქმებში, ქმნის ისეთ არსებით განსხვავებას, როგორც სხვა შემთხვევებში გვაქვს, სადაც უკვე ასეთმა სხვაობამ სხვადასხვა ერთეულები მოგვცა (მაგ. აგებს – აქებს, კარი – ქარი). გარდა ამისა, იგივეობის შეგრძნება ძალაშია იმისდა მიუხედავად, რომ არ არის სრული იგივეობა სემანტიკური თვალსაზრისითაც „ბატონებო“ სიტყვის ერთ გამოყენებასა და სხვაგვარ გამოყენებაში. გავიხსენოთ ისიც, რომ სიტყვამ შეიძლება გამოხატოს იდეები ერთიმეორისაგან დიდად დაცილებული და, ამავე დროს, იგივეობა შესამჩნევად არ შეიძლება.

მთელი ლინგვისტური მექანიზმი აგებულია მთლიანად იგივეობასა და განსხვავებებზე, თანაც, ეს უკანასკნელი პირველის შებრუნებული სახეა. ამის გამო, იგივეობის პრობლემა ყველგან ჩნდება, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ნაწილობრივ ემთხვევა ობიექტისა (არსის) და ერთეულის პრობლემას, წარმოადგენს რა მის გართულებასა და გამდიდრებას (141).

ბ. რა არის სინქრონული რეალობა? ენის რა კონკრეტულ და აბსტრაქტიულ ნაწილებს უნდა ეწოდოს იგი?

ავიღოთ მაგალითისთვის მეტყველების ნაწილთა გარჩევა: რას ემყარება კლასიფიკაცია სიტყვებისა არსებით სახელეობად, ზედსართავებად და სხვა? ხორციელდება თუ არა იგი წმინდა ლოგიკურის და, ამდენად, არალინგვისტური პრინციპის მიხედვით, გარედან პროუცირებით გრამატიკაზე ისე,

როგორც, ვთქვათ, გრადუსთა ბადეა (გრძედის, განედის) დედამიწის სხეულის მიმართ? თუ იგი შეესაბამება რაიმეს – ენის სისტემაში არსებულს და მით განპირობებულს? ერთი სიტყვით, სინქრონულია განა ეს რეალობა? ეს მეორე ვარაუდი სწორი ჩანს, მაგრამ შეიძლება პირველიც ირწმუნოს კაცმა ფრაზაში – „იყიდე კასრი მუხისგან გაკეთებული“. არის აქ „მუხისგან“ ზედსართავი? ლოგიკური აზრი მას ზედსართავისა აქვს, მაგრამ ნაკლებ საფარაუდოა ეს გრამატიკულად: იგი არ „იქცევა“ ისე, როგორც ზედსართავი (არ იბრუნვის, არასოდეს არ დგას არსებითის წინ და ა.შ.). გარდა ამისა, „მუხისგან“ შედგენილია; სწორედ მეტყველების ნაწილთა გარჩევა უნდა დაედოს საფუძველად სიტყვათა კლასიფიკაციას ენაში. აქ საქმე გვაქვს არაზუსტ და არასრულ კლასიფიკაციასთან; სიტყვების დაყოფა არსებით სახელად, ზმნად, ზედსართავად და ა.შ. არ არის შეუკრყველი ლინგვისტური რეალობა.

ამგვარად, ლინგვისტიკა იყენებს გრამატიკოსების მიერ შეშუშავებულ ცნებებს, რომელთა შესახებაც არ ვიცით, შეეფერებიან თუ არა ისინი რეალურად ენობრივი სისტემის კონსტიტუციურ ფაქტორებს. მაგრამ ამას როგორღა გაეიგებთ? თუ ესენი ფიქციაა, მაშინ რა რეალობები უნდა დაეუპიროს-პიროთ მათ? (142).

თავიდან რომ ავიცილოთ ილუზია, უნდა ვიცოდეთ, რომ ენის კონკრეტული ერთეულები არ გამოვლინდება თავისთავად, რათა მოხერხებული იყოს დასაკვირვებლად. საჭიროა მათი ძიება და პოვნა და მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება საქმე რეალობასთან; მისგან გამომდინარე შეეკლებთ უკვე დადამუშაოთ ყველა კლასიფიკაცია, რაც კი აუცილებელია ლინგვისტიკისთვის, რომ მასში შემავალი ფაქტები მოვაწესრიგოთ. მეორე მხრივ, თუ ასეთი კლასიფიკაციების დროს, ენის კონკრეტული ოდენობების ნაცვლად, რაღაც სხვას დავემყარებით, მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ მეტყველების ნაწილებია ენის ფაქტორები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შეესაბამებიან ლოგიკურ კატეგორიებს, ნიშნავს დაუვიწყოთ, რომ არ არსებობს ენობრივი ფაქტები ბგერითი მასალის გა-

რეშე, რომელიც დანაწევრებულია ღირებულების მქონე ელემენტებად (იქვე).

გ. ბოლოს და ბოლოს, ამ თავში მოტანილი ცნებები არ განსხვავდებიან თავისი არსით იმისაგან, რასაც ავტორი ღირებულებას (valeur) არქმევს. ჭადრაკთან შედარება ცხადს ხდის ამას. არის, მაგალითად, მხედარი თავისთავად თამაშის ელემენტი? რა თქმა უნდა, არა, რადგან თავისი წმინდა მატერიალობის, თავისი ადგილისა და თამაშის სხვა პირობათა გარეშე, იგი მოთამაშისათვის არაფერს არ წარმოადგენს: თამაშის კონკრეტულ და რეალურ ელემენტად იგი გადაიქცევა როგორც გარკვეული ღირებულების მქონე.

ფ. დე სოსიური დაასკენის: აი, რატომაა, რომ ღირებულების ცნება, საბოლოო ანგარიშით, ფარავს კონკრეტული ერთეულის, არსისა და რეალობის ცნებებს. და თუ მათ შორის არ არის ძირეული განსხვავება, ეს ნიშნავს, რომ პრობლემა შეიძლება დაისვას თანმიმდევრობით სხვადასხვა სახით. თუ მოვისურვებდით ერთეულის, რეალობისა და კონკრეტული არსისა თუ ღირებულების დეფინიციას – ეს მიგვიყვანდა იმავე ცენტრალური საკითხის დასამადე, რაც ბატონობს მთელს სტატიკურ ლინგვისტიკაში.

პრაქტიკული მოსაზრებით სასურველი იქნებოდა, დაგვეწყოვინის ერთეულებით, განგვესაზღვრა და კლასიფიკაცია მოგვეხდინა მათი ნაირსახეობისა. საჭირო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რას ემყარება სწორედ სიტყვებად დაყოფა, რადგან „სიტყვა“ – ამ ცნების განსაზღვრის სიძნელისდა მიუხედავად – არის ერთეული, ცხადად გამოვლენილი ჩვენს წინაშე და რაღაც ცენტრალური ენის მექანიზმი; ეს ერთი თემა იკმარებდა მთელი ტომის შესავსებად. შემდეგ უნდა გადავსულიყავით ქვედა რიგის ერთეულთა კლასიფიკაციაზე, შემდეგ უფრო ღიდი ერთეულებისა და ა.შ. ელემენტების ამგვარი განსაზღვრით, რითაც ჩვენი მეცნიერება ოპერირებს, იგი შეასრულებდა თავის ამოცანას მთლიანად, დაიყვანდა რა ამ გზით მის სფეროში შემავალ ელემენტებს ერთ ძირითად პრინციპზე. ვერ ვიტყვით, რომ ოდესმე დაუსვამთ პრობლემა ამ სახით, და რომ ესმოდეთ მისი მნიშვნელობა და სიძნელე. დღემდის ენის სფეროში და ყოველთვის კმაყოფილდებოდნენ

ოპერაციებით ერთეულებზე, რომელთა განსაზღვრაც არ იყო მოცემული.

და მაინც, კონკრეტულ ერთეულთა პირველხარისხოვანი მნიშვნელობისდა მიუხედავად, უმჯობესია პრობლემას მიუღწეოთ ღირებულების კატეგორიის მხრიდან, რადგან, ავტორის აზრით, მასში ვლინდება სწორედ აღნიშნული პრობლემის უმნიშვნელოვანესი ასპექტი (143).

წინასწარ ისევ უნდა შევნიშნოთ, რომ „ღირებულებათა დასადგენად აუცილებელია კოლექტივი“ (146). ეს მიუთითებს ენათა სპეციფიკის მათხვენებელ კონკრეტულ საფუძველზე. და შემდეგ: ღირებულებათა „არსებობას ამართლებს მხოლოდ ჩვევა და საერთო თანხმობა; ინდივიდი თავისთავად ვერ შექმნის ვერც ერთ ღირებულებას“ (იქვე).

აქ ფ. დე სოსიური სრულიად აშკარად მიუთითებს ღირებულებათა არსების არაუნივერსალისტურ საფუძველზე, რის შემდეგაც არკვევს ღირებულებათა რაობას.

კოლექტივები ენათა მიხედვითა და ენიდან ამოსვლით დაკონკრეტებულ სოციალურობაა, ამდენად, გარკვეული გაგებით, ენობრივ კოლექტივთან გვაქვს საქმე, ხოლო ღირებულების კონკრეტული (ემპირიული) დამასაბუთებელი ენათა შედარების ფაქტებია, რასაც ავტორი სისტემურ პრინციპს უქვემდებარებს; ე.ი. ეს კი არ არის ორ ენაში იზოლირებულად აღებული ენობრივი ერთეულების შედარება, არამედ შედარების ობიექტია ელემენტი, როგორც „თანაუარსკვლავედის“ წევრი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს შედარებითი სემანტიკის საწყისებთან (შედარებითი ბგერათმცოდნეობის გვერდით, ბგერა შემდგომში უნივერსალიების მაძიებელი ლინგვისტიკის ძირითად მასალად იქნა გამოყენებული). შედარებითი სემანტიკა ჯერ არ აგებულა, მაგრამ დანაწევრებისა და ღირებულების ცნებები ისე, როგორც შემდგომში „სემანტიკური ველის“ თეორია, ქმნიან ნაყოფიერ საფუძველს შინაარსზე ორიენტირებული ენათმეცნიერებისათვის, რომელიც არაუნივერსალისტურია.

ღირებულება და სინთეზის პრინციპი

ავტორი, იმაში დასარწმუნებლად, რომ ენა არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა წმინდა ღირებულებათა სისტემა, განიხილავს მასში შემავალ და ურთიერთობაში მყოფ ორ ელემენტს: იდეასა და ბგერას.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენი აზროვნება, თუ მოვახდენდით განყენებას მისი სიტყვებით გამოხატვისაგან, წარმოადგენს ამორფულ და უსახურ მასას. ფილოსოფოსებსა და ლინგვისტებს ყოველთვის ერთნაირად სწამდათ, რომ ნიშნების გარეშე ვერ შევძლებდით სათანადო სინათლითა და სტაბილობით გაგვეჩინა ერთი ცნება მეორისაგან. თავის-თავად აღებულები, აზროვნება ემსგავსება ნისლს, სადაც არაფერი არ არის დანაწევრებულად მოცემული, არ არსებობს წინასწარ დადგენილი აზრები და არ არსებობს არავითარი განსხვავებულობა ენის გამოჩენამდე(144).

ამ გაურკვეველ სინამდვილესთან შედარებით ხომ არ არის ბგერა, თავის მხრივ, რაღაც წინასწარ მოხაზული ოდენობა? არავითარ შემთხვევაში. ბგერითი სუბსტანცია არ არის რაღაც უფრო მყარი და გაქვევებული, ვიდრე აზროვნება; იგი არა მზა ფორმაა, რაშიაც უმტკივნეულოდ ჩამოისხმება აზრი, არამედ რბილი ნივთიერებაა, პლასტიკური მასალაა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ცალკეულ ნაწილებად, რათა იყვნენ აზრისთვის აუცილებელი „აღმნიშვნელები“. ამგვარად, ენობრივი ფაქტი შესაძლებელია გამოესახოთ სრულად, ე.ი. ენა წარმოვიდგინოთ თანამიმდევარ მომიჯნავე დაყოფათა რიგად, როგორც უსახურ იდეათა უსასრულო სფეროში (ა), ისე ბგერათა ასეთსავე უსახურ სფეროში (ბ).

ავტორის მიხედვით, ენის როლი აზრის მიმართ არ მდგომარეობს იდეის გამოსახატავად მატერიალური ბგერითი საშუალების შექმნაში, არამედ – იმაში, რომ იგი შუალედური აზროვნებასა და ბგერას შორის და თანაც იმგვარად, რომ შეერთებას გარდუვალად მიეყავართ ორსავე ნაწილში ერთეულთა დანაწევრებამდე. აზროვნება, თავისი ბუნებით ქაოსური, დაზუსტდება დაყოფისას. არა გვაქვს, ამგვარად, არც აზრთა მატერიალიზაცია და არც ბგერათა სპირიტუალიზაცია და ყველაფერი დაიყვანება იმ ერთგვარად

საიდუმლო მოვლენამდე, რომ „ბგერა-აზრი“ მოითხოვს რაღაც დაყოფის საჭიროებას, რომ ენა წარმოქმნის (გამოიშუშაყვებს) თავის ერთეულებს და თვითონაც კონსტრუირდება ორ უფორმო მასას შორის. სოსიურს მოჰყავს ანალოგია ტალღების მოძრაობისა წყლის ზედაპირზე, ატმოსფერული წნევის შეცვლის პირობებში: ეს ტალღები ქმნის, აეცორის აზრით, წარმოდგენას იმ კავშირ-ურთიერთობაზე, რაც აზრსა და ბგერით მასაღას შორის არსებობს.

შიიძლება ეუწოდოთ ენას არტიკულაციის სინამდვილე, თუ ამ სიტყვას გავიგებთ ისე, როგორც ეს გერმანულშია (gegliederte Sprache). ყოველი ენობრივი ელემენტი არის პატარა წევრი, articulus, რომლის შიგნითაც იდგა ჩამაგრდება ბგერით, ხოლო ბგერა იქცევა იდეის ნიშნად.

ენა შიიძლება შევადაროთ, აგრეთვე, ქაღალდის ფურცელს: აზრი - ესაა პირი, ხოლო ბგერა - მისი მეორე მხარე. შეუძლებელია გავჭრათ პირი, რომ არ გაიჭრას მეორე მხარე; ასევე, ენაშიც შეუძლებელია დავაცილოთ აზრი ბგერას და ბგერა აზრს, - ამას შიიძლება - მივადწიოთ მხოლოდ აბსტრაქციის გზით, რასაც უცილობლად მიყვავართ ან წმინდა ფსიქოლოგიამდე, ან კიდევ, წმინდა ფონოლოგიამდე (ფონეტიკამდე - გ.რ.).

ლინგვისტი, მაშასადამე, მოღვაწეობს იმ საზღვრითს ნაწილში, სადაც ორივე რიგის ელემენტები ერთდებიან; ეს შეერთება ქმნის ფორმას და არა სუბსტანციას. ეს ეეჭვება ლიელმსლევს (ამაზე ქვემოთ).

ეს მოსაზრებანი ნათელს ჰყვენს ნიშნის ნებისმიერობის შესახებ ნათქვამს. არა მხოლოდ ორივე სფერო ურთიერთთან დაკავშირებულ ენობრივს ფაქტში ბუნდოვანია და უფორმო, არამედ თვითონ შერჩევაც რომელიმე აკუსტიკური მონაკვეთისა ამა თუ იმ იდეისთვის სრულიად ნებისმიერია. ეს რომ სხვანაირად ყოფილიყო, ღირებულების ცნება დაკარგავდა რაღაც თვისებას, რადგან მასში აღმოჩნდებოდა რაღაც გარედან მოტანილი ელემენტი.

ფ. დე სოსიური სოციალური პირობის აუცილებლობაზე მიუთითებს: ნიშნის ნებისმიერობა, თავის მხრივ, ნათელს

ხდის, რომ მხოლოდ სოციალურ მოვლენას შეუძლია შექმნას ენობრივი სისტემა. აუცილებელია სოციუმში ღირებულებათა დასადგენად (რომელთა ერთადერთი დასაბუთებაც ხერხდება ჩვევისა და საერთო შეთანხმების მიხედვით, ინდივიდი მარტო ვერ შექმნის ვერც ერთ მათგანს). ავტორი დაასკვნის: ამგვარად, განმარტებული ღირებულების ცნება გეიჩვენებს, რომ უდიდეს ცთუნებას შეიცავს შეხედულება ენობრივ ელემენტზე მხოლოდ, როგორც რაღაც ბგერის რაღაც ცნებასთან კომბინაციაზე (146).

რაკი ვერ ვახერხებთ უშუალოდ ვწვდეთ ენის კონკრეტულ ოდენობებს, საანალიზო მასალისთვის უნდა მივმართოთ ისევე სიტყვებსო. თუმცა სიტყვა არ ემთხვევა ენობრივი ერთეულის ცნებას, მაგრამ მიახლოებით წარმოდგენას მაინც გვაძლევს და აქვს ის უპირატესობა, რომ კონკრეტულია. სიტყვათა მიმართ დადგენილ პრინციპებს ძალა ექნება სინქრონული ლინგვისტიკის რეალური სისტემის ელემენტებისა და საზოგადოდ ენობრივი ერთეულის მიმართ. კონკრეტულობა ენობრივი ერთეულისა მარტო მატერიალურ ასპექტს არ გულისხმობს.

ასოციაციის ისეთი ტიპების გვერდით, რომლებიც მატერიალური ელემენტების მსგავსებას ემყარება, მითითებულ იქნა სიტყვათა შესაძლო დაახლოებაზე საზრისის მიხედვით, რაც ენობრივი კოლექტივის წევრებში შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ აზრობრივი ერთობის გრძნობის საფუძველზე. უფრო თვალსაჩინო მაგალითი გრამატიკიდან, რომელსაც სოსიური მიმართავს, გვისურათებს ღირებულების პრობლემის შესაბამისობას იგივეობისა და ასოციაციური ბადის პრობლემებთან, როცა ასოციაცია დაფუძნებულია აზრობრივ სიახლოვეზე. ნათესაობითი ბრუნვის სამი ლათინური ფორმის: *domin-ī* „ბატონისა“, *rēg-is* „მეფისა“, *ros-ārum* „ვარდებისა“ გაანალიზებით სოსიური განმარტავს: „სამივე დაბოლოების ბგერებში არ არის არავითარი მსგავსება, რასაც შეეძლო ასოციაცია წარმოექმნა“. მაგრამ მათი საერთო ღირებულებების გამო, ამ სიტყვათა იგივეობით რომ გამოისახება, აღმოცენდება ასოციაცია, „მიუხედავად მატერიალური სა-

ფუძვლის უქონლობისა და, ამგვარად, წარმოიქმნება ენაში ნათესაობითი ბრუნვა“ (170-171).


„სიტყვები რომ წინასწარ მოცემული ცნებების გამოხატვას ემსახურებოდნენ, ყოველი მათგანი ზუსტ აზრობრივ შესაბამისობას პოვებდა ნებისმიერ ენაში“. ფრანგულში louer (une maison) განურჩევლად იხმარება, როგორც ბინა „იქირავა“-ს, ისევე ბინა „გააქირავა“-ს მნიშვნელობით, მაშინ, როცა გერმანულში იხმარება ორი ტერმინი: mieten და vermieten. ასე რომ, „ღირებულებათა სრული შესაბამისობა არ ხერხდება“ (149). ენათა შედარება ამას წარმოაჩენს.

ღირებულება და მნიშვნელობა

როცა სიტყვის ღირებულებაზეა ლაპარაკი, ავტორის აზრით, ჩვეულებრივ და პირველ ყოვლისა, ფიქრობენ მის თვისებაზე – იდეის რეპრეზენტირებაზე; ეს, მართლაც, არის ენობრივი ღირებულების ერთ-ერთი ასპექტი. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ რითიღა განსხვავდება ღირებულება იმისაგან, რასაც ჩვენ „მნიშვნელობას“ ვუწოდებთ? არის ეს ორი სიტყვა სინონიმი? ავტორი ამას არ ფიქრობს, თუმცა, მისი აზრით, მათი აღრევა ადვილი საქმეა, მით უფრო, რომ ეს გამოწვეულია არა იმდენად ტერმინთა ანალოგიით (შდრ., მაგალითად, რუსული значение – значимость), რამდენადაც აღსანიშნი სხვაობის ნიუანსებით.

„ღირებულება თავისი კონცეპტუალური ასპექტით, რა თქმა უნდა, არის მნიშვნელობის ელემენტი, და ძალიან ძნელი გასარკვევია, თუ რით განსხვავდება ეს უკანასკნელი მისგან, თანაც, როცა იმავდროულად მასზევეა დამოკიდებული (ე.ი. მნიშვნელობა ღირებულებას ექვემდებარება – გ.რ.). ეს საკითხი აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ გვესურს არ დავიყვანოთ ენა უბრალო ნომენკლატურის დონემდე“ (146).


იგი მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, „მნიშვნელობაზე“, როგორც ჩვეულებრივ გვესმის:




როგორც ეს ისრები გეჩვენებს, მთელი ურთიერთობა დაყვანილია აკუსტიკური ხატიდან და ცნების ურთიერთობაზე სიტყვის ფარგლებში, განხილული, როგორც თვითმკმარი და თავის თავში დახშული.

მაგრამ საკითხის პარადოქსულობაც სწორედ ესაა: „ერთის მხრივ, ცნება წარმოგვიდგება, როგორც საპირისპირო აკუსტიკური სახისა ნიშნის შიგნით, მეორეს მხრივ, თვითონ ეს ნიშანი, ე.ი. დამაკავშირებელი ორთავე ამ ელემენტისა ერთმანეთთან, ისევე და იმავე ხარისხით (თუ ზომით) არის დაპირისპირებული ენის სხვა ნიშნებს“ (147).

რაკი ენა სისტემაა, რომლის ყველა ელემენტიც მთელს ქმნის, სადაც ერთის ღირებულება მხოლოდ სხვა ელემენტთა ერთდროული არსებობიდან გამომდინარეობს, ვთქვათ, ასეთნაირად:



აეტიორი კითხვას სვამს: როგორ ხდება, რომ ამგვარად განსაზღვრული (შეპირობებული) ღირებულება შეერწყმის მნიშვნელობას (ცნებას), ე.ი. აკუსტიკური სახის საპირისპირო ცალს? მართლაცდა, შეუძლებელია მიმართება, გამოსახული აქ პორიზონტალური ისრებით, გაუეტოლოთ მიმართებას, რაც ზემოთ ვერტიკალური ისრებით გამოვსახეთ.



სხვაგვარად რომ ითქვას, თუ მოვიგონებდით შედარებას ქაღალდის ფურცელთან - გაუგებარია, რატომ არ უნდა განსხვავდებოდეს მიმართება, რომელიც დავადგინეთ ცალკეულ ფურცლებს შორის A, B, C, D და ა.შ. იმ მიმართებისაგან, რაც არსებობს თითოეული ფურცლის ორ მხარეს შორის, სახელდობრ: A:A', B:B', C:C' და ა.შ.

ამ კითხვაზე პასუხთან დაკავშირებით აეტიორი მიუთითებს, რომ ენის საზღვრებს გარეთაც ყოველგვარი ღირებულება

ასეთი პარადოქსული პრინციპით შეიძლება იყოს რეგულირებული. მართლაც, ღირებულების შესახებ მსჯელობა რომ შესაძლებელი გახდეს, ავტორის მიხედვით, საჭიროა:

1. არსებობა რაღაც არამსგავსი ნივთისა, რომლის გაცვლაც შესაძლებელი უნდა იყოს იმაზე, რისი ღირებულებაც განსასაზღვრია;

2. არსებობა რაღაც მსგავსი ნივთებისა, რომელთა შედარებაც შესაძლებელი უნდა იყოს იმასთან, რისი ღირებულების შესახებაც არის მსჯელობა.

ორივე ეს ფაქტორი აუცილებელია ღირებულების არსებობისთვის. იმისათვის, რომ განისაზღვროს, რა ღირებულებისაა ნ-ფრანკიანი მონეტა, საჭიროა ცოდნა: 1. რომ მისი გაცვლა შესაძლებელია სხვა რამის, მაგალითად, პურის განსაზღვრულ რაოდენობაზე; 2. რომ მისი შედარება შესაძლებელია იმავე სისტემის მისივე მსგავს ღირებულებასთან, მაგალითად, 1-ფრანკიან მონეტასთან, ანდა სხვა სისტემის მონეტასთან (მაგალითად, დოლართან და ა.შ.) (148).

ამგვარადვე, სიტყვაც შეიძლება გაიცვალოს რაღაც სხვა რიგისაზე, იდეაზე და გარდა ამისა, შეიძლება შეეუდაროთ რაღაც მასთან ერთგვაროვან, სხვა სიტყვას. ამგვარად, მისი ღირებულების განსასაზღვრად არ არის საკმარისი მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ იგი შეიძლება „გაიცვალოს“ ამა თუ იმ ცნებაზე, ე.ი. რომ მას აქვს ესა თუ ის მნიშვნელობა; იგი, გარდა ამისა, საჭიროა, შეეუდაროთ მის მსგავს ღირებულებებს, სიტყვებს, რომლებიც მას შეიძლება დაეუპირისპიროთ. მისი შინაარსი განისაზღვრება, როგორც საჭიროა, სწორედ მის გარეთ მდებარეს მოხმობით. შედის რა სისტემის შემადგენლობაში, სიტყვა შემოსილია არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ – და უმთავრესად – ღირებულებით; ეს კი სულ სხვა რამეა. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ რუსული *баран* – *баранина*; *баран* ცოცხალი არსებაა, *баранина* – ხორცის ნაჭურია.

ენის კატეგორიები არ არის უნივერსალური

სიტყვები რომ მხოლოდ იმისთვის არსებობდნენ, რათა წინასწარ მოცემული ცნებები გამოხატონ, მაშინ ამ ცნებებს

ექნებოდათ ზუსტი ასრითი შესატყვისები ყველა ენაშიო, — ამბობს დე სოსიური.

სიტყვათწარმოება ამ მხრივ საოცარ მასალას გვაწვდის. ზოგი ენისთვის უცხოა ფრანგულისნაირი დროთა განსხვავება; ძველ ებრაულში არ არის ძირითადი განსხვავება წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. პრაგერმანულში არ იყო სპეციალური ფორმა მომავალი დროისთვის; როცა ამბობენ, რომ მასში მომავალი გადმოიცემა აწმყოთი, არასწორად მსჯელობენ, რადგან ღირებულება აწმყოსი პრაგერმანულში არ არის იგივე, რაც იმ ენებში, სადაც აწმყოს გვერდით არის მომავალიც. სლავური ენები თანმიმდევრულად განარჩევენ ზმნაში ორ ასპექტს: სრული ასპექტი გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას, როგორც რაღაც წერტილს ყოველგვარი პროცესის გარეშე. უსრული ასპექტი — ესაა მოქმედება ხდომის პროცესში და დროის ხაზზე. ეს კატეგორიები უძნელებს ფრანგს რუსულს, რადგან იგი მის ენაში არ არის. ისინი რომ წინასწარ ლოგიკურად ყოფილიყო დაწესებული, დაბრკოლება აღარ იქნებოდა. ყველგან აქ ჩვენ ვამჩნევთ, წინასწარ მოცემული იდეების ნაცვლად ღირებულებებს, რომლებიც სისტემიდან გამომდინარეობენ. თუ ვიტყვოდით, რომ ეს ღირებულებები შეესაბამებიან ცნებებს, მაშინ ეს ცნებები უნდა გაგვეგო წმინდა დიფერენციალურად, ე.ი. ისინი განსაზღვრულნი იქნებოდნენ არა პოზიტიურად, თავისი შინაარსით, არამედ ნეგატიურად — თავისი მიმართებით სისტემის სხვა ელემენტებთან. ისინი ხასიათდებიან, ძირითადად, იმით, რომ არ არიან ის, რაც სხვა (149).

ქართული ცნება — „ძმა“ დაკავშირებულია აკუსტიკურ სახესთან „ძმა“; ერთი სიტყვით, ცნება სიმბოლიზაციაა მნიშვნელობისა, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ამ ცნებაში არაფერია თავდაპირველი, რომ იგი მხოლოდ ღირებულებაა, შეპირობებული ურთიერთობით იმავე რიგის სხვა ღირებულებებთან, რომელთა გარეშეც მნიშვნელობა ვერ იარსებებდა. როცა უბრალოდ ვამტკიცებთ, რომ ეს სიტყვა რაღაცას აღნიშნავს, როცა გამოვდივართ აკუსტიკური სახისა და ცნების ასოციაციიდან, ჩვენ გამოვთქვამთ რაღაცას, რაც გარკვეული აზრით ზუსტია და წარმოდგენას გვიქმნის სინამდვილეზე;

მაგრამ ამით არაერთარ შემთხვევაში არ გამოვთქვამთ ლინგვისტურ ფაქტს თავისი არსითა და სიგრძე-სიგანით (ლ. ვაისგერბერი „ცნების“ ნაცვლად ხმარობს ტერმინს „ენობრივი შინაარსი“; ამასვე ამჯობინებს ლ. იელქსლევიც).

ენობრივი ღირებულების მატერიალური ასპექტიც მთლიანად აგებულია ენის სხვა ელემენტებთან ურთიერთობასა და განსხვავებაზე. მთავარია სიტყვაში არა ბგერა თავისთავად; არამედ ის ბგერითი სხვაობა, რომელიც განასხვავებს ერთ სიტყვას სხვათაგან, რადგან ისაა სწორედ მნიშვნელობის მატარებელი.

ასეთმა მსჯელობამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, მაგრამ ასეა ეს სინამდვილეში და სხვაგვარად არც შეიძლება. რამდენადაც არ არსებობს ბგერითი სახე, რომელსაც სხვაზე უკეთ შეუძლია გამოხატოს ის, რაც მან უნდა გამოხატოს, იმდენად ცხადია a priori, რომ არასოდეს არც ერთი ფრაგმენტი ენისა, საბოლოოდ, არ ემყარება სხვა რასმე, თუ არა თავის განსხვავებულობას სხვათაგან. ნებისმიერობა და დიფერენციალობა ორი კორელაციური თვისებაა. რუსული ნათესაობითი ბრუნვა მრავლობითისა РYK არ არის წარმოდგენილი არაერთარი პოზიტიური ნიშნით. ამისდა მიუხედავად, შეპირისპირება РYKA : РYK ისევე ფუნქციობს, როგორც, ვთქვათ, ისტორიული РYKA : РYK² და ეს იმიტომ, რომ ფორმა РYKA განსხვავდება სხვათაგან (151).

მას მოაქვს მაგალითი ბერძნულ დროთა სისტემიდან. იგი საბოლოოდ იმ აზრისაა, რომ ბგერა თავისთავად, როგორც მატერიალური ელემენტი, არ შეიძლება განეკუთვნებოდეს ენას. იგი ენისათვის რაღაც მეორეულია, მხოლოდ მის მიერ გამოყენებული მასალაა. ამის შემდეგ, ავტორი გამოთქვამს მნიშვნელოვან დებულებას: ყოველი სახის პირობითი ღირებულებანი საზოგადოდ ხასიათდებიან იმ თვისებით, რომ არ აირიონ თვალსაჩინო ელემენტებთან, რომელთაც საყრდენის დანიშნულება აქვთ. ასე, მაგალითად: არა ღითონი განსაზღვრავს მონეტის ღირებულებას; მონეტა, რომელიც ნომინალურად 5 ფრანკი ღირს, შეიცავს მხოლოდ ამ ფასის ნახევარ ვერცხლს; იგი ღირს რამდენადმე მეტი ან ნაკლები არა მასში შემავალი ვერცხლის რაოდენობის, არამედ მასზე

ამოკვეთილი გამოსახულების მიხედვით, იმ პოლიტიკური საზღვრების მიხედვით, რომლის შიგნითაც აქვს მას ძალა. უფრო გაბედულად შეიძლება ეს ითქვას ლინგვისტურ „აღმნიშვნელზე“, რომელიც თავისი არსით არ არის რაღაც ბგერადი, არამედ უსხეულოა, წარმოქმნილი არა თავისი მატერიალური სუბსტანციის მიხედვით, არამედ მთლიანად იმ სხვაობებით, რაც განარჩევს მის აკუსტიკურ სახეს სხვათაგან (151).

შემდეგ იგი განიხილავს ენობრივ ნიშანს მთლიანობაში და ყოველგვარმსჯელობას, ზემოთ მოტანილს, მიჰყავს იგი იმ დასკვნამდე, რომ ენაში არაფერი არ არსებობს, გარდა სხვაობისა. გარდა ამისა, ზოგადად რომ ითქვას, სხვაობა უნდა გულისხმობდეს დადებით მომენტებს, რომელთა შორისაც ეს სხვაობა მყარდება, მაგრამ ენაში არის მხოლოდ სხვაობა დადებითი მომენტების გარეშე: აღსანიშნს ავიღებთ თუ აღმნიშვნელს, ყველგან იგივე სურათი იქმნება: ენაში არ არის არც იდეები, არც ბგერები სისტემაზე ადრე მოცემული, არამედ არის მხოლოდ კონცეპტუალური და ბგერითი სხვაობანი – ენობრივი სისტემიდან გამომდინარე. როგორც იდეა, ისე ბგერითი მასალა, ნიშანში მოცემული, უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონეა, ვიდრე ის, რაც მის გარშემოა მოცემული სხვა ნიშნებში. მტკიცდება ეს იმით, რომ ტერმინის ღირებულება შესაძლებელია შეიცვალოს მნიშვნელობისა და ბგერების შეცვლის გარეშეც – მთლიანად და სავსებით იმ გარემოების გამო, თუ რომელმა მომიჯნავე ტერმინმა განიცადა ცვლილება (153).

მაგრამ იმის მტკიცება, რომ ენაში ყველაფერი უარყოფითია (ნეგატიურია), სწორია მხოლოდ ცალკე აღებული აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მიმართ; როგორც კი ნიშანს განვიხილავთ მთლიანობაში, ჩვენ აღმოჩნდებით რაღაც დადებითი (პოზიტიური) ფაქტის წინაშე. ენობრივი სისტემა არის ბგერით განსხვავებათა რიგი, კომბინირებული განსხვავებულ იდეათა რიგთან, მაგრამ ასეთი შეპირისპირება აკუსტიკური მონაკვეთების რაღაც რაოდენობისა იმავე რაოდენობის მონაკვეთებთან, რაც გამოყოფილია აზრითის მასალიდან, აჩენს ღირებულებათა

სისტემას და, აი, სწორედ ეს სისტემაა ნამდვილი დამაკავშირებელი ბგერითი და ფსიქიკური ელემენტებისა ყოველ ნიშანში. თუმცა აღსანიშნი და აღმნიშვნელი, ცალკე აღებული, წმინდა დიფერენციალური და უარყოფითი სიდიდეა, მათი შერწყმა არის დადებითი ფაქტი; შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი სახეა ენაში არსებული ფაქტებისა, რადგან ენობრივი ორგანიზაციის ძირითადი თვისებაა. სწორედ პარალელიზმის შენარჩუნებაა ამ ორი რიგის სხვაობათა შორის. ავტორის მიხედვით, თუ შევადარებთ ერთმანეთს ნიშნებს - სისტემის დადებით წევრებს - აღარ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ განსხვავებებზე; ეს გამოთქმა აქ ნაკლებად გამოსადეგია, რადგან განსხვავება შესაძლებელია დავადასტუროთ აკუსტიკურ სახეთა მიმართ, მაგალითად, „მამა“ და „დედა“, ანდა ორი იდენტის, მაგალითად, „მამისა“ და „დედის“ მიმართ; ორი ნიშანი, რომელთაგან თითოეული მათგანი შეიცავს აღსანიშნსა და აღმნიშვნელს, არის არა განსხვავებული (დიფერენციალური - différents), არამედ გარჩეული (distincts), მათ შორის არის მხოლოდ დაპირისპირება. ენის მთელი მექანიზმი ემყარება ამგვარ დაპირისპირებებს და მათგან გამომდინარე ბგერითსა და კონცეპტუალურს სხვაობებს (153).

ავტორი თვლის, რომ რაც სწორია ღირებულებების მიმართ, მართებულია ენობრივი ერთეულის მიმართაც. ეს უკანასკნელი არის ბგერითი ნაკადის მონაკვეთი, რომელიც შეესაბამება ცნებას, თანაც, ორთავე (ბგერითი მონაკვეთიცა და ცნებაც) თავისი ბუნებით წმინდად დიფერენციალურია.

ერთეულის მიმართ დიფერენციაციის პრინციპი შეიძლება ასე დაფორმულდეს: განმასხვავებელი თვისებები ერთეულისა შეერწყმის თავად ერთეულს. ენაში, ისევე, როგორც ყოველგვარს სემიოლოგიურ სისტემაში, ის, რითაც ნიშანი განსხვავდება, არის ყველაფერი ის, რაც მას შეადგენს. გარჩევა იძლევა განმასხვავებელ თვისებას, იგივე გარჩევა ქმნის ღირებულებას და ერთეულს (იქვე).

ამ პრინციპიდან სხვა პარადოქსული ხასიათის შედეგიც გამომდინარეობს. რასაც ჩვეულებრივ გრამატიკულ ფაქტს ეძახიან, შეესაბამება, საბოლოოდ, ერთეულის დეფინიციას,

რადგან იგი („გრამატიკის ფაქტი“) ყოველთვის გამოხატავს დაპირისპირებას ორ ელემენტს შორის; რომ აგვედო, მაგალითად, გერმანულის მრავლობითი რიცხვი Nacht:Nächte-ს ტიპისა, თითოეული ამ ელემენტთაგანი, რომელიც ამ გრამატიკულ ფაქტშია შეპირისპირებული (მხოლოდ. რიცხვი უმლაუტისა და ბოლო e-ს გარეშე, – დაპირისპირებული მრავლობ. რიცხვს უმლაუტითა და e-თი), თვითონ არის შედეგი მთელი რიგი შიდასისტემური ურთიერთდაპირისპირებებისა; (კალკე აღებული, არც Nacht და არც Nächte არაფერს არ ნიშნავს. მაშასადამე, ყველაფერი დაპირისპირებაშია. „გრამატიკული ფაქტი“ და „ერთეული“ სხვადასხვა სახელია ერთი და იმავე ზოგადი ფენომენის სხვადასხვა ასპექტისა. ეს იმ ზომამდის არის მართებული, რომ შეიძლებოდა ერთეულის პრობლემას გრამატიკის ფაქტებიდან მიედგომოდით (154).

ერთეული და გრამატიკული ფაქტი ურთიერთს არ შეერწყმოდა, ენობრივი ნიშნები რომ სხვა რაიმესგან შედგებოდეს, გარდა განსხვავებებისაგან. ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია. აუცილებელია, რაც შეიძლება ღრმად განვიხსკვალეთ ამ ჭეშმარიტებით, რადგან ყველა შეცდომა ჩვენი ტერმინოლოგიისა, ყოველგვარი არასიზუსტე ენის აღწერაში ემყარება იმ უნებლიე დაშვებას, რომ ლინგვისტურ ფენომენში არის რაღაც სუბსტანციალური (იქვე). ასე ფიქრობს ფ. დე სოსიური.

ღირებულების პრინციპთან არის დაკავშირებული, როგორც ვნახეთ, ენათა სხვაობა-მსგავსების ფაქტი. ეს ფორმა – სუბსტანციის გარჩევასთან უშუალო კავშირშია. ლიექლმსლევმა არ დაუშვა ბგერითი და აზრითი სუბსტანციები ენობრივი ფორმის გარეთ (დაწერილებით უფრო ქვემოთ), ისე, როგორც ეს სოსიურთან გვაქვს, თუმცა იგი მას თანმიმდევრულად მისდევს ფორმა – სუბსტანციის გარჩევაში. ლინგვისტმა თანაბარი ინტერესი უნდა გამოიჩინოს როგორც ენათა მსგავსების, ისე სხვაობის მიმართ. ენათა მსგავსება მათივე სტრუქტურული პრინციპია, ენათა განსხვავება – გამოვლენა ამ პრინციპისა in concreto. როგორც ენათა მსგავსება, ისე მათ შორის განსხვავება, თვით ენათა შინაგანს სტრუქტურაშია და ემყარება ფორმას და არა სუბსტანციას, რო-

მელიც თვითონვე არის გასაფორმებელი. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მასალა, ფორმირებას რომ ექვემდებარება, საზოგადოა ყველა ენისთვის, მაგრამ ეს ილუზიაა: მასალა სპეციფიკურად გაფორმდება სხვადასხვა ენაში და ამიტომ არ არსებობს უნივერსალური ფორმა, არამედ არის უნივერსალური პრინციპი ფორმის წარმოებისათვის (იქვე).

II ფ. დე სოსიურის ნააზრევის შეფასება

მთელი ამ ზემოთ მოტანილი მსჯელობის ფონზე აშკარაა, რომ ლინგვისტური ბუნება „ცნებისა“, რომელიც, ნიშნის ფარგლებში, კორელაციურ ურთიერთობაშია აკუსტიკურ ხატთან: ცნება „მხოლოდ ღირებულებაა, რომელიც განისაზღვრება თავისი მიმართებებით სხვა, იმავე რიგის ღირებულებებთან“, და მეტიც: „მათ გარეშე მნიშვნელობა არც იარსებებდა“ (150). უდავო გვეჩვენება, რომ „ცნება“, როგორც კონცეპტუალური ასპექტის ფაქტი, განსხვავდება ლოგიკური ცნებისაგან თავისი დიფერენციალურობით, და აქედან სოციალურობითაც, რამდენადაც იგი მხოლოდ ერთი განსაზღვრული ენობრივი კოლექტივის ფარგლებში დასტურდება; ხოლო ფსიქიკური ხატისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი არაინდივიდუალურია („უსიქოლოგთა თვალთახედვა სწავლობს ნიშნის მექანიზმს ინდივიდში, მაგრამ ეს მეთოდი არ სცილდება ინდივიდუალურ სამეტყველო აქტს და ყურადღების გარეშე ტოვებს ნიშანს, როგორც სოციალურ ფენომენს“) (55). აქედან ჩანს, რომ იგი არ თვლის ფსიქოლოგიას უზოგადეს და ამხსნელ მეცნიერებად. მისთვის იგი მაინც ინდივიდის ფსიქოლოგიაა (ტერმინოლოგიურად მაინც).

ენის მოთავსებით იდენტიფიკაციის აქტში შესაძლებელი გახდა არა მარტო გამიჯვნა ფიზიკური და ფსიქიკური ასპექტებისა, არამედ თითქოს იმის ჩვენებაც, რომ ენა, როგორც ღირებულებათა რეალური სისტემა, სამეტყველო კომუნიკაციის საფუძველია. კომუნიკაციის პროცესი ხორციელდება იდენტიფიკაციის მომენტში ინდივიდთა სამეტყველო ქმედების დროს, მაგრამ თვით ფაქტი იდენტიფიკაციისა, სოსიურის მიხედვით, ეყრდნობა არა მარტო მატერიალური ელემენტების

მსგავსებას, არამედ, უმთავრესად, ღირებულებათა სისტემისა და კოორდინაციის უნარს, რომლებიც ქმნიან ლინგვისტურ პირობებს „ერთნაირი ფსიქიკური ანაბეჭდების წარმოქმნისათვის“ მოლაპარაკე ინდივიდებში. იგი არც ტრადიციულად გაგებულ „სემანტიკას“ ეყრდნობა.

სწორი ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ „ცნება“, როგორც ნიშნის კომპონენტი, ლინგვისტური ოდენობაა და, ყოველ შემთხვევაში, ისევე კონკრეტულია, როგორც აღმნიშვნელი. ნიშნის სტრუქტურაში შემავალი კომპონენტების – აღმნიშვნელისა და აღსანიშნის („ცნების“) – უსათუო დამოკიდებულება გამოსახულია საურთიერთო ისრებით (99-100), რითაც უკვე ჩანს ამ მოდელის განსხვავება ნომენკლატურის მოდელისაგან, სადაც „საგნის“ არსებობა აუცილებლობით არ შიოთხოვს მისი აღმნიშვნელის არსებობას. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რამდენადაა სიგნიფიკაციური ასპექტი (მნიშვნელობა) დეტერმინირებული ღირებულებითი ერთეულების სისტემით და, ამდენად, მართლაც უნდა ვირწმუნოთ, „რომ მათ გარეშე მნიშვნელობა არ იარსებებდა“.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ სოციალურობა სოსიურთან არ არის მხოლოდ ფონი ურთიერთგაგებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას „კურსში“ მოცემულ სხვა მტკიცებათა მიხედვითაც. მიუთითებს რა ენის ერთ-ერთ შესაძლო დეფინიციასზე, კერძოდ, იმაზე, რომ „ის არის ენობრივ ჩეჟათა ერთობლიობა, რომელიც ინდივიდს შეაძლებინებს გაუგოს სხვებს და გააგებინოს მათ“, სოსიური შენიშნავს: „მაგრამ ასეთი განსაზღვრა ისევე სრციალური რეალობის მიღმა ტოვებს ენას; იგი მას რაღაც არარეალურად წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ერთს – ინდივიდუალურ ასპექტს მოიცავს“ (109-110). მომდევნო დებულება ნათელს კჟენს თქმულს: „მისი (ენის – გ.რ.) სოციალური ბუნება მისივე ერთი შინაგანი თვისებაა“.

მაგრამ რით განირჩევა ენა სხვა სოციალურ ინსტიტუტთაგან? „ყოველ მოცემულ მომენტში ენა ეხება თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად. მასში გავრცელებული და მისი მსახური ენა ისეთი რამ არის, რითაც ინდივიდები სარ-

გებლობენ გამუდმებით და ყოველ წამს. ამ მხრივ მას ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზმი. კანონის განხილვა, საზღვაო სიგნალი, რელიგიური წესჩვეულებანი ერთდროულად მიმართულნი არიან მხოლოდ პირთა განსაზღვრული რაოდენობის მიმართ და ისიც, გარკვეული დროით; ენაში, პირიქით, ყველა მონაწილეობს ყოველ წამს და ამიტომაც განიცდის იგი ყველას მიერ განუხრელ ზემოქმედებას“; ამდენად, „ენა ნებისმიერ სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტზე ნაკლებ გასაქანს აძლევს ინიციატივას“ (107). აქედან გამომდინარეობს ერთგვარად მოულოდნელი დასკვნა: „ენის მდგრადობას განაპირობებს არა მისი მიჯაჭვულობა კოლექტივის უძრავ მასაზე, არამედ დროში განფენილობაც“ (107). სოსიური მიუთითებს ტრადიციის კანონის მოქმედებაზე („ჩვენ ვამბობთ: „ადამიანი“, „ძალდი“ იმიტომ, რომ ადრეც ასე ამბობდნენ – „ადამიანი“, „ძალდი“) და, აგრეთვე, არა მარტო ინდივიდის, არამედ თვით მასის უძღურებაზეც, შეცვალოს ენა, რადგან: „რეფლექსია არ მონაწილეობს ენის გამოყენებაში“ და „თვით მოლაპარაკენი ვერ აცნობიერებენ ენის კანონებს; ხოლო, თუ აცნობიერებენ, მაინც ვერ ცვლიან მათ“. „ენობრივ ფაქტებს შეგნებითაც რომ ეკიდებოდნენ – განაგრძობს სოსიური – ეს ფაქტები მაინც არ იწვევენ კრიტიკას მეტყველთა მხრივ, იმ გაგებით, რომ ყველა ხალხი საერთოდ კმაყოფილია თავისი. წილხვედრი ენით“ (105).

ეს საკითხები, როგორც ზემოთ ვნახეთ, უფრო ნათლად და მრავალმხრივად გაშუქებული „კურსში“ ენობრივი ნიშნის პირობითობის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ენის სემიოლოგიურ ასპექტს წარმოაჩენს სხვა ისეთ სოციალურ წარმონაქმნებთან შეპირისპირებით, რომელთა ბუნებაც სტატიკურია და ხალხთა ნების მიერ ცვლადი. „შენიშნავენ რა – ამბობს იგი – რომ ნიშანი უნდა შეისწავლონ როგორც სოციალური მოვლენა, ენის მხოლოდ იმ თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც მას სხვა სოციალურ წარმონაქმნებთან, აკავშირებენ და მეტნაკლებად დამოკიდებულნი არიან ჩვენს ნებაზე. ამგვარად, მიზანს სცდებიან, რადგან გამოორჩებათ ხოლმე სწორედ ის ნიშნები, რომლებიც ახასი-

ათებს სემიოლოგიურ სისტემებს საერთოდ, ანდა ენას - კერძოდ“. ამის მიზეზია ის, რომ „ნიშანი რამდენადმე ყოველთვის უსხლტება როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ ნებას, რაშიაც კლინდება მისი ყველაზე უფრო არსებითი, მაგრამ ერთი შეხედვით ყველაზე ნაკლებად თვალში საცემი თავისებურება“ (55).

ენის სოციოლოგიის საკითხებზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კითხვა მაინც უპასუხოდ გერჩება. თუ „ფსიქოლოგია ნიშნის საკითხში... არ სცილდება ინდივიდუალურ სამეტყველო აქტს და ყურადღების გარეშე ტოვებს ნიშანს, როგორც სოციალურ ფენომენს“ (55), მაშინ როგორღაა ენობრივი ნიშანი „ორმხრივი ფსიქიკური სიდიდე?“ - სცილდება ინდივიდუალურს და უახლოვდება სოციალურს? მთლად ნათელი არ არის სოსიურის პოზიცია ამ საკითხში.

XIX საუკუნის მექანიციზმი XX საუკუნეში სტრუქტურალიზმმა შეცვალა. ინერგებოდა მთლიანობისა და გეშტალტის იდეები, რითაც სტრუქტურალისტური თვალსაზრისი ატომისტურს დაუპირისპირდა.

დასაწყისში, როცა სტრუქტურის ცნება ჯერ კიდევ არ იყო ფორმალურად გააზრებული და დამუშავებული, ლინგვისტიკა მთლიანობის იდეით მართლაც შეიძლებოდა ნეოგრამატიკოსების ატომისტურ ორიენტაციას დაპირისპირებოდა და ამით მათს ე.წ. „პოზიტივიზმსა“ და „მექანიციზმსაც“.

ოლონდ ასეთი ორიენტაცია საკუთრივ ლინგვისტიკის შინაგანი განვითარებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ფ. დე სოსიური გამოდგა ისეთ ლინგვისტურ ავტორიტეტად, რომლის შეხედულებათა ინტერპრეტაციას უნდა გაემართლებინა სტრუქტურალისტური პროგრამა და, პირველ ყოვლისა, სტრუქტურის ლოგისტიკური ცნება. ეს პროცედურა გარეგნულად მიმზიდველად ჩაატარა გლოსემატიკოსმა ლ. იელმსლევმა.

მივიღეთ, ერთი მხრივ, ენა, როგორც ინვარიანტული, უნივერსალური და დენატროპოლოგიზებული სტრუქტურა, თავისუფალი ყოველგვარი ემპირიული პირობებისაგან და,

მეორე მხრივ, ენა, როგორც ონტოლოგიური არსი, რომელსაც ემპირიული (სოციოლოგიური) დასაბუთება ეძებნება, რაც აუცილებელია „ადამიანის ფაქტორის“ შესანარჩუნებლად.

ფ. დე სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“, შესაძლებელია, ორივე ამ ტენდენციას შეიცავს, მაგრამ ლოგიკურად ბოლომდე მიყვანილი ეს ტენდენციები მაინც შეუთავსებელია: პირველი იძლევა „ხელოვნური ენების“ უნივერსალურ თეორიას ლოგისტიკურ საფუძველზე, ხოლო მეორე „ბუნებრივი ენის“ თეორიას, სოციოლოგიურ-რელატივისტური ორიენტაციით.

ჩვენ განვიხილეთ სოსიურის ლინგვისტური თეორია უფრო, როგორც ბუნებრივი ენის თეორია. ვფიქრობთ, რომ ეს „კურსის“ ერთი ძირითადი მიმართულებაა. ასეთ მტკიცებას ორგვარი საფუძველი აქვს: 1. სოციოლოგიური და 2. ლინგვისტური, რომელიც ემყარება ენობრივი ერთეულის არა ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ ინტერპრეტაციას; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, სოსიური ენობრივი ნიშნის ორივე მხარის (აღმნიშვნელი – აღსანიშნი) ტოლფასოვნების პრინციპიდან ამოდის, მაგრამ ენობრივი ერთეულის სტატუსის გარკვევის დროს, რაც „კურსის“ მთავარი თემაა, იგი იშველიებს შინაარსეულ საზომებს და შემოაქვს ანალიზის პროცედურაში; ასეთ მიდგომას, რა თქმა უნდა, არ გაამართლებს ფორმალური სტრუქტურალიზმის ის სქემა, რომელიც გამოხატულება-შინაარსის ასპექტების სრულ ფორმალურ თანაბრობას ემყარება. მეტიც: აღნიშნული ტენდენცია, როგორც ითქვა, თვითონ „კურსში“ მოცემული ენობრივი ნიშნის დეფინიციასთან (ნიშანი „აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთობლიობა“) არ იყო სრულ თანხმობაში.

მაგრამ სრულიად ცხად ფაქტებს თავისთავად მაინც შემთხვევითი ხასიათი ექნება, თუ თავად სოსიურის „კურსის“ იმანენტურმა ანალიზმა არ დაადასტურა ის შრე, რაც „შინაარსის ანალიზის“ სახელით შეიძლებოდა აღნიშნულიყო. არსებითად კი, „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ ასეთი ანალიზი მიზნად ისახავს გამოიყენოს სოსიურის მემკვიდრეობა იმ აქტუალურ ამოცანათა გასააზრებლად, რომ-

ლის გადაწყვეტისკენაც მიისწრაფვის თანამედროვე ენერგეისტული ენათმეცნიერება.

ენათმეცნიერება და სოციოლოგია

ცნობილი ფრანგი ფსიქოლოგი ჟაკიაჟე (4) თავის მოხსენებაში ფსიქოლოგთა XVIII კონგრესზე ამბობდა: „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ლინგვისტიკა, უეჭველად, ყველაზე მეტად არის განვითარებული, როგორც თეორიული სტრუქტურის, ისე თავისი რეზულტატების სიზუსტის მხრივ; კავშირი, რომელიც მას აქვს დისციპლინებთან, აღძრავს დიდ ინტერესს. „ლინგვისტიკა“, პირველ ყოვლისა, „მჭიდრო კავშირშია სოციოლოგიასთან“. სანიმუშოდ, ფრანგი ფსიქოლოგი ასახელებდა იმ „ღირსშესანიშნავ სიახლოვეს, რაც არსებობს ფ. დე სოსიურის ლინგვისტიკასა და დიურკჰაიმის სოციოლოგიას შორის“ (4,23).

ფ. დე სოსიურმა მკვეთრად გაძიჯნა ერთმანეთისაგან ენა, როგორც კოლექტიური სისტემა და მეტყველება, როგორც ამ სისტემის ინდივიდუალური გამოყენება, გამოაცხადა რა ენა ლინგვისტიკის ერთადერთ და ნამდვილ ობიექტად. ამით მან, მრავალი თანამედროვე ენათმეცნიერის აზრით, საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტიკის იმანენტურ საწყისებზე აგებას და განარიდა იგი მომიჯნავე მეცნიერებათა – ფიზიკის, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის გავლენებს.

მართალია, სოციოლოგიურ წანამძღვრებზე დაფუძნებულმა (ენა არის მეტყველების უნარის სოციალური პროდუქტი; ენა არის ნიშანთა სისტემა, რომელიც „სრულად მხოლოდ მასაში“ არსებობს...) ლინგვისტიკამ მოახერხა თავის დაღწევა მომიჯნავე მეცნიერებათა დამანჯრეველი გავლენისაგან, მაგრამ ხომ არ ეშუქებოდა ასეთ „განთავისუფლებას“ სხვა საშიშროება – ლინგვისტიკის გადაქცევა სოციოლოგიის „პროვინციად“? ასეთი საშიშროება, შესაძლოა, სრულიად რეალურად დანდგარიყო, თუკი „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ ამოსავალ დებულებებს მხოლოდ და მხოლოდ სოციოლოგ დიურკჰაიმის წიგნებზე სოსიურის ნაფიქრის პროდუქტად ჩავთვლიდით. ეს თვალსაზრისი საკმაოდ ხშირად გვხვდება თანამედროვე ენათმეცნიერთა ნაშრომებში. მას გან-

საკუთრებით იცავდა ე.კოსერიუ. მისი აზრით, ფ. დე სოსიური მიჰყვება დიურკჰაიმს თვით დეტალეზამდე და ფრაზეოლოგიამდე. „თუმცა დიურკჰაიმის სახელი არც ერთხელ არ მოიხსენიება „კურსში“. დღეს კოსერიუც, ისევე, როგორც ბევრი სხვა თანამედროვე მკვლევარი, პუმბოლდტს ასახელებს სოსიურის თეორიის ერთ-ერთ შესაძლებელ წყაროდ. ამის შესახებ იხილეთ ა.ხოლოდრიეინის ბოლოსიტყვა სოსიურის შრომების რუსულ გამოცემაზე [1,670]. ლ.ვაისგერბერი 1962 წელს წერდა: „კავშირი სოსიურის სტატიკურ კონცეფციასა და პუმბოლდტის ენერგეისტულ თვალსაზრისს შორის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ წარმოჩენილი“ [2,22].

ამ კავშირებზე მიუთითებენ გერმანელი ნეოპუმბოლდტიანელები გიპერი და შმიტერი თავიანთ ერთობლივ ნაშრომში [12]. ამის შესახებ ნათქვამია ჩეენს ადრინდელ ნაშრომებში (იხ. გვ.1, სქოლიო), ასევე, ბოლოდროინდელ წიგნებში [10, 11].

ფ. დე სოსიური არ ახსენებს პუმბოლდტს თავის „კურსში“, მაგრამ ხომ ასევე არ ახსენებს იგი ე.დიურკჰაიმსაც! იმთავითვე მივუთითებდით, რომ ამ ორი ავტორის (პუმბოლდტისა და სოსიურის) შეჯერებისას დიდი სიფრთხილე გემართებს, რადგან ენერგეია – ერგონი პუმბოლდტისა არ ფარავს სოსიურის „მეტყველებას“ და „ენას“. ენერგეია, როგორც ენობრივი ფორმა, სოსიურის ენასთან უფრო ახლოს დგას, როგორც სოციოლოგიური სიდიდე, ვიდრე მეტყველების ინდივიდუალურ პროცესთან (როგორც ეს ჩვეულებრივ ჰგონიათ). ოღონდ ენა სოსიურისა სტატიკურია, ენერგეია კი – ფორმის დინამიკური პრინციპია.

როდესაც ვლაპარაკობთ სოციალური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ სოსიურის ლინგვისტურ ნააზრევში, ჩვენ გვსურს ხაზი გავუსვათ შემდეგს: სოციალური არის არა მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტი ენისა, არამედ თვით ენის ორგანიზაციაში ჩართული ფაქტორი. ამდენად, პოსტულატი ენის სოციალურობის შესახებ წარმოადგენს არა გარედან შემოტანილს ენის თეორიაში (და ნიშნავს ე.წ. „სოციოლოგიზმს“), არამედ ლინგვისტიკის იმანენტურად აგების აუცილებელ საფუძველს. ამ აზრით წინააღმდეგობა არ იქმნება ორ შემდეგ მტკიცებას შორის: 1. ლინგვისტიკა იკვლევს ენას, როგორც

სოციალურ პროდუქტს, და 2. ლინგვისტიკის ობიექტს წარმოადგენს ენა, განხილული თავისთავად და თავისთავში.

როგორ უნდა გაგიგოთ ენის სოციალურობა?

ჟ. პიაჟე, ხედავს რა ენის სოციალურობას მის ინსტიტუციურსა და იმპერატიულ ხასიათში ინდივიდუალური ინცივატივის მიმართ, ყურადღებას ამახვილებს სოსიურისა და დიურკჰაიმის მტკიცებათა მსგავსებაზე: „ენა სოსიურს ესმოდა, როგორც „ინსტიტუტი“ იმ აზრით, რასაც მასში დიურკჰაიმი დებდა, ე.ი. როგორც კოლექტიური სისტემა, რომლის ორგანიზაცია მხოლოდ საზოგადოებრივად გამომუშაებულ ჩვევებსა და წესებსა და მოკიდებული და რომლის გადაცემა ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს „გარეგანს“ ინდივიდის მიმართ (აღმზრდელიობითსა და ა.შ.) და „მაიძულელებს“. ამას მოჰყვება ამ „იძულების“ ძალიან საინტერესო ახსნა: „ეს იძულება შესაძლებელია არ იგრძნობოდეს, როგორც ასეთი, რადგანაც ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ენა და ჩვეულებრივ იგი „ლტოლვას“ უფრო განიცდის ენის მიერ შემოთავაზებული მოდელების მიმართ, ვიდრე „იძულებას“ [4.24].

თუ კი ინდივიდი „ლტოლვას“ უფრო გრძნობს ენისადმი, ვიდრე იძულებას, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ენა გარეგანი კი არა, არამედ ადამიანის ბუნებისათვის შინაგანად მოცემული ფაქტორი უფროა? მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა: როგორ შევათავსოთ ასეთი დაშვება ენის ინსტიტუციური ხასიათის კონცეფციასთან, რომელსაც გვთავაზობს თავის მოხსენებაში ჟ.პიაჟე?

კოსკრიუს დიურკჰაიმის შრომიდან მოჰყავს „სოციალური ფაქტის“ ორი მნიშვნელოვანი დახასიათება:

1) „სოციალური ფაქტი“ წარმოადგენს გარეგანს ინდივიდის მიმართ, ე.ი. დამოუკიდებელს ინდივიდისგან. 2) „სოციალური ფაქტი“ ინდივიდისათვის აუცილებელია. დიურკჰაიმის მტკიცებებთან იმის შესახებ, რომ სოციალური ფაქტები „იმყოფებიან თვით საზოგადოებაში, რომელიც წარმოქმნის მათ და არა მის ნაწილებში, ე.ი. საზოგადოების წევრებში“, და რომ სოციალური „არც ერთ ცალკეულ ინდივიდში არ ვლინდება მთლიანად“, შედარებულია სოსიურის შემდეგი დე-

ბულება: „ენა სრულად მხოლოდ მასაში არსებობს“ (თუ ამ გამონათქვამს ჩაეთვლით ზემომოყვანილი სოციალოგიური დებულების ლინგვისტიკის ენაზე თარგმნად). დიურკჰაიმის იმ დეფინიციასთან დაკავშირებით, რომ სოციალური ფაქტები წარმოადგენს „გარეგანს ინდივიდთა მიმართ“, კოსერიუსს მოაქვს სოსიურის დებულება: ენა არის „სამეტყველო მოქმედების სოციალური ნაწილი, გარეგანი ინდივიდის მიმართ“, და შემდეგ: ენა „თავისი არსით სოციალურია და დამოუკიდებელია ინდივიდისაგან“. დიურკჰაიმი, – ამბობს კოსერიუს, – ამტკიცებს, რომ სოციალური ფაქტები თავს მოხვეულია ინდივიდს, ხოლო სოსიური ფიქრობს, რომ ენა „ეს არის პროდუქტი, რომელსაც ინდივიდი პასიურად ითვისებს“ და რომ ენა თავს მოხვეულია ინდივიდს, რომელსაც „თვითონ არ შეუძლია შექმნას ენა და არც შეცვალოს იგი“ (13.162).

ამ თვალსაზრისს, რომ ენის ძალა მეტია, ვიდრე ინდივიდისა, თანაბარი სიმტკიცით იცავენ ლინგვისტიკაში მენტალისტი ვ. ჰუმბოლდტი და ნატურალისტი ა. შლაიხერი, აგრეთვე, მ. მიულერი. მეტიც: ეს უკანასკნელნი ენობრივ კანონებს მიაწერდნენ ბიოლოგიური კანონის ძალას („ენის კანონის ჩვენი ნებით გადაკეთება ან ახალი სიტყვების გამოგონება იგივე იქნებოდა, ჩვენი სისხლის მიმოქცევის კანონების შეცვლა რომ მოგვეწადინებინა, ან ერთი დიუიმის მომატებას რომ ვცდილიყავით ჩვენი სიმაღლისთვის“) [5,28].

ვ. ჰუმბოლდტი, წამოაყენა რა თეზისი ენის ობიექტურობის შესახებ, ენის ინდივიდზე ზემოქმედებას ხსნიდა არა როგორც გარეგან იძულებას, არამედ უფრო როგორც შინაგან იმპულსს („ენა, როგორც პროდუქტი ხალხისა და წარსულისა, წარმოადგენს რა სუბიექტურს შესაცნობის მიმართ, ადამიანის მიმართ ობიექტურია“) [14,IV,27].

რაც შეეხება დიურკჰაიმის სოციოლოგიას, არა ნაკლები წარმატებით შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ სოსიურმა გადაიღო უფრო სოციოლოგიის „ენა“, ე.ი. მეცნიერების მეტაენა, ვიდრე იდეები, რადგან იდეები მთლიანობის, ტიპის, სტრუქტურისა და ინვარიანტისა უკვე მაშინ რამდენიმე მეცნიერებაში შეინიშნებოდა ერთდროულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. დანიელი ლინგვისტი ე.ბრონდალი ასე ახ-

ასიათებს მაშინდელ სიტუაციას: „ნათელი გახდა რაღაც საერთო ცნების აუცილებლობა, მხოლოდ ერთადერთი შესაძლებელი ერთეულისა კერძო შემთხვევებისათვის, ერთი და იმავე მოვლენის ყველა ცალკეული გამოვლენისათვის. ეს ერთეული გაგებულ. უნდა იქნეს, როგორც ტიპი, მთლიანად იდეალური და დამოუკიდებელი მეცნიერის ცნობიერებისაგან. ასე მაგალითად, ბიოლოგიამ შემოიღო ცნება გენოტიპისა – გვარეობითი მემკვიდრეობის ფაქტორთა ერთობლიობა, რომლის რეალიზაციას წარმოადგენს სრულიად სხვადასხვა ფენოტიპები (ე.ი.ოპანსენი). ზუსტად ასევე, სოციოლოგიაში, სოციალური ფაქტი განისაზღვრება თავისი დამოუკიდებლობით მისივე ინდივიდუალური გამოვლინების მიმართ და თავისი ავტონომიურობით გონების მიმართ (დიურკჰაიმი). მათგან დამოუკიდებლად, მაგრამ მათ პარალელურად, დე სოსიური, რომლის იდეები განაერთარა ალან გარდინერმა, ჯიუტად მოითხოვდა ენის, როგორც მეტყველებისაგან სრულიად განსხვავებული ცნების საჭიროებას. ენა აქ ერთსა და იმავე დროს არის გვარი (როგორც ბიოლოგიაში) და ინსტიტუტი (როგორც სოციოლოგიაში). ეს არის წმინდა აბსტრაქტული არსი, უზენაესი ნორმა ინდივიდთათვის, არსებითად მნიშვნელოვან ტიპთა ერთობლიობა, რომელიც მეტყველების გზით რეალიზდება უსასრულო მრავალფეროვნებაში“ [6,96-97].

სოსიური მოითხოვს, როგორც ამბობენ, ენის შესწავლას „თავისთავად და თავისთავში“; ნუთუ ასე აუცილებელია, როგორც ეს ეკოსერისე მიაჩნია, აიხსნას ეს მოთხოვნა დიურკჰაიმის ანალოგიური მოთხოვნით თავისი მეცნიერების მიმართ? რომელ მეცნიერებაში არ დგება, როგორც პირველხარისხოვანი ამოცანა, საჭიროება თავისი ობიექტის იმანენტურად აღწერისა? ეს ცნობილი იყო ჯერ კიდევ იმავე ჰუმბოლდტისათვის, რომელიც მოითხოვდა, რომ კვლევის პროცედურის პირველ ეტაპზე ენა განხილულიყო „შინაგან ურთიერთკავშირში“ და „თავისსავე აგებულებაში“.

ერთიმეორისგან უნდა გაირჩეს „სოციოლოგიზმი“, რომელიც გარედან იქნა შემოტანილი ენის შესახებ მეცნიერებაში (რამაც ამის გამო ნაკლებად შეუწყო ხელი ლინგვის-

ტური აზრის პროგრესს) და სოციალური თეორია, რომელიც წარმოადგენს შინაგან აუცილებლობას. სწორედ „შინაგანი აუცილებლობის“ გამოკვლევის მიზნით დაიწყო ემპირიულად სოსიურმა კომუნიკაციის პროცესით ენის ფენომენის მიკვლევა და თან, რაც მთავარია, არა ინდივიდუალურ თავისებურებათა ემპირიული რეგისტრაციით, არამედ იდენტიფიკაციის აქტის თანდათანობითი დადასტურებით. ენაში არის როგორც იდენტიფიკაცია, რაც მეტყველებით კომუნიკაციაში „რეაქციათა ერთგვაროვნობას“ უდევს საფუძვლად. ასევე ღირებულებები, რაც აღნიშნის (მნიშვნელობის) აქტებს უდევს საფუძვლად. აღმნიშვნელისა და აღსანიშნის (გამოხატულებისა და შინაარსის) სინთეზი სისტემის იდეით უნდა დასაბუთდეს. ეს კავშირი საგნის აღნიშვნაშიც იჩენს თავს, როგორც საფუძველი შედეგში. ღირებულების ცნება, როგორც ღრმად ლინგვისტური და ამდენად რელატიური, ენათა სხვაობასა და ენობრივი კოლექტივის საზღვრების არსებობაზეც უნდა მიუთითებდეს.

ენა კომუნიკაციის ერთი მთავარი პირობა და საფუძველია. კომუნიკაცია მეტყველებაშია, რადგან იგი მატერიალური მომენტის შემცველია და სხვაგვარად შეუძლებელიც არის: კომუნიკაცია ამ მატერიალურით ხოციუდდება, მაგრამ მატერიალურით არ ამოიწერება; სოსიურთან მატერიალური დაქვემდებარებულია. ფიზიკალურის კრიტიკა და ენის ნომენკლატურად გაგების კრიტიკა ბოლომდეა გატარებული. ამას შეიძლებოდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ რაკი ამ გზით მიიღო მან ენა, როგორც იდეალური არსი (ენა აკი უტოლდება ღირებულებათა სისტემას!), შესაძლებელია იგი ინტერპრეტირებულ იქნეს, როგორც აბსტრაქტული სიდიდე, როგორც „სქემა“ – ლ.იელმსლევის გაგებით. მაგრამ ეს იქნებოდა „კურსის“ მთელი ჰუმანიტარული ორიენტაციის უგულებელყოფა. შეიძლება ენა „სქემად“ მივიჩნიოთ სოსიურთან? მაშინ რა ახსნა მოვუძებნოთ იმას, რომ იგი „სოციალურობას“ თვლის ენის „შინაგან თვისებად“? გამოსავალი შეიძლება იპოვონ და თქვან მარტივად: ორივე ნაკადია „კურსში“; მაგრამ არ უნდა დავეივიწყოთ, რომ ეს ორი ნაკადი (ემპირიული და აბსტრაქტული) ერთად შეუ-

თავსებელია; ეს იქნებოდა სრულიად დაუფარავი მე-
თოდოლოგიური ეკლექტიზმი, რაც ძნელი წარმოსადგენია იმ
რანგის თეორეტიკოსისაგან, როგორც სოსიური იყო.

რა თქმა უნდა, „კურსში“ ენა დახასიათებულია ფიზი-
კალური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სემიოლოგი-
ური ტერმინოლოგიით. ეს იმიტომ, რომ ენაში მართლაც არის
ყველა ეს ასპექტი, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს სულაც არ ნიშნავს
მათს ტოდფასოვნებას და მეორეც, როგორც ითქვა, ეს არ
არის მოდელირებული სტრუქტურისა და ბუნებრივი სისტემის
ერთდროულობა.

სოციალურს იგი ემპირიული ნიშნით აკავშირებს ენასთან,
როგორც რეალურ სისტემასთან – ინდივიდუალური მეტყ-
ველების საპირისპიროდ. ამავე დროს, იმავე სოციალურს იგი
დაუპირისპირებს ფსიქოლოგიურსაც, რადგან, მისი აზრით,
ნიშანი ფსიქოლოგს ინდივიდუალურად ესმის. ნიშანი მასთან
უთუოდ კოლექტივისშიერია, თუმცა ენის ნიშანთა სისტემას
განახსენებებს სხვა სოციალური ინსტიტუტებისაგან (ვთქვათ,
იურიდიული და სხვა). აქ უკვე განმასხვავებელი – ნების
მონაწილეობა-არმონაწილეობაა. თვით სოციალურს ენა სემი-
ოლოგიური ასპექტით ემიჯნება, ლინგვისტიკა სემიოლოგია-
შია მოქცეული, მაგრამ, ამავე დროს, ენა მაინც
„უპირატესად“ ითვლება სემიოლოგიურ სისტემაში. ეს
„უპირატესი“ უკვე მთლიანად ლინგვისტურია და მისი ბუნება
თითქოს უფრო ბგერა-აზრის სინთეზის სქემაში მოჩანს.

„კურსის“ აქ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავდა
სოციალურის იმ ფორმის გამოყოფას, სადაც იგი, ჩვენი
ვარაუდით, „ენობრივი კოლექტივის“ ცნებას უტოლდება და
აკავშირშია ენის ბუნებრივი მოცემულობის იმ ფორმასთან,
რაც „ერთმანეთზე დაუყვანადი ენების“ შინაარსობრივ შე-
დარებას უნდა მოეცა. ღირებულებათა სისტემის იმ თვალ-
საზრისით განხილვამ, რომელიც აქ იყო წარმოდგენილი,
შესაძლებლობა მოგვცა გაგვეჩინა სოციალურობის ორგვარი
გაგება „კურსში“ – ერთი, რომელიც ენისთვის შინაგანია და
ენობრივ სოციუმს უტოლდება, ამდენად, ენის სოციოლოგიის
ობიექტია, და მეორე, რომელიც ენის მიმართ გარეგანია და
წმინდა სოციოლოგიის საგანია. სოციალურის ეს ფორმა

ჩვეულებრივად არ არის გარჩეული სოსიურის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რის გამოც სოციალურს ან სრულიად უმნიშვნელო და ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ ენის ცნების დადგენისას „კურსში“ (შდრ. ლიელმსლევეი), ან იგი დიურკჰაიმის სოციოლოგიის მარტივ ვარიანტად ითვლება (შდრ. ეკოსერიუ).

გამოხატულებისა და შინაარსის ურთიერთობა

„კურსის“ ანალიზმა გვიჩვენა, რომ „ენობრივი ღირებულებები“ არ არის უთუოდ აბსტრაქტული, ლოგიკური და უნივერსალური სტრუქტურა, როგორც ამას თანმიმდევრულად ამტკიცებდა სოსიურის ყველაზე ცნობილი ინტერპრეტატორი ლიელმსლევეი; ასევე წარმატებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ენობრივი ღირებულებები (რაც, როგორც ითქვა, იმავე იელმსლევის გამოთქმით, „სოსიურის ანალიტიკური ლინგვისტიკის ფოკუსს ქმნის“), არის სრულიად კონკრეტული (მაგრამ არამატერიალური), სოციალური (ანთროპოლოგიური) და რელატიური (ენათა მიხედვით განსხვავებული) სისტემა.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ: მართალია, ღირებულებები არ ქმნიან აბსტრაქტულ და ფორმალურ სტრუქტურას, მაგრამ ვერც იმას დაეიჩმებთ, რომ ეს უთუოდ ისეთი შინაარსებია, რაშიც ენის გონითი ბუნება უნდა დაეინახოს. აქამდე სოსიური არ მისულა. თუ ღირებულებების მიმართ შინაარსეული თვალსაზრისი გამოვიყენებთ, ეს იმდენად, რამდენადაც „მათი არსი მატერიალურში არ არის“. ისინი დიფერენციალურნი არიან და არა ამორფულნი (ამდენად ქმნიან ფორმას და არა სუბსტანციას); მაგრამ ეს დიფერენციალობა – და ამას საგანგებოდ აღვნიშნავთ – ენათა მიხედვით განსხვავებულია. ამდენად, ცდა მისი იმგვარი ფორმალიზაციისა, რომელიც მას ამ კონკრეტულ (რელატიურ) საფუძველს ჩამოაცდის და ამ გზით აბსტრაქტულ და უნივერსალურ სტრუქტურად გადააქცევს, ენობრივი ღირებულების არსის არა თუ ვერგაგება, სრული გაუქმება იქნებოდა.

ღირებულებათა რელატიურობის პოსტულატი მასთან კორელაციაში მყოფ სოციალურის ისეთ ფორმას გამოგვაყო-

ფინებს, რასაც „ენობრივ კოლექტივს“ ვუწოდებდით (თვითონ სოსიური გაერბის ამ ტერმინის ხმარებას) და რაც სწორედ საკუთრივ ენის სოციოლოგიის შესწავლის ობიექტი იქნებოდა. ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო გაგვიადვილებს სოციალურის ორი ფორმის გარჩევას „კურსში“.

ამდენად, თვით კანონიკური ტექსტის მიხედვით პირველ თავებში ენის გამოცხადება ნორმად და მეტყველების პროცესის „მოძქვისრიგებლად“ უკვე ნიშნავდა ერთგვარად ენობრივი ფორმის დინამიურ გაგებას. შესაბამისად, არტიკულაციისა და ბილატიერალურობის პრინციპებმა მოგვეცეს შესაძლებლობა, ენის ფორმა მიგვეჩინა შინაარსზე მიმართულ, რეალურ და არა აბსტრაქტულ პრინციპად. ამ შესაძლებლობას ქმნის, აგრეთვე: 1) ზეზიოლოგიური ფუნქციის აღიარება მეტყველების ფიზიკური მექანიზმების (როგორც ნორმალურის, ისე პათოლოგიურის) წარმმართველად, 2) ფიზიკურ-ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიისტური კრიტერიუმების კრიტიკა. სოციალური პოზიციიდან, 3) ენობრივი ნიშნის დადგენა და მისი იმანენტური სტრუქტურა, 4) ენის, როგორც ნომენკლატურის, კრიტიკა, 5) ასოციაციური ასპექტის წამოწევა, 6) ენათა სხვაობაზე მითითება შინაარსების მიხედვით ლოგიცისტური საზომების დაძლევის მიზნით, 7) ღირებულების კატეგორიის აღმოჩენა და მისი სოციალური საფუძვლების ჩვენება. ამან კი რეტროსპექტულად უნდა აგეიხსნას:

ა) ენობრივი სოციუმის შიგნით კომუნიკაციის პროცესში გაგებინებისა და რეაქციათა ერთიანობის საფუძველი (იდენტიფიკაციის პრობლემა).

ბ) რეაქციათა განსხვავებულობა სხვადასხვა ენობრივ სოციუმში (ღირებულებათა სისტემა, როგორც ინდივიდის ენობრივი ქცევის მოტივი).

გ) ენის როლი ბგერით-აზრითი სუბსტანციების ორგანიზაციაში (სინთეზის სქემა და აზრის ვერბალურობის იდეა).

ახლა კი, ალბათ, შესაძლებელია, სოსიურის ენობრივი ფორმის კონცეფცია, ჩვენს მიერ ასეთი ინტერპრეტაციით წარმოდგენილი, შემდეგი ნიშნებით დავახასიათოთ. იგი:

ა) ლოგიკურ ფორმასთან მიმართებაში - რელატიურია;

ბ) ინდივიდუალურ-ფსიქიკურთან მიმართებაში - კოლექტიურია (სოციალურია);

გ) კოლექტიურ ფსიქოლოგიასთან მიმართებაში „ენობრივი არტიკულაციის სფეროს“ წარმოადგენს.

გარდა ამისა, ენობრივ ფორმას შეიძლება ძალა ჰქონდეს, როგორც ღირებულებათა სისტემას და არა როგორც სიგნიფიკაციას (ე.ი. არა როგორც მნიშვნელობას, ვინაიდან თვითონ „მნიშვნელობაც ღირებულებაზეა დამოკიდებული“) (150).

ფ. დე სოსიურმა შემოიტანა „შუამავალი“ ბგერასა და აზრს შორის, რომლებიც თეორიულად მოპოვებულ იქნა უშუალობის ჰიპოთეზის კრიტიკით, ემპირიულად კი - ენათა შედარებიდან. მან იცის, რომ ეს „შუამავალი“ ჩვეულებრივ მეტყველს ცნობიერად არ ეძლევა და მისთვის ძალაშია მხოლოდ ასოციაციის მარტივი სქემა (ბგერითი ხატი + წარმოდგენა), რაც საკვებით ბუნებრივი და ნორმალურია.

„შუამავლის“ შემოტანის შემდეგ ბგერასა და აზრს შორის, „კერსის“ ბოლო თავებში, ჩვენ უკვე მოვიპოვებთ პოზიციას, საიდანაც უნდა აიხსნას ნიშნის შიგნით იდენტიფიკაციის ის ერთდროული აქტი, რომელიც მეტყველსა და მსმენელს შორის ხდება და რაც პირველ თავებში იქნა გაანალიზებული.

ფ. დე სოსიურმა ენის სახით, მართალია, შემოიტანა „შუამავალი“. ბგერითსა და აზრითს. მასებს შორის, სადაც იგი არა მარტო მაფორმებლის ფუნქციაა, არამედ ამ პროცესში თვითონაც „გამოიმუშავენს თავის ერთეულებს და თვითონვე ფორმდება ორ უფორმო მასას შორის“... (რაც „ქმნის ფორმას და არა სუბსტანციას“), მაგრამ მთელი ეს სქემა კრიტიკულად განიხილა ლ. იელმსლექემ [7,308]. ორივე სუბსტანცია-გამოხატულების სუბსტანცია (ბგერითი ნაკადი) და შინაარსის სუბსტანცია (აზრი) - არ უნდა ვიფიქროთ, რომ დროში წინ უსწრებენ ენას, ან მასთან იერარქიულ რიგში არიან, ანდა, პირიქით. იგი თვლის, რომ სუბსტანცია დამოკიდებულია ფორმაზე იმ ზომამდე, რომ არსებობს მხოლოდ ფორმით და არავითარ შემთხვევაში არა აქვს და-

მოუკიდებელი არსებობა. მეორეს მხრივ, იგი ფიქრობს, რომ გამართლებული იქნებოდა, შეგვედარებინა სხვადასხვა ენა და გვეპოვა პრინციპი, რომელიც საზოგადოა ყველა ენისათვის, გამოხატულება კი სპეციფიკური იქნება ყოველი ენის მიმართ. ამით ჩვენ, ზოგადი პრინციპის გარდა, გამოვეყოფთ ფაქტორებს, რაც ერთ ენას განასხვავებს მეორისაგან. ამ ზოგად ფაქტორს ავტორი არქმევს მასალას (purport) და მოჰყავს ხუთი ენის მაგალითი, სადაც ბგერითი ნაკადი, ვთქვათ, „არ ეიცვი“, მიუხედავად ენებში დანაწევრების სხვაობისა, შეიცავენ ზოგად ფაქტორს, ანუ მასალას, თვითონ აზრს. ყოველ აქ მოტანილ ენაში (დანიური, ინგლისური, ფრანგული, ფინური, ესკიმოსური) ანალიზი ჩატარდება სხვადასხვაგვარად. ეს ფაქტი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ მასალა განლაგებულია, დანაწევრებულია და სხვადასხვა ენაში გაფორმებულია განსხვავებულად. ყოველ ენას გაჰყავს თავისი საზღვრები ამორფულ „აზრის მასაში“, ნაირგვარად განლაგებს მას და გამოჰყოფს სხვადასხვა ფაქტორს, მახვილსაც სხვადასხვა ადგილას დასვამს და აძლევს ენებს სხვადასხვაგვარ შეფერილობას. ლ. იელმსლევი მიმართავს ასეთ ანალოგიას: ეს ჰგავს იმ ქვიშის გროვას, რომელიც სრულიად სხვადასხვა ფორმისა შეიძლება იყოს, ან ცაზე ღრუბელს, რომელიც ჰამლეტის თვალწინ ყოველ წამს იცვლება. ისევე, როგორც, - ამბობს ავტორი, - ქვიშა იძენს ნაირგვარ ფორმას, ხოლო ღრუბელი სულ უფრო მეტად იცვლის თავის მოხაზულობას, გამოსაკვლევი მასალაც სხვადასხვა ენაში იძენს სხვადასხვა ფორმას ან სხვადასხვა სტრუქტურას. მასალა ყოველგვარს ვითარებაში რჩება სუბსტანციად ახალი ფორმისათვის და ვერ იარსებებს სხვაგვარად, თუ არა როგორც ამა თუ იმ ფორმის სუბსტანცია. ამდენად, ხერხედება დავადგინოთ სპეციფიკური ფორმა, შინაარსის ფორმა, რომელიც თავისთავადია ნებისმიერი მასალის მიმართ და რასაც იგი გარდაქმნის შინაარსის სუბსტანციად. სწორედ მათ გამოო, - დაასკვნის ავტორი, - არსებობს ეს შინაარსის სუბსტანცია და ასევე გამოხატულების სუბსტანცია, რომლებიც აღმოცენდებიან მასალაზე ფორმის

ღირებუ სტრუქტურაში (რომელიც სოსიურის „ანალიტიკური ლინგვისტიკის ფოკუსს კმნის“ – ლ. იელმსლევი) გამოფეოფთ „კურსის“ ზემოაღნიშნულ ასპექტებს და ამით, ვიმედოვნებთ, გზა გაიკვალება ერთიანი თეორიისკენ; მოხერხდება კავშირი XX საუკუნის ევროპის ერთ-ერთ უმთავრეს სემანტიკურ მიმართულებასთან, კერძოდ, ე.წ. „სემანტიკური ველის“ თეორიასთან; ოღონდ, აქვე შევნიშნავთ, რომ, მართალია, სოსიურის მოძღვრებაში შინაარსობრივი კრიტიკირიუმი იმპლიციტური ფორმით არის მოცემული (ე.ი. უფრო, როგორც პროცედურა), მაგრამ ეს არ ჩავთვალეთ დაბრკოლებად ზემოაღნიშნული კავშირების საჩვენებლად. შესაძლებლად მიგვაჩნია მისი ექსპლიციტური ფორმით მოწოდება და ჩვენც შევეცადეთ, ასე მოვქცეულიყავით, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, ამის პრეცედენტს ასე ადვილად ვერ ვიპოვით სოსიურის შესახებ გამოკვლევებში. თუ შინაარსისა და ღირებულების ცნებებს გაეიხდით ამოსავლად, სოსიურის ენის თეორია XX საუკუნის პუმანისტური ლინგვისტიკის ასაგებადაც შეიძლება გამოვიყენოთ და, ამდენად, შესაყლად ენის ანთროპოლოგიაში.

ამოსავალია ღირებულების ცნება და მისი კავშირის ჩვენება ენის შინაარსის ერთეულებად დამყოფ პრინციპთან, რასაც ნაკლები ყურადღება მიექცა შემდეგდროინდელ ე.წ. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში, თუ არ ჩავთვლით ლ.იელმსლევის ცალკეულ ცდებს, რომელიც არსებითად გამოხატულებისა და შინაარსის ფორმალური თანაბრობის იდეიდან ამოდის.

პროექციის შედეგად ზუსტად ისევე, როგორც გაშლილი ბადე დააფენს ჩრდილს გაუნაწევრებელ ზედაპირს [7,315].

აქ ვრცლად მოვიტანეთ გლოსემატიკოს ლ.იელმსლევის ინტერპრეტაცია. კრიტიკა სოსიურის ზემოთმოტანილი ე.წ. „სინთეზის სქემისა“, ასე განცალკევებულად განხილული, შესაძლებელია გამართლებულიც იყოს, მაგრამ ეს კრიტიკა არ არის ადეკვატური მთლიანად სოსიურის „კურსისა“, რადგან ამ ნაშრომში ღირებულების კატეგორია სწორედ ენათა შინაარსობრივი შედარების სრული გათვალისწინებით არის შემოტანილი, რის დასამტკიცებლადაც არა ერთ ნიმუშს მოუხმობს ავტორი როგორც ლექსიკიდან, ისე გრამატიკის სხვადასხვა სფეროდან. მაგრამ ლ.იელმსლევი არ შედის ენათა სხვაობის სიღრმისეულ ფენებში, ღირებულების სემიოტიკურ ფუნქციათა დადგენის მიზნით იკვლევს ენის უნივერსალურ თვისებებს და ყურადღების გარეშე ტოვებს იმას, რაც, მაგალითად, ემილ ბენვენისტმა ასე გამოთქვა: ჩვენი ენა თავიდანვე მოდელია. ფილოსოფიური, ანუ გონითი ექსპერიმენტის ნაირგვარობა არაცნობიერად ექვემდებარება იმ კლასიფიკაციას მოვლენებისა, რაც ენაშია მოცემული.

ლექსიკაში კაპრიზი და ნებისმიერობაა გამეფებული და ამიტომ ლექსიკა, იელმსლევის მიხედვით, საპირისპიროა სტრუქტურისა. სრული შთაბეჭდილებაა, რომ ყოველი ცდა – აღიწეროს სტრუქტურულად ლექსიკა (და კიდევ უფრო ის, რომ ასეთი მცდელობა გამოდგება საფუძვლად სტრუქტურული სემანტიკისათვის), იმთავითვე განწირულია და სექპტიციზმს უფრო გამოკვებავს [8,119]. ამიტომ, – ამბობს ავტორი, – ლექსიკოლოგია სულ ადვილად გადაიქცევა ლექსიკოგრაფიად, რომელსაც ცუდად დეფინირებულ, არამკაფიო და არამდგრად სიდიდეებთან აქვს საქმე; მათ მიეყენებათ ნებისმიერი გამოყენების ურიცხვი შემთხვევები. სემანტიკა, რომელიც აღმოცენდა სხვა ლინგვისტურ დისციპლინებზე უფრო გვიან, ეყრდნობა დიაქრონულ მიდგომას და ნაწილობრივ ფსიქოლოგიზმს. სემანტიკის სტრუქტურულ ლინგვისტიკაში დაფუძნების ცდები აწყდება სიძნელეებს [8,119]. იელმსლევის მიხედვით, სტრუქტურული ფონოლოგიისა და სტრუქტურული გრამატიკისაგან განსხვავებით, ძნელია

დავასახელოთ სტრუქტურული სემანტიკის წინამორბედნი. ნამდვილი უფსკრულია სტრუქტურულ სემანტიკასა და ზოგადი სემანტიკის შექმნის ადრეულ ცდებს შორის. თანდათან სცილდება ლინგვისტიკა ადრეულ სპეკულატურ მსჯელობებს, გაემიჯნა ლოგიკას [8,120]. ფ. დე სოსიურის შემდეგ სტრუქტურული სემანტიკა დგამს პირველ ნაბიჯებს. ლ.იელმსლევი საჭიროდ თელის, პირველ ყოვლისა, განიმარტოს სტრუქტურის ცნება: „სტრუქტურა ავტონომიური არსია შინაგანი ურთიერთმიმართებით“ [8,122]. „არც ფსიქოლოგიურად და არც ფიზიოლოგიურად ელემენტი არ არის მოცემული მთელზე ადრე [8,123], – გადმოსცემს ავტორი ა.ლალანდის სიტყვებით.

თუ სემანტიკური ფაქტების შესწავლაში სტრუქტურის ცნებას შემოვიტანთ მნიშვნელობის ცნებისა და ღირებულების ცნების გვერდით, ეს მოხერხდება იმ მეთოდის მიხედვით, რაც მკაფიოდ და ფუძემდებლურად არის გადმოცემული ფ. დე სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსის“ ცნობილ თავში, სადაც, იელმსლევის მიხედვით, როგორც ლინზის ფოკუსში, თავმოყრილია ანალიზური ლინგვისტიკის ძირითადი იდეები [8,125].

უფრო ადრე, სხვა შრომაში, იელმსლევი ამტკიცებდა, რომ ფორმა-მასალის ის დაპირისპირება, რაც კუმბოლდტმა და სოსიურმა შემოიტანეს, ბგერის. თეორიაში უფრო ნათლად ჩანს და შინაარსის სფეროშიც გამოდგებაო. სემანტიკაც, რომელიც შინაარსის მასალას შეისწავლის, მისი აზრით, ლინგვისტიკის ისეთივე დამხმარე მეცნიერებაა, როგორც ფონეტიკა [9,132].

რაკი ლ.იელმსლევი არაერთგზის აღნიშნავს, თანმიმდევრულად ვიცავ ფ. დე სოსიურის თეზისს ფორმა-სუბსტანციის საკითხშიო, და ამტკიცებს, რომ ბგერის თეორიაში ამის ჩვენება სანიმუშო იქნებოდა მნიშვნელობის მიმართაცო, რომელიც მეცნიერების სახით ჯერ არ აგებულა, ჩვენ შეეცდებით ვრცლად გადმოვცეთ მისი მსჯელობა ამ საკითხზე 1938 წელს დაბეჭდილი ნაშრომის მიხედვით [9].

როგორც იგება ფონოლოგია, ასევე აიგება სტრუქტურული სემანტიკა, როგორც ენათმეცნიერული დარგი; ამიტომ

ფონეტიკის ლინგვისტიკასთან ურთიერთობის გზა და პრინციპები მთელი სისრულით უნდა იქნეს გათვალისწინებული – ასე ფიქრობს ლ.იელმსლვეი.

რამდენად სწორია ეს თვალსაზრისი? ე.ი. საკმარისია კი ბგერის სუბსტანციური ასპექტის კრიტიკით გამოხატულების ფორმის – ფონოლოგიის დაგება? ყოველ შემთხვევაში, ფ. დე სოსიურთან ეს მთლად ასე არ არის. „კერის“ სწორედ იმ თავში, სადაც მატერიალურ მხარეში ენობრივ ღირებულებაზეა ლაპარაკი, არის ასეთი ფრაზა: ბგერა „ენისთვის რაღაც მეორეულია, მხოლოდ ენისთვის გამოსაყენებელი მასალაა.“ (151): რუსულში თავისუფლად ვერ ვიხმართ T-ს რბილი T-ს (ТБ) მსგავსად, რადგან ადგილი ექნება აღრევას სხვადასხვა აღსანიშნების აღმნიშვნელი ბგერებისა (гоборитъ და гоборит); აქედან ჩანს, რომ ფ. დე სოსიურისთვის გამოხატულების ერთეულთა გამოყოფა რამდენადმე დეტერმინირებულია შინაარსის პლანის ერთეულთა განსხვავებით. მაგრამ მაინც სუბსტანციური ფაქტორების კრიტიკის თვალსაზრისით (ორსავე პლანში) საინტერესოა გამოხატულების ფორმის კვლევაში მიღწეული შედეგების ცოდნა სემანტიკოსისთვის, რომლის ობიექტიც ასე მკაცრად აგებული არ არის და მოელის შემდგომ დამუშავებას. როგორც არაერთგზის თქმულა, ამას აქვს ობიექტური მიზეზი: ფონემათა რაოდენობა მინიმალურია, სალექსიკონო ერთეულთა რაოდენობა კი უზომოდ მრავალი. არის სხვა მიზეზებიც.

ასე თანმიმდევრულად სოსიურის მიერ წამოყენებული თეზისი, რომ „ენა ფორმაა და არა სუბსტანცია“, რამდენადაც ვიცით, არავის განუხილავს და იელმსლვემა იგი ჯერ გამოხატულების მასალაზე გამოსცადა, ხოლო შემდეგ ზოგი მოსაზრებაც გამოთქვა შინაარსის პლანის მიმართ [იხ.5]. იგი ანალოგიას ხედავს ამ ორ სტრუქტურას შორის, რომლებიც, ამავე დროს, ავტონომიურნი არიან.

გამოხატულების სტრუქტურა ლუი იელმსლვეის შეფასებით

ენახით, ჯერ ფ. დე სოსიურსე დაყრდნობით, როგორ აგებს იელმსლევნი გამოხატულების ფორმას და როგორ დაადგენს მის ენათმეცნიერულ სტატუსს – ფონეტიკისგან თავისუფალ ფონოლოგიას. ეს ანალოგია, მისი აზრით, სანი-მუშო იქნება შინაარსის სტრუქტურის მიმართაც.

ლ. იელმსლევნი მიხედვით, მე-19 საუკუნის კლასიკური ენათმეცნიერებისათვის, რომლის წარმომადგენელ ენის მკვლევარებსა და ფონეტიკოსებს ახლაც ეხედებით, ფონეტიკა იყო მხოლოდ ერთ-ერთი დარგი, ანუ ნაწილი ენის შესახებ მეცნიერებისა; ბგერა, როგორც ასეთი, ენობრივი ოდენობის ინტეგრირებულ ნაწილად განიხილებოდა და, ამდენად, ძალაში იყო პრინციპი: არ არსებობს ენა ბგერის გარეშე [9,129]. დღეს კი – ავტორის მიხედვით – ენათმეცნიერების განვითარების კრიტიკისტულ პერიოდში, ზემოაღნიშნული თვალსაზრისი საეჭვო გახდა. ახალმა, სტრუქტურალისტურმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ფონეტიკა აუცილებლობით კავშირში შეიძლება არც კი იყოს ენათმეცნიერებასთან. არც ბგერა და არც ბგერის ვარიანტები, სტრუქტურალისტური თვალსაზრისის მიხედვით, არ მიიჩნევა ენობრივი ოდენობის ინტეგრირებულ ნაწილად (იქვე). და აქ მიჰყვება უკვე ავტორი ფ. დე სოსიურს, რომელიც თავში „მატერიალური ასპექტის“ შესახებ (150) ბგერას განმარტავს, როგორც თვისების მქონეს – დაუპირისპირდეს და „არ აირიოს გრძნობადაღსაქმელ სხვა ელემენტთან“ (151). ლ. იელმსლევნი მიხედვითაც მხოლოდ ბგერათდაპირისპირებანი უნდა ჩაითვალოს ენათმეცნიერებისათვის აუცილებლად. ახლა უკვე, ნაცვლად ფორმულისა: არ არსებობს ენა ბგერის გარეშე, ძალაშია ფორმულა: არ არსებობს ენა ბგერათდაპირისპირების გარეშე. მაგრამ ბგერობრივ მოვლენებში მთავარია ენისთვის რელევანტური ბგერათდაპირისპირებანი, ყველაფერი დანარჩენი ენის შემეცნებას შეაფერხებს და ამიტომ ენათმეცნიერება უნდა განიწმინდოს ამ დამაბრკოლებელი მომენტებისაგან. ფონეტიკა, როგორც მეცნიერება ამ არაენობრივი მოვლენების შესახებ, ენათმეცნიერების გარეთ დგას, უცხო მეცნიერებაა და მოწოდებულია ლინგვისტიკისთვის დამხმარე მეცნიერებად იქცეს და კიდევაც უნდა იქცეს ასეთად. ეს თვალსაზრისი

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფ. დე სოსიურმა დანერგა და დღემდის ე.წ. ფონოლოგიური სკოლის მიერ ენერგიულად მუშაუდება. საქმე ეხება მხოლოდ ახალ კლასიფიკაციებს და ახალ ტერმინოლოგიას. უდავოა, რომ როგორც ენათმეცნიერების, ისე ფონეტიკის (ფართო თუ ვიწრო აზრით) დეფინიცია შესაძლებელია. ახალი, აღნიშნულ თვალსაზრისში (ფონოლოგების - გ.რ.) ისაა, რომ აღმოჩენილ იქნა საზღვარი, ფართო გაგებით, ფონეტიკის შიგნით, რომელიც აქამდე არასაკმაოდ ნათლად იყო შემჩნეული; ესაა ზღვარი ენობრივად რელევანტურსა და ენობრივად ირრელევანტურს შორის. ენათმეცნიერების ეს ახალი მიმდინარეობაც, როგორც ვხედავთ, უდავოდ მიიჩნევს, რომ ფონეტიკის (ფართო აზრით) ნაწილი მაინც არის აუცილებელი ენათმეცნიერებისათვის. ეს კი ისევ ამას ნიშნავს: ბგერის გარეშე არ არსებობს ენა; ფონეტიკის გარეშე არ არსებობს ენათმეცნიერება (9,130).

იელმსლვევი მიუთითებს, რომ დღევანდელ ვითარებას თუ გაეითვალისწინებთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ენათმეცნიერება ისე აუცილებელი არ არის ფონეტიკისათვის, როგორც ფონეტიკა ენათმეცნიერებისათვის. თითქმის ყველას მიერ აღიარებულია, რომ ენათმეცნიერება არ არის დამოუკიდებელი ფონეტიკისაგან. ყოველი ენის მკვლევარი და ფონეტიკოსი, ვინც ამ საკითხს შეეხება, აღნიშნული მოსაზრებისაა. ენათმეცნიერებისადმი აგნოსტიკურად განწყობილი ექსპერიმენტალ-ფონეტიკოსები (და სოგი რამდენადმე ანტიფონეტიკურად განწყობილი ფონოლოგი) იმ აზრისანი არიან, რომ ფონეტიკა ენათმეცნიერებისგან დამოუკიდებლად შეიძლება არსებობდეს და მოაზრებულ იქნეს. ენათმეცნიერების ფონეტიკისაგან დამოუკიდებლად წარმოდგენა კი - ამ გაგრძელებული თვალსაზრისის მიხედვით - შეუძლებელია: ენათმეცნიერება, გარკვეული აზრით, ფონეტიკური მეცნიერებაა და ფონეტიკური ოდენობები მასში გათვალისწინებულია. ფონეტიკის გარეშე არ არსებობს ენათმეცნიერება, ბგერის ან ბგერათდაპირისპირების გარეშე არ არსებობს ენაო.

ავტორი მიზნად ისახავს, აღნიშნული მტკიცებანი გადასინჯოს. მისი აზრით, „საერთო საგანი“ ფონეტიკისა და ენათმეცნიერებისა ბგერაა (Sprachlaut)“. ტერმინ „ფონემას“ ვიხმარ-

დიო - განაგრძობს ავტორი - დეფინიციათა, განსხვავებულ და, თანაც, ნაწილობრივ წინააღმდეგობრივ დეფინიციათა წარმოდგენას რომ არ აჩენდესო. ტერმინი ბგერა (ზედმიწვენით: ენის ბგერა - Sprachlaut) ჩვეულებრივ არ აღქრავს ასეთ წარმოდგენას. არავინ იცის, რა არის ბგერა, თუმცა, ყველამ იცის, რომ ბგერები არსებობს. არ არის ძნელი იმის გამორკვევაც, თუ როგორ უნდა იკელიო ბგერა. ბგერის ნაცყლად შეიძლებოდა, მაგალითად, ბგერითი ფორმა (Lautform) გვეხმარა. ბგერა (ენის ბგერა, Sprachlaut) მაშინა გვაქვს, როცა ფონეტიკურად მოცემული ბგერითი მასალა ენისაგან ფორმირებას განიცდის, როცა ბგერათსინამდვილეში გარკვეული, ენობრივად რელევანტური საზღვრები აღინიშნება (eingelegt werden). არტიკულაციის სინტაგმატური ოპერაციისას, ენობრივი ფორმირების შედეგად, გარკვეული საზღვრები აღინიშნება. ბგერათრივი (ts) ერთ რომელსამე ენაში საზღვრით არის გაყოფილი, რადგან ამ ენაში (t) და (s) სხვადასხვა ბგერაა (Sprachlaut). სხვა ენაში ასეთი საზღვარი არ გვექნება, რადგან (ts) აქ ერთ ბგერად გაიგება. პარადიგმატულ რიგშიც ასევე ხერხდება საზღვრების გაულება. მქღერ და ყრუ „l“-ს ზოგ ენაში, მაგალითად, კიმრიულში, საზღვარი ჰყოფს: (l) და (l) სხვადასხვა ბგერაა. სხვა ენებში, მაგალითად, გერმანულში, არ არსებობს ასეთი საზღვარი: (l) და (l) ერთი და იმავე ბგერის ვარიანტებია. ამგვარი მოვლენები თანამედროვე ლიტერატურიდან საკმაოდ ცნობილია. აშკარად აქ საქმე გვაქვს, ავტორის მიხედვით, ვილჰელმ ჰუმბოლდტის დროიდან ცნობილ ფორმა-მასალის განსხვავებასთან. ბგერა, როგორც ფიზიკური აქტი, გამოხატულების მასალაა (Ausdrucksstoff), რომელიც სპეციფიკურად გამოიკვეთება (spezifisches Gepräge bekommt) ენის გამოხატულების ფორმისაგან; იგი (ბგერა), ფორმის საპირისპიროდ, სუბსტანციად გვევლინება. ვიდრე საკუთრივ მასალას (Stoff an sich) ვიხილათ, საქმე გვაქვს ბგერასთან, როგორც ფიზიკურ მოვლენასთან. როგორც კი მასალას ფორმისადმი დაქვემდებარებულ სუბსტანციად მივიჩნევთ, საქმე გვექნება ენის ბგერასთან (Sprachlaut). ენის ბგერის შესწავლა აბსტრაქციის გზით ხდება:

ფონეტიკური მასალიდან გარკვეული მომენტები გამო-
ცალკევდება, ისეთები, რომლებიც ენის ფორმისთვის
არარელევანტურია და გათვალისწინებულ იქნება მხოლოდ
რელევანტური მომენტები. ამ გზით ჩამოყალიბდება ენობრივი
ბგერის (Sprachlaut) დეფინიციური ნიშნები: *genus proximum* და
differentia specifica [9,131].

ფორმა-მასალის ასეთსავე მიმართებას დაადგენს ავტორი
(ლ. იელმსლევი) ენობრივი შინაარსის სფეროში. სემანტიკაც,
რომელიც შინაარსის მასალას შეისწავლის, ფონეტიკის-
დაგვარად, დამხმარე მეცნიერებად (ლინგვისტიკისთვის) არის
მიჩნეული [9, გვ.132, 133, 134].

როგორც ენობრივი ცნების ფორმის მიმართ, ასევე ენის
ბგერათფორმის მიმართ *a priori* ორგვარი დეფინიცია არის
შესაძლებელი: ფონეტიკურ-ბგერობრივი და ენობრივ-
ფუნქციონალური. გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით,
ფონეტიკურ-ბგერითი დეფინიცია ფუძემდებლურია, ენობრივ-
ფუნქციონალური კი - სეკუნდარულად ნაწარმოები. ეს
თვალსაზრისი ფონოლოგიამ განსაკუთრებით ნათლად
გაატარა და ტრადიციული გაგების ერთგული დარჩა. ვიწრო
გაგებით კი, ფონოლოგიაში ფონემები ბგერათდაპირისპირების
საფუძველზე გამოიყოფა და განიმარტება (9, 132).

როგორია გზა შინაარსის სემანტიკისაკენ?

ავტორი ფიქრობს, რომ, ფონემისაგან განსხვავებით, მა-
გალითად, სიტყვები, როგორც ლექსიკონის ელემენტები, იმით
ხასიათდებიან, რომ, როგორც ადრე ითქვა, მათი რაოდენობა
მეტისმეტად დიდია, უფრო ზუსტად, მათი რიცხვი რამდენადმე
განუსაზღვრელია და ძნელია, იყოს თვლადი. ამიტომ, ერთი
შეხედვით, ლექსიკონი არის სფერო კაპრიზისა და ნების-
მიერობისა და შთაბეჭდილებაა, რომ ლექსიკონი
„საპირისპიროა სტრუქტურისა“ [8,119]. ასეთივე შთაბეჭდილება
ისაა, რომ ლექსიკონის სტრუქტურული აღწერა განწირულია და
„სკეპტიციზმის იოლი ნადავლია“ (იქვე). ამიტომ ენის
შესახებ მეცნიერებათა სისტემატიკაში ლექსიკოლოგია ცარი-
ელი უჯრედია და არსებითად გადაიქცევა ლექსიკოგრაფიად,
რომელიც არაზუსტია და არამდგრადი.

ავტორი თვლის, რომ სუბსტანციონალური დეფინიცია, და არა ფუნქციონალური, ჩვეულებრივ მიჩნეულია ენობრივი ფორმის ნამდვილ დეფინიციად. ენობრივი გამოხატულების ფორმას ფონეტიკურად მიიჩნევენ, ისევე, როგორც შინაარსის ფორმას - ტრადიციულ-სემანტიკურადო. ეს თვალსაზრისი მცდარია, ლ.იელმსლევის მიხედვით.

ჩვენ ვრცლად გადმოვეცით ლ.იელმსლევის უადრესად კორექტული მსჯელობა - მიმართული გარეგანი ფორმის ასაგებად.

ფონოლოგია ბგერათდაპირისპირებაზე იგება; ასე ფიქრობდა ნ.ტრუბეცკოი და ასე ფიქრობს ლ.იელმსლევიც. სუბსტანციონალური ბგერის თეორია (ფონეტიკა) დასაძლევია.

გამოდგება ეს გზა შინაარსის სტრუქტურის ასაგებად? სუბსტანციური საფეხური, მომდინარე ტრადიციიდან, აქაც დასაძლევია. მაგრამ მაინც გაცილებით რთულად არის შინაარსის ფორმის დადგენის საქმე. ამიტომ შემოიტანა აქაც ფ. დე სოსიურმა ღირებულების ცნება. თუმცა აუცილებელია, მაგრამ არ კმარა სიტყვათდაპირისპირების პრინციპი (ამის შესახებ მსჯელობა ლეო ვაისგერბერის შეხედულებათა გარეგნის დროს გვექნება, რასაც ახლო მომავალში ვაპირებთ).

უნდა დასაბუთდეს, გარეენობრივისკენ მიუძართავად, ერთი საზრისის მქონე სიტყვათა „მეზობლობა“. გამოდგება ანალოგია გამოხატულებისა და შინაარსის აგებულებათა შორის? აქ სხვა ვითარებაცაა. ერთგან ეთქვით და კვლავ გავიმეორებთ ს.უელმანის შენიშვნას: თანამედროვე ინგლისურში 44-45 ფონემაა, მაშინ როცა ინგლისურის სრული განმარტებითი ლექსიკონი 400 ათას სიტყვას შეიცავს. შეფარდება დაახლოებით არის 1:10000. ასეთ ვითარებაში ანალოგია ნაკლებ ეფექტურია. რომ ბგერითი ასპექტი მეორეულია ენის ფენომენში და შინაარსის პრინციპი დომინანტური, ეს შევეცადეთ გვეჩვენებინა. მოქმედებს ღირებულების პრინციპი და, შეერთებული შინაარსთან, იგი არის არა მარტო ბგერითი ნაკადის დამანაწევრებელი, არამედ სეგმენტის მთლიანობის ამგები. ამ თვისებებით ენის მთლიანი სეგმენტი ანუ ნიშანი, როგორც ორმხრივი სიდიდე, ჩართულია სხვა ნიშანთა პორიზონტალურ რიგში და ქმნის ენობრივ სისტემას. აღმნიშვნელი

ასეთ დროს არის ამ დამანაწევრებელი მოქმედების დამამაგრებელი. ჩვენ ვერ გავყვებით იელმსლევს [8, 132-134] და ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ ენის ორი პლანის სტრუქტურებს შორის და შინაარსის დომინანტობას ვერ გამოვრიცხავთ.

ერთ რამეში კი თანმიმდევრულია იელმსლევით: ჭადრაკთან ცნობილი ანალოგია, რასაც სოსიური არაერთგზის მიმართავს, ნებისმიერობის იმ ასპექტს წარმოაჩენს, რაც ფორმის ტრანსპოზიციის თავისუფლებას გულისხმობს: ფორმა ნებისმიერია მასალის (სუბსტანციის) რაგვარობის მიმართ; ენის ფორმისათვის (სტრუქტურისათვის) არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა მასალაში გამოვლინდება იგი. ეს ორივე პლანის საერთო თვისებაა. ამით მოგვაგონებს ენა ჭადრაკს. მოგვაქვს თვითონ ფ. დე სოსიურის მაგალითი: რუსულში t-ს ვერ წარმოვთქვამთ ისე თავისუფლად, როგორც რბილ t'-ს, რადგან ამას შედეგად მოჰყვება აღრევა ორი აღსანიშნად გამოყენებული ბგერისა (говоритხ და говорит) ენაში; მაგრამ დასაშვებია გადახრა ფშეინვიერ th-სკენ, რამდენადაც ფშეინვიერი th არ არის რუსულ ფონემათა სისტემაში.

სტრუქტურის ნებისმიერ მანიფესტაციაში ჩართვის ამგვარი მაგალითები რამდენადმე მოქმედებს სემანტიკაშიც და ეს უნდა გამოვიძიოთ, – ფიქრობს ავტორი.

სულის (არაბიოლოგისტურ) სფეროთაგან ლ.იელმსლევით ფსიქოლოგისტურ თვალსაზრისს აკრიტიკებს; ფსიქოლოგიური თვალსაზრისის კრიტიკის შემდგომ, „ეს მეთოდი“, რომელიც „ინდივიდთან შეისწავლის ნიშნის მექანიზმს“, „ყველაზე მეტად იოლია; იგი არ სცილდება მეტყველების ინდივიდუალურ აქტს და არ ეხება ნიშანს – თავისი არსით სოციალურს“ (55) – იგი გადადის ყველაზე უფრო ეფექტურზე – სემიოლოგიურ სისტემებზე („კერძოდ კი, ენაზე“), – რადგან „ნიშანი, გარკვეული აზრით, ხელიდან უსხლტება როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ ნებას“. „პრობლემა ლინგვისტიკისა, ავტორის აზრით, პირველყოელისა, ეს არის პრობლემა სემიოლოგიისა და მოელს ჩეკენს შემდგომ მსჯელობას აზრი ეძლევა ამ ძირითადი დებულებით“ (იქვე).

(იგი გააშუქებს არა მარტო ლინგვისტიკის პრობლემას, არამედ ახლებურად აგვიხსნის ადათ-წესებს, ჩვეულებებს...) (იქვე). როგორც ჩანს, სემიოლოგია (რომლის შიგნითაც „ენა უპირატესია“) მოხმობილია სოციალური ფსიქოლოგიის ფაქტთა (ადათ-წესები) შესასწორებლად და იმისთვის, რომ უფრო გაიხაზოს მათი საზოგადოებრივი ხასიათი.

მთავარია ადნიშენა შინაარსის (აღსანიშნის) დამანაწევრებელი ფუნქციისა. ამიტომ გზა შინაარსისკენ და ენათა შინაარსობრივი თავისთავადობისკენ არის, პირველ რიგში, გარეენობრივი ფაქტორების, კერძოდ, ლოგიკურის კრიტიკა. მაგალითად, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია, განხორციელებული ლოგიკური კატეგორიების მიხედვით (მსგავსად იმისა, როგორც მერიდიანებით და პარალელებით შემორტყმულია დედამიწის სფერო), ნიშნავს, დაგვაიწყდეს... რომ ბგერითი მასალა მნიშვნელობითს ელემენტებად იყოფა (142). ლოგიკურზე არ არის დამოკიდებული არსებით სახელებად, ზედსართავებად დაყოფა და მათი კლასებად კლასიფიკაციაო, - დასძენს ავტორი.

როგორც ჩანს, დამანაწევრებელი პრინციპი ძნელად მოჩანს ერთი ნიშნის ფარგლებში. შინაარსის რიგში ღირებულების გამოყენებას შედეგად მოაქვს ის, რომ ენობრივი ნიშანი სისტემის წევრი ხდება და „ამოქმედდება“, როგორც დამანაწევრებელი ფუნქცია. მარტოდენ მიმართება, შინაარსის გარეშე, ვერ განახორციელებს დანაწევრებას. „კურსის“ ტექსტიდან ამოვწერეთ (და ფრანგულს შევუჯერეთ) უმეტესი იმ შემთხვევათაგან, სადაც შინაარსის საჭიროება იგრძნობა და შინაარსის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა იქმნება.

სოსიური „კურსის“ წინა თავში გვპირდება: „შემდგომში ენახაეთ, რომ ენის რაობა არ არის კავშირში ენობრივი ნიშნის ბგერითს ბუნებასთან“ (45).

„ბეკრი ლინგვისტური ფაქტორი, რაც ერთი შეხედვით ფრიად არსებითი გვგონია (მაგალითად, მეტყველების ორგანოთა ფუნქციონირება), უნდა განვიხილოთ მხოლოდ

მეორე რიგში, რამდენადაც ისინი ემსახურებიან მხოლოდ ენის გამოყოფას სოცოლოგიურ სისტემათა ერთობლიობიდან“ (55).

„სამეტყველო ერთეული არავითარი ბგერითი თავისებურებების მქონე არ არის და მისი განმარტება შეიძლება იყოს მხოლოდ ასეთი: სამეტყველო ერთეული – ეს არის ბგერადობიდან ამოკვეთილი, რომელიც, უკვე გამოცალკეებული, ე.ი. ყველაფრის გარეშე, რაც მას წინ უსწრებს და რაც მას მოსდევს მეტყველების ნაკადში, გვეკლინება აღმნიშვნელად რაიმე ცნებისა“ (136).

მეტყველებითი ნაკადის „დაყოფა რომ განვახორციელოთ, უნდა მივმართოთ მნიშვნელობებს“ (იქვე).

„ასეთნაირი სეგმენტაცია საზოგადოდ არ გამოგვივა, თუ მხედველობაში ვიქონიეთ მხოლოდ ენობრივი ფაქტის ბგერითი ასპექტი“ (იქვე).

„მხოლოდ მაშინ, როცა ვიცით, თუ რა საზრისი და რა ფუნქცია მივაწეროთ ბგერითი ნაკადის თითოეულ მონაკვეთს, გამოვაცალკევებთ ნაწილებს და უფორმო ლენტი ნაწილებად დანაწილდება. ამ ანალიზში არსებითად არაფერია მატერიალური“ (იქვე). ასევე, მონაკვეთებად დაყოფა ერთეულების საზრისთან კავშირით არის გამართლებული (137). „დაყოფის სიზუსტე მოითხოვს, რომ დაყოფა, გატარებული აკუსტიკური ნაკადის მიმართ, შეესაბამებოდეს ცნებათა ნაკადს“ (136).

„ბგერა, მატერიალური ელემენტი, თავისთავად არ შეიძლება ეკუთვნოდეს ენას. ენისათვის იგი რაღაც მხოლოდ მეორეულია, რასაც ენა მასალად იყენებს“ (151).

„ყოველგვარი კონცეპტუალური განსხვავება, რაც მოიზარება, შეეცდება გამოისახოს სხვადასხვა აღმნიშვნელით; ამასთან, ორი ცნება, განუსხვავებელი აზროვნებაში, შეირწყმებიან ერთ აღმნიშვნელში“ (153).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ მან თქვა: „სიტყვაში ბგერა კი არ არის თავისთავად მნიშვნელოვანი, არამედ ბგერითი დაპირისპირებანი, რომელთა საშუალებითაც ეს

სიტყვა განსხვავდება ყველა სხვათაგან, რამდენადაც ისინი მნიშვნელობის მატარებლები არიან“ (150).

ლ. იელმსლევი ფ. დე სოსიურის მოძღვრებას ემყარება მთლიანად და არა მარტო „კურსის“ იმ ადგილს, სადაც მატერიალურ ასპექტზეა მსჯელობა. როგორც ვნახეთ, სოსიურის მიხედვით, ბგერა „ხასიათდება არა მისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებებით“, არამედ „მთლიანად იმით, რომ იგი არ აღირევა სხვაში“ (151). ეს პრინციპი შინაარსის პლანშიც მოქმედებს სოსიურის მიხედვით.

სწორია იელმსლევი, რომ ლინგვისტურად კორექტული იქნება ორსავე პლანში სუბსტანციური ასპექტების კრიტიკა. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გლოსემატიკა არ იმეორებს ფ. დე სოსიურის თვალსაზრისს გამოხატულების შინაარსთან მიმართების შესახებ. „კურსის“ მთელი კონტექსტი მოწმობს, რომ შინაარსის ფაქტორს მეტი მნიშვნელობა ენიჭება (თუმცა, პროცედურულად), ვიდრე ეს ბგერა-აზრის სინთეზის „კურსში“ ზემოთმოტანილი კონკრეტული სქემიდან ჩანს (რაც კრიტიკულად განიხილა ლ. იელმსლევმა). მაგრამ შინაარსის ფაქტორის უპირატესობა არც გლოსემატიკაშია აღნიშნული და მთელი მსჯელობა გამოხატულებისა და შინაარსის სტრუქტურების თანაბრობას ემყარება.

ეს არის გზა ენათმეცნიერების ლოგიზაციისაკენ, დამყარებული ორივე პლანის სტრუქტურათა იზომორფიზმზე.

ფ. დე სოსიურის შემდგომდროინდელ ლოგიზებულ ლინგვისტიკაში ენა სრულიად გაიწმინდა ანთროპოლოგიური ელემენტებისაგან; ეს აქტი არ იყო გამოწვეული მხოლოდ კვლევის პროცედურის მოთხოვნით, არამედ ამის საჭიროება თეორიულად იყო დასაბუთებული და კავშირში იყო ლინგვისტიკის ბუნების მეცნიერებასთან დაახლოების მოთხოვნასთან.

ლინგვისტიკის მაგალითზე ერთხელ კიდევ გადაისინჯათ თეზისი (პირველად ეს მოხდა ნატურალისტებსა და პოზიტივისტ ნეოგრამატიკოსებთან) ზუსტ და პუმანიტარულ მეცნიერებათა დაყოფისა. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, პოზიტივიზმის პირველ საფეხურს მოჰყვა საპირისპირო რეაქცია და ადამიანის გამოჩენა ენის ფენომენში: კ. პაულმა ფიზიკურის

გვერდით ფსიქიკურიც დაასახელა (შეზღუდა რა ამით კანონის უნივერსალობის თეზისი) ენის ამგებ ფაქტორთა კომპლექსში და მთელი ენათმეცნიერება ისტორიულად ჩათვალა. ეს რეაქცია იყო სწორი, რაც იქიდან ჩანს, რომ 40 წლის მანძილზე პაულის „პრინციპები“ შეუნაცვლებელ გავლენას ახდენდა ლინგვისტთა თარბებზე. ჰუგო შუხარდტმაც შეუტია „ფონეტიკური კანონის“ უნივერსალობასა და აბსოლუტურობას. მაგრამ ეს კრიტიკა შეეხებოდა არა ბგერით ასპექტში ზუსტი წესების დადგენის საჭიროებას, არამედ იმ ტენდენციას, რომ მთელი ენა შეიძლებოდა ჩათვლილიყო ასეთი წესების კრებულად. ამიტომ იყო, რომ შუხარდტმა გაიხსენა კიდევ მნიშვნელობისა და შინაფორმის ცნებები. მაგრამ როგორც ჰ.პაულმა ვერ შეძლო განთავისუფლებულიყო ფონეტიზმისა (მაინც ძალაში რჩებოდა ფორმულა: „არ არსებობს ენა ბგერის გარეშე“) და ისტორიზმისაგან (თვითონ ისტორია იყო ასახსნელი და იგი პრინციპად სისტემატიკაში არ გამოდგებოდა), ასევე შუხარდტი „სიტყვებისა და ნიუთების“ პრინციპით ვერც „მნიშვნელობას“ გაარკვევდა და ვერც, მით უფრო, „შინაფორმას“: ძალაში ისევ რჩებოდა ფორმულა: „არ არსებობს ენა ბგერის გარეშე“. შუხარდტთან მას ახალი ფორმულა დაემატა: „არ არსებობს მნიშვნელობა საგნის გარეშე“ (და აქედან: „საგანთმეცნიერების გარეშე არ იქნება ენათმეცნიერება“ – Ohne Sachwissenschaft keine Sprachwissenschaft) [15,198].

სოსიური, როგორც ვნახეთ, კრიტიკულად ეკიდება ფიზიკურ მომენტს ენის გაგებაში, ისევე, როგორც, ალბათ, საგნობრივს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ემპირიულადაც იგი ვერ ხედავდა, რომ ჩვენი მეტყველება ბგერითია და რომ ნიშანი საგნის აღმნიშვნელიცაა მეტყველებაში. იგი თეორიულად ამტკიცებდა, რომ ფიზიკური ისევე არ გამოდგება კრიტერიუმად ენობრივი ერთეულისთვის, როგორც საგნობრივი. საკითხი ეხება ლინგვისტურ კრიტერიუმს და არა ემპირიულ ვითარებას: სიტყვა რომ საგნის აღმნიშვნელია, რამდენადმე სწორია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ლინგვისტიკა მთელი თავისი სიგრძე-სიგანითო (150).

სოსიურთან არ არის, მართალია, მკაფიოდ ნაჩვენები ფიზიკურისა და მენტალურის ურთიერთობა ენაში, მით უფრო ბუნდოვანია „ღირებულებისა“ და „მნიშვნელობის“ ურთიერთობა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ენისა და მეტყველების გარჩევამ მას ფორმა-სუბსტანციის გარჩევა გაუადვილა. იგი უარს ამბობს „საგნობრივ შინაარსზე“ და შემოაქვს „ფსიქიკური კონცეპტი“. ეს „ფსიქიკური კონცეპტი“ ღიფერენციალური სიდიდეა და უფრო ენობრივი ჩანს, ვიდრე საკუთრივ ფსიქიკური ოდენობა. ენობრივი ფორმა და ენობრივი შინაარსი არ არის კონტრადიქტორული ცნებები. ეს კარგად გაიგო ლ.იელმსლევმა, როცა „შინაარსის ფორმის“ ცნება შემოიტანა. თუ ორი ტრადიციული ფორმულიდან: „არ არსებობს ენათმეცნიერება ფონეტიკის გარეშე“ და „არ არსებობს ენათმეცნიერება საგანთცოდნის გარეშე“, შეიცვალა მხოლოდ პირველი ფორმულა ასეთნაირად: „არ არსებობს ფონეტიკა ფონოლოგიის გარეშე“, ამნაირადვე უნდა შეცვლილიყო მეორეც: „არ არსებობს აღნიშვნა შინაარსის გარეშე“, მაგრამ ეს ასე ადვილად არ მოხდა და არსებითად იმიტომ, რომ სიტუაცია განსხვავებული იყო: ბგერითი მოვლენების შესწავლაში თუ სწრაფად გატარდა სტრუქტურის პრინციპი, ასევე ეფექტურად ვერ მოხერხდა ეს შინაარსის პლანში. სიძნელეს უპირატესად ქმნიდა ის გარემოება, რომ თუ ბგერითის მხრით ენა არ არის დაკავშირებული გარესამყაროს ფაქტებთან, მნიშვნელობით იგი მთელ სამყაროს მოიცავს. სწორედ ამ გარემოებამ დააფიქრა ლ.ბლუმფილდი და ხელი აადებინა საზოგადოდ მნიშვნელობის კვლევაზე. მაგრამ უარის თქმა მნიშვნელობაზე იმ მოტივით, რომ მთელი სიტუაციური სამყაროა შესასწავლი, ნიშნავს სწორედ იმას, რომ მიიღო ფორმულა: „არ არსებობს ენათმეცნიერება საგანთცოდნის გარეშე“, ვერ განასხვავო ერთიმეორისგან სახელწოდება და სიტყვა. იელმსლევი უფრო ოპტიმისტი გამოდგა: მან მნიშვნელობათა სტრუქტურული შესწავლის აუცილებლობა გახაზა თავის მოხსენებაში ლინგვისტთა მერვე საერთაშორისო კონგრესზე. ამ მოხსენებაში მან მოინდომა სტრუქტურული პრინციპის ბოლომდე გატარება. მაგრამ, როგორც ჩანს, მისივე ადრინდელი მოდელი შინაარსის სუბსტანციაზე

„სქემის“, როგორც წმინდა სტრუქტურის, პროეცირებისა მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ამჯერად მოიშველია „სოციალური ანთროპოლოგიის“ მონაცემები, კვლავ კრიტიკული აზრები გამოთქვა ფიზიკური (საგნობრივი) საზომების მიმართ და მიუთითა სოციალური სტრუქტურის შესწავლის აუცილებლობაზე ცივილიზაციის უკეთ გაგების მიზნით. მაგრამ მის მიერ „სემანტიკური სუბსტანციის“ კოლექტიური შეფასების და ფიზიკურ დონეებად დაყოფა ნიშნავს იმას, რომ „კოლექტიური შეფასება“ სხვა არაფერია, თუ არა ისევ ექსტრალინგვისტური თვალსაზრისი. მართალია, იგი არ არის საგნობრივი, არც ლოგიკური, მაგრამ მომდინარეობს „სოციალური ანთროპოლოგიიდან“; მეთოდოლოგიური პრინციპი ბოლომდე ვერ გატარდა; იგი ვერც გატარდებოდა, რადგან გლოსემატიკური თეორია სტატიკურია; არ ჩანს კავშირი იმანენტური ენის თეორიისა „სოციალურ ანთროპოლოგიასთან“ (8, 136).

„კოლექტიური შეფასების“ დონის გვერდით უნდა გამოიყოს „ენობრივი კოლექტივის შეფასების“ დონე, რითაც გაიხაზება იმის აუცილებლობა, რომ სტრატეფიკაცია სწორედ საკუთრივ ენის შიგნით უნდა მოხდეს, რის შედეგადაც, იმანენტური მოთხოვნების სრული დაცვით, საჭირო გახდება ენის ენერგეისტული მიადელის თანდათანობითი აგება. ოღონდ ნუ დაგვაიწყდება, რომ სოსიურისთვის ენა არ არის გონი (Geist), მაშინ როცა პუმბოლდტისათვის იგი ფუძე-პრინციპია, რაზედაც იგება, საზოგადოდ, ფილოსოფიური ანთროპოლოგია და, კერძოდ, ენის ანთროპოლოგია. იხ. თუნდაც მისი ბოლოდროინდელი შემაჯამებელი ნაშრომი [14, VII].

გონი არ არის ფსიქიკა, თუნდაც „კოლექტიური ფსიქიკა“; ამიტომ ენათმეცნიერება „კოლექტიური ფსიქოლოგიის“ ნაწილი კი არ არის, როგორც ამას ფიქრობს, ალბათ, ფ. დე სოსიური, არამედ ნაწილია უფრო ზოგადი მეცნიერებისა, რასაც ეწოდება „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ (ამის შესახებ დაწერილებით იხ. [10]). რაც შეეხება ენის ერთეულების (სიტყვათა) და მათი დაჯგუფების წესებს, შინაარსის სტრუქტურას, ჩვენ უფრო იმ თვალსაზრისს მივეყვებით, რომ შინაარსის სტრუქტურაში ელემენტები გარეენო-

ბრივი ფაქტორების ძალით კი არ არის თავმოყრილი, არამედ – შინაგანი პრინციპით, სადაც ერთეულთა გამაერთიანებელი „ენის გროზობა“, რაც ყოველი ენის მქონე ადამიანს თავისი აქვს, განუყოფელია და ენის გარეთა ვითარების განმეორება არ არის. ყოველი სიტყვათველი არის თვალსაზრისი გარეგან (და შინაგან) ვითარებაზე, იგი საკუთრივ ადამიანური ფენაა, საგანთხედვის თავისებური წესია, ენობრივი მსოფლსხედვის მონაკვეთია(იხ.16).

ენა სოსიურისათვის მდგომარეობაა, „რეგისტრირებული ადამიანთა ტკინებში“; ენერგეტიკულ ენის თეორიაში იგი პროცესია და არა სტატიკური სიდიდე, არა მდგომარეობა, ენერგეცია და არა ერგონი. ეს არის გზა, დაწყებული ვ.ფონ პუმპოლდტით და ინტერპრეტირებული ლეო ვაისგერბერის შრომებში, რომლის მნიშვნელობის თეორია ჩვენთვის არსებითად მისაღებია.

მოსაზრებანი ფ. დე სოსიურის ზოგიერთი დებულების შესახებ

ფ. დე სოსიურის თეორიამ დიდად შეუწყო ხელი ბგერით მოძღვრებაში ახალი დარგის – ფონოლოგიის აღმოცენებას. ეს მოხდა დანაწევრების პრინციპისა და სისტემის ცნებათა დანერგვით. ამავე პრინციპების მიხედვით გაიწმინდა გზა ენობრივი შინაარსების გამოსაკვლევეად, ხოლო ღირებულების ცნებამ ენათა შინაარსობრივი ასპექტის შედარებითი მხარე წამოსწია წინ. მისი „კურსი“ ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნეში ენის შინაარსობრივი ასპექტების შედარებითი შესწავლის წინაპირობად ზოგადი ენათმეცნიერებისა და ენის ანთროპოლოგიის ერთიანი თეორიის ფარგლებში.

ვ. ფონ პუმპოლდტმა ენის თეორიის აგების ღრმა და მასშტაბური პროექტი დაუტოვა მომავალ თაობებს. ფ. დე სოსიურის ემპერიული მეთოდი, აქ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების საფუძველზე, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩასართავია აღნიშნული პროექტის განხორციელებაში. ფუძემდებლურია მაინც ენობრივი ყოვლისა პრობლემა (მდრ.10), რომლის გაგე-

ბაც ვ.ფონ ჰუმბოლდტიდან მომდინარეობს ენის თანამედროვე თეორიაში⁵.

ენის ჭეშმარიტი განხილვა გულისხმობს, პირველ ყოვლისა, დიდად გავრცელებული ზედაპირული აზრის კრიტიკას. ჯერ კიდევ ვილჰელმ ჰუმბოლდტმა ასი წლის წინათ გაგვაფრთხილა იმისაგან, რაც, შემდეგ, სოსიურმა, ენის თეორიაში მთავარ დაბრკოლებად ჩათვალა – ეს არის ენის გაგება ნომენკლატურად, ანუ ენათა სხვაობის დაყვანა მხოლოდ ბგერითს სხვაობამდე. ჰუმბოლდტი წერდა: „ადვილად გაეთავისუფლდებით მოარული წარმოდგენისაგან, რომ სხვადასხვა ენა მათგან დამოუკიდებელი საგნებისა და ცნებების მხოლოდ ერთსა და იმავე მასას აღნიშნავს სხვადასხვა სიტყვებით... თუ ენას უფრო ღრმად ჩავუკვირდებით“. „ენათა სხვაობა რომ აღამიანისთვის მხოლოდ ბგერითი ხსვაობაა...- ეს აზრი ენის ღრმა შეცნობას ხელს უშლის, სიცოცხლეს ართმევს და უნაყოფოს ხდის“ [14, VI,119].

ნომენკლატურა და პირობითობა

ფ. დე სოსიური ენათმეცნიერების თეორიის აგებას იწყებს ენის ნომენკლატურად გაგების კრიტიკით. მაგრამ ეს გაგება მასთან მთლად დაძლეული მაინც არ არის, რაც ჩანს ენობრივი ნიშნის პირობითობის მისი დებულებიდან, რომლის გარშემოც დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი. ფ. დე სოსიური თვლის, რომ ენობრივი ნიშნის სტრუქტურაში შემავალი საპირისპირო მხარეები (აღმნიშვნელი-აღსანიშნი) ერთიმეორესთან პირობით კავშირშია: აღმნიშვნელი „და“ სრულებით არ გავს მის აღსანიშნ ცნებას (და). ოღონდ, ამას სხვა ენის გაცნობის შემდეგ გავიაზრებთ და გავაცნობიერებთ, როცა დაერწმუნდებით, რომ სხვა ენაში თურმე მას სხვა სახელს ეძახიან (მაგ. „сестра“). სოსიური წერს: პირობითობა დასაბუთდება „ენათა ნაირგვარობისა და სხვადასხვა ენათა არსებობის თვით ფაქტით“ (101). დედაენის შიგნით პი-

⁵ ჩვენი თვალსაზრისი ამის შესახებ ბოლო დროს მთლიანად გაიზიარა იტალიელმა ენათმეცნიერმა დონატელა დი ჩეზარემ [17].

რობითობის გაგება არ განიცდება, პირიქით, დღეაენაზე ბგერალობისა და შინაარსის კაკშირი ბუნებრივი ჩანს და აუცილებელიცაა. ფ. დე სოსიურთან დაშვებულია აღსანიშნის ანუ ცნების იგივეობა სხვადასხვა ენაში და, რა თქმა უნდა, საკუთარ ენაშიც. ამ მხრივ განსხვავება სიტყვასა და სახელწოდებას შორის მასთან არ ჩანს. სოსიურის მსჯელობაში არ არის დიდი სინათლე სახელწოდებისა და სიტყვის განსხვავებაში. ენის ნომენკლატურად გაგებას იგი თავს ვერ აღწევს. ამიტომ ენის ასეთი გაგებით (მიუხედავად ავტორის დიდი სურვილისა) ლინგვისტური თეორიის აგება არ არის მთლად კორექტული. სახელთრქმევა, აღნიშვნა, მნიშვნელობა ერთი რიგის ცნებებია; არც ერთ მათგანში ღირებულების სისტემურობა არ არის.

ისევ სინთეზის შესახებ

„აღმნიშვნელი და აღსანიშნი ერთად არის ჩამაგრებული ჩემს ცნობიერებაში“... ამბობს ე.ბენვენისტი; – „მისი სიმბიოზი ისე დიდია, რომ ცნობიერებაში ვერ ვიპოვით ცარაელ ფორმას, როგორც ისეთს, რომელიც არ იყოს თავისი ცნების სახელი“ [3.92]. ეს სწორია, სინთეზში ორივე მხარის ელემენტი მონაწილეობს, და ამას მრავალგზის ადასტურებს თვითონ ფ. დე სოსიური (რასაც იგი ადარებს ქალაქის ფურცლის ორ განუყოფელ მხარეს), მაგრამ, ჩუენის აზრით, სინთეზში აზრითისა და ბგერითის მონაწილეობის ფაქტი კი არ არის პოავარი, არამედ დომინანტის საკითხი ენობრივი სეგმენტის აღმოცენების დროს: სეგმენტაციის მომენტში უპირატესობას შინაარსობრივ კრიტერიუმს ვანიჭებთ. ეს მთლიანად ეთანხვება აქ მოტანილ ტექსტუალურ მონაცემებსა და ავტორის სულისკვეთებას. ლ.იელმსლევის მიმართაც ეს პოზიცია კვეკავა.

სიტყვისა და საგნის ურთიერთობა რთულია. არც სიტყვა არის ბგერითი ფორმა და არც საგანია მეგრძნებათა მარტივი ჯამი. სიტყვა საგნებს, ააგანთა კლასს მოიცავს (ეს კლასი ყოველ ენას თავისი აქვს) – თითო ნიშანი თითო ააგნის მიმართ უფრო სახელწოდებებში გვაქვს:

საკუთარ სახელებში, ტოპონიმებში, ენის ერთგეაროვან დიდ სექტორებში, სიტყვები კი ერთიმეორის მიმართ ერთგეარ შიდაზრობრივ კავშირებს ავლენენ. არ იგულისხმება აქ ურთიერთობანი ნათესაობრივი ბუდეებისა და ეტიმოლოგიის მიხედვით. ენის გრძნობა არ გვიკარნახებს მათ შორის გენეზისური ბუნების კავშირს; იგი დედაენისმიერია. ეს არის მნიშვნელობისა და ღირებულების თავისებური ნაერთი. საგანი ასე შემოდის, ხოლო შინაარსეულის ჩამაგრება ხდება ბგერითი ფორმით⁶.

რა არის კონცეპტი: ფსიქიკური ოდენობა თუ „ენობრივი ცნება“?

მნიშვნელობისა და ღირებულების ურთიერთობა რთულია. მნიშვნელობა ღირებულებით აღიჭურვება, თუ იგი სისტემაში ჩაერთო; მართო აკუსტიკური ხატისა და ცნების ურთიერთობის დონეზე – სოსიურის მიხედვით – მნიშვნელობა გარეენობრივი ცნების გამოხატულებად გეველინება და სიტყვებში გარედან თავსმომხვეულია. გრამატიკული კატეგორიები ასევე ენისათვის უცხო ლოგიკური კატეგორიების მიხედვით იქნება განაწილებული და განმარტებული.

იმთავითვე ვფიქრობდით [10] და ახლაც იმ აზრისა ეართ, რომ ე.წ. კონცეპტი „ენობრივი ცნებაა“ და არ დგას ენის გარეთ, თუმცა მნიშვნელობისა და ღირებულების ურთიერთობა საჭირო მსჯელობის თემაა. მაგ. ცნებაში „გაფართოება“ არაფერია თავდაპირველი, იმთავითვე მოცემული – არამედ ღირებულებაა, შეპირებებული მიმართებით იმავე რიგის ღირებულებასთან. „ამის გარეშე მნიშვნელობა ვერ იარსებებდა“ (150).

მაშასადამე, მნიშვნელობა, როგორც ცნება, ღირებულებითი სისტემის გარეშე ენის გარეთ აღმონდება, ე.ი. ენობრივი სისტემის მიღმა. ღირებულებათა სისტემა ქმნის ნამდვილ კავშირს ბგერითსა და ფსიქიკურ ელემენტებს შორის „ყოველი ენის შიგნით“ (153). „ყოველი ენის შიგნით“ ეს არის საფუძველი ცნების ენობრიობისა.

⁶ უფრო დაწერილებით იხ. [18]

სოსიური ერთნაირად ედავება ლოგიკიზმს, ცნებათა უნივერსალიზმს და ასაბუთებს „ყოველი ენის შიგნით“ თავისთავადობას, რითაც საფუძველს ქმნის შედარებითი სემანტიკის ასაგებად სინქრონული ლინგვისტიკის ფარგლებში. აქვე ვიტყვით, რომ ეს „თავისთავადობა“ შინაარსობრივი პრინციპის გამოყენებით არის შესაძლებელი და არა ამა თუ იმ ენაში ერთეულთა უბრალო ჩამოთვლით. ღირებულების ცნება ენათა თავისებურების სიღრმულ ფენებს ეხება.

ეს საკითხი ჩვენ ასე გვესმის: ბგერითი ნაკადიდან შინაარსის ძალით გამოიყოფა მონაკვეთი, მაგრამ მის გარეშე, მათი კავშირის (აღმნიშვნელი-აღსანიშნი) გარეშე არ მოხდება ფსიქიკის სფეროში ერთეულთა გამოყოფა, უსახური აზრით მასა ვერ შეიძენს გარკვეულობას. ენის ერთეულთა ჩამოყალიბება არ მოხდება ღირებულების გარეშე. იგი არ იქნება ენობრივი.

სოსიური ასეთ დასკვნას აკეთებს: „სიტყვები რომ წინასწარ მოცემული ცნებების გამოსახატავად იყოს, მაშინ თითოეული მათგანი ზუსტი აზრობრივი შესატყვისის მქონე იქნებოდა, ამა თუ იმ ენაში“ (149). ეს – ენათმეცნიერების თავისთავადობის თვალსაზრისით – დიდად მნიშვნელოვანი დებულებაა. იქვეა იგი ილუსტრირებული ასეთი მაგალითით: გერმანულში ზმნა *schätzen* „დაფასება“ და *Urteilen* „განსჯა“, „გაკიცხვა“ არის ჯამი მნიშვნელობათა, რომელნიც საერთოდ და მთლიანად ფრანგულის „დაფასებასა“ და „გაკიცხვას“ შეესაბამება; თუმცა, ბევრ შემთხვევაში, ეს შესაბამისობა ირღვევა. მაგრამ შესაბამისობას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი მაგალითი, რუსულზე გადატანილი (*сравниваем*), ცნობილია; ავტორის აზრით, სისტემაში შემავალი სიტყვა აღიჭურვება არა მარტო მნიშვნელობით, არამედ უმთავრესად ღირებულებით, ეს კი სრულიად სხვა რამეაო (148).

მას მოჰყავს მაგალითები სიტყვათწარმოებისა და გრამატიკული კატეგორიებისა. იგი ფიქრობს, რომ „ეს კატეგორიები სიძნელეს უქმნიან ფრანგს, რადგან მის ენაში ისინი არ არიან“ (გულისხმობს შემთხვევებს, როცა სხვა ენებში არის ორობითის კატეგორია).

იგი გამოთქვამს დიდად მნიშვნელოვან თეალსაზრისს: „ქველა ამ შემთხვევაში წინასწარ მოცემული ცნებების ნაცვლად ვპოულობთ, მაშასადამე, ღირებულებებს, რომლებიც საკუთრივ ენის სისტემიდან გამოიყვანება“ (149). ეს არის შედარებითი სემანტიკის პირველსაფეხველი.

დასასრულ, ფ. დე სოსიურის ენის არსს მოკლედ ასე გამოთქვამდით: დამანაწევრებელი ფუნქცია ენის მთლიანობის ფონზე. და კიდევ: რაკი აზრი ენამდე დაუნაწევრებელია და უსახური, ბგერასთან მისი კავშირი აუცილებელია. რაც შეეხება „ღირებულების“ ცნებას, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არ განხდებოდა ენათა სიღრმული განსხვავების დაშვების გარეშე.

ZUSAMMENFASSUNG

Es ist kein Zufall, daß die kurze Zusammenfassung in der deutschen - und nicht in der anderen - Sprache vorgelegt wird. Anthropologie im Sinne der philosophischen Anthropologie ist das Ergebnis der deutschen Philosophie der 20-er Jahren unseres Jahrhunderts. Sprachanthropologie verbindet sich mit dem Namen Leo Weisgerbers und repräsentiert eine neue Richtung.

In der Arbeit wird versucht statt der wohlbekannteren formalen Interpretation (Glossematik) eine inhaltliche Interpretation der Sprache darzulegen. F. de Saussure wird in den Prozeß der inhaltlichen Erforschung der Sprache einbezogen.

Im Unterschied zur Glossematik bildet bei F. de Saussure nicht das Prinzip des Isomorphismus die Grundlage für Lautung und Inhalt. Glossematik fördert die Deanthropologisierung und Logisierung der Linguistik.

Während der Strukturalismus nur Relationen (reine Strukturen) wahrnimmt, gründet sich die Sprachinhaltsforschung auf Relation und Gliederung. Ohne inhaltliche Gliederung entsteht kein sprachliches Segment.

Die Lehre F. de Saussures ist als Beispiel und Vorstufe der Sprachinhaltsforschung in Europa unseres Jahrhunderts zu betrachten. (Saussursche Lautanalyse bereitet den Weg zur späteren Phonologie).

1. Ф. де Соссюр, Труды по языкознанию. Курс общей лингвистики, Москва, 1977. Пер. с французского. А. М. Сухотина, переработанный по третьему изданию А. А. Холодовичем.

(აქვე) F. de Saussure, Cours de linguistique générale, édition critique préparée par Tullio de Mauro, Payot, Paris, 1972.

2. Leo Weisgerber, Das Menschheitsgesetz der Sprache, Heidelberg, 1964.

3. Эмиль Бенвенист, Общая лингвистика, Пер. с французского, Москва, 1974.

4. Ж. Пиаже, Психология, междисциплинарные связи и система наук, Москва, 1966. Пер. с французского.

5. М. Мюллер, Лекции по науке о языке, СПб, 1865.

6. В. Брөндаль, Структуральная лингвистика, История языкознания в очерках и извлечениях, ч. II, Москва, 1965.

7. Луи Ельмслев, Прологомены к теории языка. Новое в лингвистике, I, Москва, 1960.

8. Л. Ельмслев, Можно ли считать, что значения слов образуют структуру?. Пер. с английского. Новое в лингвистике, II, Москва, 1962.

9. L. Hjelmslev, Über die Beziehungen der Phonetik zur Sprachwissenschaft ("Archiv für vergleichende Phonetik", 1938, II).

10. Guram Ramischwili, Einheit in der Vielfalt, Bonn, 1989.

11. გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა, თბილისი, 1995.

12. Helmut Gipper, Peter Schmitter, Sprachwissenschaft und Sprachphilosophie im Zeitalter der Romantik, Tübingen, 1979.

13. Э. Косериу, Синхрония, диахрония и история. Новое в лингвистике, III, Москва, 1963.

14. Wilhelm von Humboldt. Gesammelte Schriften in 17 Bänden. Hrsg. von A. Leitzmann. Berlin, 1903 (68).

15. Г. Шухардт, Вещи и слова. Избранные статьи по языкознанию. Пер. с немецкого, Москва, 1950.

16. L. Weisgerber, Die anthropologische Tragweite der energetischen Sprachbetrachtung, neue Anthropologie, B. 7, Stuttgart, 1975.

17. Donatella Di Cesare, Humboldt, La diversità delle lingue, Roma, 1991.

18. გ. რაშიშვილი, სიტყვისა და ტერმინის სემანტიკური როლი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომებე, 94 №3, ივნისი, 1979.

შინაარსი

შესავალი	5
I ფ. დე სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“	8
სამეტყველო კომუნიკაციის წრებრუნვა	14
იგივეობის ორი ტიპი	19
ენობრივი ნიშნის სტრუქტურა; ნომენკლატურის კრიტიკა	21
ბგერითი ნაკადის შინაარსობრივი დანაწევრება	23
ღირებულება და სინთეზის პრინციპი	32
ღირებულება და მნიშვნელობა	36
ენის კატეგორიები არ არის უნივერსალური	38
II ფ. დე სოსიურის ნააზრევის შეფასება	44
ენათმეცნიერება და სოციოლოგია	49
გამოხატულებისა და შინაარსის ურთიერთობა	56
გამოხატულების სტრუქტურა ლუი იელმსლევის შეფასებით	62
როგორია გზა შინაარსის სემანტიკისაკენ?	66
მოსაზრებანი ფ. დე სოსიურის ზოგიერთი დებულების შესახებ	75
ნომენკლატურა და პირობითობა	76
ისევ სინთეზის შესახებ	77
Zusammenfassung	81
დამოწმებული ლიტერატურის სია	82